



ძეთუჯან  
ჯინტბია

# უკვალოდ არაფერი ქრება...

თქვენს მამათათ: ან ცნაქააია  
გათვალისწინებულა სუვერენიტეტი,  
ან სელსუქსიუ ცქაშ ელი მღუმანუქს  
დახიუქა, ათათელა თოველქა.

1985 წ. ჭ. ანუჩისკი  
მ. კაიქა

ქეთევან ჯინღაია

უკვალად ატათურდი ქტრბა...

რსრბი, წრტილრბი, თატგმანი, მტგტრბა

თბილისი

2020

ნიგნის „უკვალოდ არაფერი ქრება...“ ავტორი, ქეთევან ჯინორია, განათლებით ფიზიკოსი, მუშაობდა ბიოფიზიკის ჯგუფის ხელმძღვანელად (დღეს არარსებულ) ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში, ამჟამად კი – ნამყვან მასწავლებლად სკოლაში.

ნიგნი წარმოადგენს კრებულს, სადაც თავმოყრილია ავტორის მიერ 1989 წლიდან დღემდე დაწერილი წერილები, ესეები, თარგმანები და ზოგიერთი მოგონება. ნიგნში აღწერილია მხოლოდ მცირედი იმ საშინელი უსამართლობისა, რაც იმ დროს (1991 წლის დეკემბრიდან) დაატყდა თავს სრულიად საქართველოს, რაც ხდებოდა და, სამწუხაროდ, მსგავსი რამ ხდება დღესაც.

ნიგნი ეძღვნება ავტორის დედას, ეთერ ჯინორიას, ექიმ-ენდოკრინოლოგს, რომელიც ბატონ ლევან ანჯაფარიძესა და ბატონ ვაჟა ლეკიშვილთან (ივერიელთან) ერთად საფუძველს უყრიდა ენდოკრინოლოგიას საქართველოში. წლების განმავლობაში, როგორც ექიმი, ერთგულად ემსახურებოდა პაციენტებს, იყო II მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოში პირველი ენდოკრინული განყოფილების პირველი გამგე.

ამავე ნიგნში მოყვანილია ე. ჯინორიას და გ. მოსეშვილის დასაბუთებული წერილი-სურვილი, რომ ქალაქის I კლინიკურ საავადმყოფოს მიენიჭოს ზუბალაშვილების სახელი.

შემდგენელი: **ქეთევან ჯინორია**

რედაქტორი: **ნინო ჯაველიძე**

კორექტორი: **ნინო დარჩია**

ტექნიკური რედაქტორი: **ნინო ბურდული**

გარეკანის დიზაინი: **ირაკლი ხუციშვილი**

ISBN 978-9941-9618-9-2

© ქეთევან ჯინორია

*ვუძღვნი დედას – ეთერ ჯინორიას*



**ეთერი ვლადიმერის ასული ჯინორია**

„ქართული ერის გზა  
ერისცეს გზაა,  
ეკლიანი გზა ჯვარტმისა  
და  
გატლაუჯალი აღღგომისა“.

წ. გამსახუტდია

## ავტორისპან

ემუშაობდი კვლევით ინსტიტუტში, ვატარებდი ცდებს, ვწერდი სამეცნიერო სტატიებს და ვაქვეყნებდი. არასდროს მიფიქრია, რომ ისე მომეძალებოდა უსამართლობის შეგრძნება ჩემი ქვეყნის მიმართ, რომ მოვინდომებდი ამის გამოქვეყნებას. ადრეც ყოფილა, როცა უსამართლოდ ვიჩაგრებოდი, მაგრამ ეს პირადად მე მეხებოდა, და ამას მეტ-ნაკლებად ვუმკლავდებოდი. ამჯერად, უსამართლობამ მეტისმეტად გადააჭარბა და დამთრგუნა.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ივანე მანაბლის ქუჩაზე, ყოფილ ჯერ ლ. ბერიას, მერე კი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ალყაფის კარზე ახალი ნარწერა შევნიშნე: „გაზეთი „იბერია-სპექტრის“ რედაქცია“.

შევვდი გაზეთის მთავარ რედაქტორთან, ბატონ ირაკლი გოცირიძესთან. მოვუყევი, რაც მანუხებდა, იქვე დავაყოლე, რომ ოფიციალურ წყაროებსაც მივუთითებ, ვფიქრობ, რომ მასალა – ყურადსაღებია. მან პასუხად მომანოდა საწერი კალამი, სუფთა ფურცელი და მითხრა, რომ ეს ყველაფერი ქალაქში გადამეტანა. ვიუარე: „თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად დაწერთ“, – „ისე დაწერეთ, როგორც მომიყვებით,“ – მიპასუხა მშვიდად. ასე დაინწერა ჩემი პირველი წერილი აქტუალურ საკითხზე: „უტაქტობა“.

დიდი მადლობა ბატონ ირაკლის, რომ მან ჩემი დაგროვილი გულის ტკივილის გამოთქმისთვის სარკმელი გამახსნევინა. ნათელი იყოს მისი ხსოვნა. მან იმ დროს უდიდესი საქმე გააკეთა სრულიად საქართველოსთვის. მისი გაზეთის ყველა ნომერი მყისვე იყიდებოდა, ხალხი მოუთმენლად ელოდა ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას.

საინტერესოა წერილის „უპირველესად ეკონომიკა“ გამოხმაურების ისტორია. 1992 წელს სახალხო არტისტი, მომღერალი მაია თომაძე, რომელიც ამავე დროს საქართველოს ლეგიტიმურად არჩეული პარლამენტის წევრი გახლდათ, ევროპაში გასტროლების დროს შეუძლოდ გამხდარა. ამ დროს ბატონი რენო სირაძე (საქართველოს ელჩი ფინეთში) საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ქ. გროზნოში იმყოფებოდა. ბატონ ზვიადს ბატონი რენოსთვის ეს წერილი უჩვენებია: „ნახე, რა წერილი დაინწერა საქართველოში!“, – და დაინტერესებულა

ავტორის ბედით. ფინეთში დაბრუნებულმა ბატონმა რენომ ქალბატონი მაია მოინახულა, გაზეთი წააკითხა და პრეზიდენტის ნუხილიც გადასცა. მაშინ ქალბატონმა მაიამ დარეკა თბილისში კონსერვატორიის პროფესორთან ქალბატონ გულნარა ქართველიშვილთან და საუბრის ბოლოს ჩვენც მოგვიკითხა – დედა (ეთერი ჯინორია) და მე. დედაც მაშინ იქ ყოფილა. სახლში მოსულმა დედამ მაიას მოკითხვა გადმომცა, მაგრამ მისი დარეკვის მთავარი მიზეზი ჩვენ მოგვიანებით შევიტყვეთ, როდესაც მაია თბილისში ჩამოვიდა და პირადად გვიამბო ზემოთ აღწერილი.

ცნობილია, რომ ძლიერი წნეხის ქვეშ მყოფი ცივილიზებული ერი მიილტვის თავისუფლებისკენ (დამოუკიდებლობისკენ). ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვილმა მუხტმა (ბედის არ შეგუება) 1989 წლის 9 აპრილს იჩინა თავი და დაიწყო ქართველი ერის ოცნების აღსრულების პერიოდი. ეს იყო, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ საოცარი დრო.

მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა ძალა, რომელსაც თავისი ზრახვები ამოძრავებდა და მოხდა ის, რაც მოხდა... ამას ისტორია ჩემზე უკეთ აღწერს და ყველას მიუჩინს საკადრის ადგილს.

მე კი თავი მოვუყარე ამ უმძიმეს პერიოდში ჩემ მიერ დაწერილ ესეებს, წერილებს, თარგმანებს და ზოგიერთ მოგონებას, სადაც აღწერილია მხოლოდ მცირედი იმ საშინელი უსამართლობისა, რაც იმ დროს დაატყდა თავს სრულიად საქართველოს, რაც რეალურად ხდებოდა და, სამწუხაროდ, მსგავსი რამ დღესაც ხდება.

დაბოლოს, ძალიან დიდი მადლობა ქალბატონ ნინო და ბატონ ელიზბარ ჯაველიძეებს იმ თანადგომის და მხარდაჭერისთვის, რაც მათ გამოიჩინეს ჩვენი ოჯახის მიმართ იმ უშუქობის, უგაზობის, უსახსრობისა და მორალურად უმძიმეს პირობებში.

წიგნში გამოყენებულია ე. ჯინორიას ოჯახში დაცული საარქივო მასალა: სამი ფოტოსურათი და გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ გამოქვეყნებული წერილი „ნუ დაკარგავ გზასა შენსა...“, რომელიც ბავშვთა ქირურგმა, გიორგი მოსემვილმა, და ექიმ-ენდოკრინოლოგმა, ეთერ ჯინორიამ, დაწერეს.

*ქეთევან ჯინორია*

## ქსეპი, წერილები

### უტაქტობა

ა. წ. 19 თუ 20 აპრილს (ზუსტად რიცხვი არ მახსოვს) საქართველოს ტელევიზიით ორჯერ გამოვიდა ქ-ნი თამარ დრაგაძე – ინგლისში მცხოვრები ქართველი, რომელიც ჩვენ ქალაქში სომხეთიდან გავლით ჩამოსულა. გზაში ჩანანერების ლამაზი რვეული დაკარგვია, რის გამოც მას ხელი ეშლება საქართველოსთვის ხელის გამონვდომაში. ქ-ნი თ. დრაგაძის წუხილი გულთან მივიტანე, მაგრამ აღმაშფოთა მისმა ბოდიში და უტაქტობამ – აი, მისი სიტყვები (მეხსიერებით): „დარწმუნებული ვარ, რომ რვეული მომპარეს“, „მე რომ დედა ვიყო, მეც მომეწონებოდა ასეთი რვეული ჩემი შვილისთვის“, „გთხოვთ, იმ რვეულიდან ამოხიოთ ფურცლები, სადაც ჩანანერებია და დამიბრუნოთ“.

ამ სიტყვებში ისეთი ქედმაღლობაა და ქართველთა იმდენი დამცირება, რომ მხოლოდ მე კი არა, ძალიან ბევრმა თბილისელმა გამოხატა, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილება.

ჩვენი ტელევიზია აცხადებს ხოლმე, მავანმა და მავანმა ესა თუ ის დაკარგა, მპოვნელს ვთხოვთ, დარეკოს ან ამა და ამ მისამართით მოიტანოსო. ამ ქალბატონის რვეული ისეთი რა ღირებულებისა იყო, ასეთი შეურაცხმყოფელი გადაცემა რომ მიეძღვნა ტელევიზიით?

ოდითგან ცნობილია, რომ ქართველები ზრდილობით და თავაზიანობით გამოვიჩნეოდით. იგივე გამიგია ინგლისელებზეც. საინტერესოა, ინგლისში გაზრდილ ქართველს ამდენი როგორ და რატომ ეშლება?

*„იბერია-სპექტრი“, 1992, მაისი-ივნისი*



## უპირველესად ეკონომიკა

დღევანდელი ორატორები, ტელევიზიითა და რადიოთი გამომსვლელები, ხშირად იშველიებენ ისტორიულ ანალოგიებს. ერთ-ერთ მიტინგზე სიტყვით გამოსულებმა ქართველ მანდილოსნებს შესთავაზეს, იარაღის შესაძენად შემოსწირეთ ოქროს ბეჭდებიო. სანაცვლოდ, კომისიის წევრები ბეჭდიან ქალაღდებს მოგართმევენო...

გამახსენდა, ფაშისტური იტალიის დიქტატორმა მუსოლინიმ, ასევე იარაღის შესაძენად, ქალბატონებს საქორწინო, ბაჯაღლო ოქროს ბეჭდები მოსთხოვა და ალუმინის ბეჭდებში გაუცვალა.

როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითი ანალოგიაა?..

*„იბერია-სპექტრი“, 1992, სექტემბერი*

## ცოდვა თაოზიდან თაოზაზე გადაღის

ამჟამად, ინტენსიური კვლევის საგანია ამ და იმქვეყნიური, ე. წ. უცნობი მოვლენების შესახებ არსებული მასაღების შეგროვება, დასაბუთება. შეგროვილი მასალა ნაწიღობრივ გამოქვეყნებულია („სიცოცხლე სიკვდიღის შემდეგ“, მოსკოვი, 1990; „სიცოცხლე სიცოცხღის შემდეგ“, რ. მოუდი, მოსკოვი, 1990 და ა. შ.). რაც შეეხება დასაბუთებას, ის ნაკლებადაა ცნობიღი.

ჩვენი მიზანია, საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ იმ მოვლენებს, რომელთა ახსნა დღეს შესაძლებელია ბუნების უკვე ცნობიღი კანონების საშუაღებით.

აინშტაინის ფარდობითობის თეორიის თანახმად, არსებობს სისტემები და მათი ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომ ერთ სისტემაში მყოფი დამკვირვებელი შესანიშნავად ხეღავს და აკვირღება მეორე სისტემაში მყოფ დამკვირვე-

ბელს, მაშინ, როცა მეორე სისტემის დამკვირვებელს არავითარი წარმოდგენა არა აქვს პირველი სისტემის და მით უმეტეს მისი დამკვირვებლის არსებობის შესახებ.

ნათელმხილველი ვანგა (კ. სტოიანოვა „ბულგარელი ნათელმხილველი ვანგა“, სოფია, 1990) ამბობს, რომ ისინი, ვინც მას ელაპარაკებიან, ცხოვრობენ დედამიწისგან მესამე პლანეტაზე, რომელსაც სახელად ვამფიზი ჰქვია. პლანეტის განლაგების გარკვეულ პირობებში ის დედამიწიდან სულ მცირე 18 წლის მანძილზე იმყოფება (გამოთვლილია მესამე კოსმოსური სიჩქარის 17 კმ/სთ გათვალისწინებით). აქვე ვანგა ყვება იმ პლანეტაზე სტუმრობის შესახებ და რომ იქ მყოფნი საოცრად სწრაფად მოძრაობენ, განსაკუთრებით ალსანიშნავია ის, რომ მას არსად უნახავს მათი საცხოვრებელი სახლები.

ამავე დროს, ჩვენგან განსხვავებით, ვანგას, ეტყობა, აქვს უნარი, გავიდეს ან სულ იმყოფებოდეს იმ სისტემაში, რომლიდანაც ის გვხედავს ჩვენც და უცხოპლანეტელებსაც და ერთდროულად, ორივე სისტემაში მყოფთ გველაპარაკოს. ჩვენ კი ვხედავთ მხოლოდ ვანგას და გვესმის მხოლოდ მისი ხმა. ეს სისტემები ისეა ერთმანეთის მიმართ განლაგებული, რომ ვანგა და მისი სტუმრები აღიქვამენ ორივე სისტემაში მყოფთ, მაშინ, როცა ჩვენ ვანგას გარდა, ვერავის ვხედავთ.

ახლა შევეცადოთ და ავხსნათ, თუ რატომაა, რომ ასე ახლოს მყოფი პლანეტა დღემდე არაა მეცნიერებისათვის ცნობილი. კ. სტოიანოვა თავის წიგნში თურქმენი მეცნიერის, ოდეკ ოდეკოვის, ახსნას გვთავაზობს: ამ პლანეტის აღმოჩენა მეტისმეტად ძნელია, ვინაიდან ის დახრილ ორბიტაზე ბრუნავსო. ასეთი ახსნა ჩვენ ვერაფერს გვეუბნება.

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, იმავედროულად დედამიწა ამ ორბიტის მიმართ გარკვეული კუთხით დახრილი ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო. თვით დედამიწის მოძრაობის ორბიტა მზის მიმართ ან დახრილია, ან არა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რის მიმართ არის მითითებული ათვლის წერ-

ტილი და სისტემა, რომელშიც განიხილება სხეული, ამიტომ მტკიცება იმისა, რომ ოდეკ ოდეკოვის ახსნა სწორია, შეუძლებელია.

დღეისათვის, მეცნიერებმა დაადგინეს ადამიანის სულის ნონა („სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“, რ. მოუდი, მოსკოვი, 1990), ხოლო ფორმა და ფერი ფირზე აღბეჭდეს. სულს კვერცხისებური ფორმა აღმოაჩნდა.

თუ წყლის ვარდნილ წვეთს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მას კვერცხის ფორმასთან მიახლოებული ფორმა აქვს. თვითმფრინავის ფრთის კვეთი წყლის წვეთის კვეთს მოგვაგონებს, თვით თვითმფრინავის „ტანი“ წაგრძელებულ კვერცხისებურ ფორმას ჰგავს. მსგავსი მიახლოება სარბოლო ავტომანქანებში და კოსმოსურ ხომალდებშიც მოიძებნება. მოკლედ, აეროდინამიკის ცნობილი საფუძვლებიდან გამომდინარე, სწორედ ასეთი ფორმის მქონე სხეულები სივრცეში მინიმალური ენერგეტიკული დანაკარგებით და მაქსიმალური მოგებით გადაადგილდებიან.

კ. სტოიანოვა იხსენებს, რომ, როცა ვინმე ხმაურობს, ვანგა მათ აჩერებს და არცხვენს: „სახლი სავსეა ხალხით, თქვენ კი ხმაურობთ“ ან „მე ქვეყანას ვუვლი და ყველაფერს ვხედავ“. ამ დროს იქ მყოფთათვის არც არავინაა და თვით ვანგაც სახლიდან არ გასულა. აქვე გავიხსენოთ ზოგის მონათხრობი იმის შესახებ, რომ მათ „ნახეს“ ის, რაც სხვა კონტინენტზე ან ძალიან შორ მანძილზე მომხდარა და დეტალებში აღუწერიათ ესა თუ ის შემთხვევა.

ყოველივე ეს და სხვა მრავალი მაგალითი აიხსნება სულის სწრაფი გადაადგილებით ან სწრაფი ურთიერთობის უნარით. ამიტომ არის, რომ ვამფიზზე არანაირი საცხოვრებელი სახლი არც ვანგას უნახავს და არც მის „მასპინძლებს“ არა აქვთ. არაა გამორიცხული, რომ ისევე, როგორც ვანგა, მისი „მასპინძლებიც“ სხვა ცივილიზაციის ან სხვა განზომილებაში არსებული პლანეტის ბინადრები არიან. ასევე აიხსნება სიზმრებიც და წინათგრძნობა.

როცა სხეული ისვენებს, სული სხვა განზომილებაში ან სხვაგან მყოფთ ესტუმრება და მათთან ჩვენთვის ჯერ უცნობ ურთიერთქმედებაში შედის. ამიტომ არის, რომ მძინარე ადამიანის უცებ გაღვიძება ზოგჯერ მძიმე შედეგს იწვევს. ის, რასაც ჩვენ სიზმარს და წინათგრძნობას ვუწოდებთ, ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების სულების ურთიერთქმედებასთან არის დაკავშირებული, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლოა, სისტემიდან სისტემაში გადასვლის კანონებს ეყრდნობა.

ცნობილია, რომ ბუნებაში არაფერი იქმნება და არც ქრება, ყველაფერი ერთი სახიდან მეორეში გადადის. ამავე დროს, ეს გადასვლები, მარტივიც და რთულიც, დამოკიდებულია გარემოზე და მასთან განუყრელ კავშირშია. ცოდვაც არსად არ ქრება, ის ერთი თაობიდან მეორეზე გადადის, ვანგასეული ახსნით, წინაპრის ცოდვაზე პასუხისმგებლობა შთამომავლობას ეკისრება იმიტომ, რომ ასე უფრო მტკივნეულია. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არა მარტო ვიმკით საკუთარი და წინაპრების შეცდომების უხვ მოსავალს, არამედ ვამატებთ კიდევც.

*„იბერია-სპექტრი“, 1993, სექტემბერი*

## სიცრუე და სიმაართლე

ყველას კარგად ახსოვს ეროვნული ხელისუფლების დროს ენით აუნერელი ჭორების კორიანტელი. ჭორები ვრცელდებოდა ყველაზე და ყველაფერზე. ჭორის მთქმელს კი ვერანაირად ვერ გადაარწმუნებდი, ვინაიდან, ის კარგად „იცნობდა“ თვითმხილველის ყვავი-ჩხიკვის მამიდას. გთავაზობთ იმდროინდელი სიცრუისა და ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ გაცხადებული სინამდვილის ნუსხას:

სიცრუე	სიმაართლე
1991 წლის 2 სექტემბერს გაისროლეს პრეზიდენტის განკარგულებით და პირველად დაიღვარა სისხლი.	1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის პუტჩის დროს და შემდეგ მშვიდობიან მანიფესტაციებზე მართლაც დაიღუპა ასობით ქართველი, რომელთა სია ყველასთვის ცნობილია.
ეროვნულმა ძალებმა სამტრედიის სარკინიგზო კვანძის რამდენიმე დღიანი გადაკეცივით საქართველო თვითიზოლაციაში მოამწყვდიეს.	შევარდნაძის „ბრძნული“ პოლიტიკის შედეგად სამი წელია აფხაზეთის მხრიდან დაკეტილია საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო და საავტომობილო გზები; სამაჩაბლოს მხრიდან – როკის გვირაბი.
გამსახურდია მოაწყობის გენოციდი. ეროვნულმა ძალებმა წამოიწყეს სამაჩაბლოში არეულობა იმიტომ, რომ ეს ძირძველი ქართული მიწა რუსეთისთვის მიეცათ.	შევარდნაძის პირადი მოთხოვნით სამაჩაბლოში დღეს რუსეთის ჯარები დგანან და ქართველები ამ ტერიტორიაზე ვერ შედიან.

<p>გამსახურდიას დროს კრწანისის ვოლიერებში ცხოველები დაიხოცნენ.</p>	<p>შევარდნაძის რეჟიმის დროს თბილისის ზოოპარკში შიმშილისა და სიცივისგან ამონყდნენ ძვირად ღირებულ ცხოველები.</p>
<p>ვინაიდან ეროვნულმა მთავრობამ პური არ გააძვირა, გველის ეკონომიკური გაკოტრება.</p>	<p>შევარდნაძის მოსვლის დღიდან ვინ მოთვლის, რამდენჯერ გააძვირეს პური, მაგრამ გაკოტრება მაინც არ აგვეცდა.</p>
<p>იანაევის დაკითხვის ოქმის თანახმად, სნგ-ში შევდიოდით.</p>	<p>შევარდნაძის „ხვეწნა-მუდართ“ ვართ სნგ-ში.</p>
<p>წინა ხელისუფლებამ ბანკი გაძარცვა.</p>	<p>ბანკის მმართველი დ. დვალისვილი თანხების გაფლანგვის გამო დაიბარეს პროკურატურაში.</p>
<p>წინა ხელისუფლებამ გაიტაცა 700 მლნ მანეთი.</p>	<p>დღევანდელი ე. წ. ხელისუფლების წევრებმა ქვეყნიდან გაზიდეს უზარმაზარი თანხები კრედიტის სახით. ზ. ჟვანიამ – 120 მილიარდი რუბლი, კ. გაბაშვილმა – 40 მილიარდი რუბლი, ედუ-ს პარტიის ანგარიშები გახსნილია ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის, ფრანკფურტის, და სხვა ქალაქების ბანკებში.</p>

<p>წინა ხელისუფლებამ 40 კგ ოქრო თან წაიღო.</p>	<p>სიგუა-კიტოვანი-იოსელიანის ტრიუმვირატის დროს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნიდან მოიპარეს 45 კგ-ანი პლატინის კატალიზატორი, რომელიც დღემდე არ იციან, სად არის.</p>
<p>რატომ ესწრება პრეზიდენტის მეუღლე ოფიციალურ და არაოფიციალურ მიღებებს?</p>	<p>სახელმწიფო მეთაურის მეუღლე ესწრება ყველა ტიპის მიღებებს თბილისში და საზღვარგარეთაც. ამას წინათ, საქართველოს ტელევიზიით დამშუშლმა ქართველებმა იხილეს ქალბატონი ნანული, რომელიც ბედნიერი ღიმილით ჭრიდა და ურიგებდა მასავით ბედნიერებს უზარმაზარი ტორტის ნაჭრებს.</p>
<p>„მანანა მართავს“ საქართველოს.</p>	<p>ნანული გამოდის რადიო-ტელევიზიით და ხალხს ჭკუას ასწავლის.</p>
<p>პრეზიდენტი მთელ საქართველოს თბილისში ჩამოასახლებს.</p>	<p>მთელი სამეგრელოს, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ქართველობა თბილისში ლტოლვილების სტატუსით იძულებით ჩამოასახლეს.</p>

<p>პრეზიდენტმა ორი „მერსედესი“ რატომ შეიძინა, მაშინ, როცა წინ დიდი გასაჭირი გველის.</p>	<p>შევარდნაძემ დააარსა საზღვარგარეთ თავისი სახელობის ფონდი. ქართველობა კი შიმშილით და სიცივით იხოცება. დღეს პარლამენტის წევრები და მათი ცოლები „მერსედესებით“ და სხვა „ინამარკებით“ დაგრილებენ. ხალხი ვის ახსოვს?</p>
<p>შუქი, გაზი, წყალი, გათბობა, პური – ხელისუფლების იზოლაციონისტური პოლიტიკის გამო აღარ გვექნება.</p>	<p>შუქი, გაზი, წყალი, გათბობა, პური – შევარდნაძის „ბრძნული“ პოლიტიკის წყალობით არ გვაქვს. სად არიან ძმაკაცები: კოლი, გენშერი, ანდრეოტი, ბეიკერი?</p>
<p>რატომ ატარებს პრეზიდენტი მიტინგებს?</p>	<p>შევარდნაძე ატარებს მიტინგებს რესპუბლიკის მოედანზე, რიყეზე, პარლამენტის წინ და, რაც მთავარია, „ბნელიტა“ მუხლებზე დააჩოქა.</p>
<p>მანანა არჩვაძეს კარვის ქალები და შავკოლგოტკეზიანები ჰყავს.</p>	<p>ნანული-თამარ ცაგარეიშვილს მატარებლის ქალები და თეთრმანდილიანი, ბიკინეზიანები ჰყავს.</p>
<p>გამსახურდიას საქართველო უფსკრულისკენ მიჰყავს.</p>	<p>შევარდნაძემ საქართველო უფსკრულში უკვე გადაჩეხა.</p>
<p>ხალხს ანამებდნენ (ვის? – გაურკვეველია).</p>	<p>ხალხს ცემენ, კლავენ, ანამებენ მიტინგებზე, ციხეებში, პარლამენტის შენობაში (ვინაობა ცნობილია!).</p>



პრეზიდენტმა შავნაბადაზე 60 ქართველი ყმაწვილი მოაკვლევინა რუსის ჯარს.	შევარდნაძის მიერ აფხაზებ- თან უაზროდ წარმოებული ომის დროს დაიღუპა 30000 ქართველი და ათასობით აფხაზი.
გამსახურდიას სურს აფხაზეთ-სამეგრელოს ცალკე გამოყოფა.	შევარდნაძის „ბრძნული“ პოლიტიკის შედეგად აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
წინა ხელისუფლება პირსისხლიანია.	შევარდნაძე მოითხოვს პოლიტპატიმრების დახვრეტას.
გამსახურდიამ სთხოვა ილია მეორეს, იგი ეკურთხა მეფედ.	ედუარდი და ნანული ილია მეორემ გიორგისა და თამარის სახელით მონათლა.
გამსახურდია – სატანის მოციქულია.	შევარდნაძე – ???

„სამრეკლო“, 1995, მარტი-აპრილი

## ავს თუ ავი არ ვუნოდით...

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?... ენა (მამული, სარწმუნოება) საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, (და) მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“ – ი. ჭავჭავაძე.

ჭეშმარიტად ეროვნულმა მთავრობამ ეს ანდერძი საფუძვლად დაუდო თავის მოღვაწეობას და უზენაესი საბჭოს შენობის შესასვლელთან ამაყად დადგა: „ენა, მამული, სარწმუნოება“. რა გასაკვირია, რომ „დემოკრატების“ ტყვეებმა ჯერ „ენა, მამული, სარწმინოება“ დაცხრილეს, დაამტვრიეს და მიწასთან გაასწორეს. მერე უზენაესი საბჭოს დანგრეული შენობა ღობის მიღმა დაამწყვდიეს, ღობის აქეთ კი დამცინავ-დამამცირებლად ასლი გამოდგეს. ასლი, რომელიც 1992 წლის 7 მარტის შემდეგ საერთოდ გაქრა და...

**ენა** შეგვიგინეს: აქაოდა, პეტრიაშვილის აღარ გვეშინიაო, ისეთი ენით აგვიმეტყველდა „მამა-მარჩენალი“ და მისი ერთგული პარლამენტი უმრავლეს-უმცირესობით, რომ თუ ქურდულ-რუსულ-ქუჩური სლენგის ლექსიკონი არ მოიშველიე, „მრავალმნიშვნელოვან“, „ბრძნულ“ და „დიდ“ აზრებს ვერ გაიგებ. როცა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თ. ბუაჩიძე ფეხების ბაკუნით, ტაშით და უწმანური შეძახილებით პარლამენტის ტრიბუნიდან გააძევეს, შენიშვნები ბოლომდე არ ათქმევინეს, გასაგები გახდა, რომ მსოფლიოში, მართლაც, უნიკალური პარლამენტი და განუმეორებელი, უალტერნატივო „მეთაური“ გვყოლია.

**მამული** გაგვიღანძღეს, გაძარცვეს, გააპარტახეს, ხალხი აანოკეს და მამულში ლტოლვილებად აქციეს, „დიდმა პოლიტიკოსებმა“ „პატარა“ საქართველოს დაჩოქება მოინდომეს.

**სარწმუნოება** შეგვირყვნეს: „უნმინდესმა და უსპეტაკესმა“ მკვლელებს ცოდვები მიუტევა, გზა დაულოცა და...

როდესაც ერმა მიმართა, რომ არ დაეშვა ძმათა სისხლისღვრა, სამწვერა ნერვის ანთება მოიმიზეზა, ხალხთან არ გამოვიდა და წმინდა გიორგის ეკლესია რუსის ჯარს იარაღის სანყოფანად უბოძა. სწორედ ქვაშვეთის ეზოდან ნასროლმა ტყვიებმა სასიკვდილოდ გაიმეტა ჩვენი „ღვთაებრივი საუნჯე: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

*„სამრეკლო“, 1995, აპრილი*

### **ყვაილო, ყვაილო... (ანაკლოტი)**

კახეთში დიდი პოლიტიკოსი იქაურ აქტივის უნდა შეხვედროდა. გამგებელმა წინასწარვე დაიჭირა თადარიგი და აქტივის ყველა მონაწილე გააფრთხილა: თქვენ ჩემთან და ერთმანეთში როგორც ლაპარაკობთ, შევარდნაძესთან ეგეთი ლაპარაკი არ შეიძლება. ვინც ძღრენო-ძღრენოს და ეგეთ რამეს იტყვის, თანამდებობას გამოეთხოვება. ძმა რო იყოს, ძმასაც არ დავინდობ! ერთ რჩევას მოგცემთ – უცენზურო სიტყვა ენაზე, რომ მოგადგებათ, მაშინვე „ყვაილით“ შეცვალებთ და ყველაფერი კარგად იქნება, არც ჩვენ ჩავიგდებთ თავს ხათაბალაში და ის კაციც ნასიამოვნები დაგვრჩება.

შეიკრიბა აქტივი. შევარდნაძემ თავისი მოხსენების დამთავრების შემდეგ მსმენელებს შესთავაზა – თუ კითხვები გაქვთ, მკითხეთ და... წამოვიდა შეკითხვების ნიაღვარი:

- ყვაილო, მატარებელი რატომ არ დადის?
- ყვაილო, შუქი რად არ არი?
- პური კიდე უნდა გააძვირო, ყვაილო?
- საზღვარგარეთიდან შემოსული კრედიტები სად მიდის, ყვაილო?
- ყვაილო, გაზი რატომ არ არის?
- ... ..

*„სამრეკლო“, 1995, ივლისი*

## ქართველი ერის გზა – ქრისტეს გზაა

ჯვარცმის ბრძანების გაცემამდე პილატემ ბრბოს მიმართა – მისი აზრით, ქრისტე უდანაშაულო იყო და, თუ მათ სურდათ, იგი მას გაათავისუფლებდა. მაგრამ ბრბო აყვირდა: „ეს კი არა, არამედ ბარაბა“. ბარაბა კი ავაზაკი იყო.

ბრბოსგან განსხვავებით, ქართველმა ერმა მრავალჯერ აირჩია ქრისტეს გზა:

1990 წლის 28 ოქტომბერს ხმათა დიდი უპირატესობით ეროვნული პარლამენტი აირჩია.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოთქვა ნება ეცხოვრა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში. ამას 9 აპრილი მოჰყვა უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს გამოცხადება დამოუკიდებელ, თავისუფალ და ნეიტრალურ ქვეყნად.

1991 წლის 26 მაისს ქრისტეს გზაზე დამდგარი მოსახლეობის 87%-მა ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია ჭეშმარიტი მორწმუნე, ერის აღიარებული წინამძღოლი, ზვიად გამსახურდია.

ბარაბა კი ავაზაკი იყო.

1991 წლის 22 დეკემბერს ბარაბას გზას დამდგარმა საქართველოს მოსახლეობის 13 %-მა, ე. წ. ელიტურმა ინტელიგენციამ (სახარებით მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა) იარაღის ძალით ეროვნული ხელისუფლების ჩამოგდება მოისურვა. სატანის მსახური ჰაკობი-ს დახმარებით ბარაბას მიმდევრებმა აიძულეს ეროვნული ხელისუფლება გასცლოდა სისხლის ღვრას და...

ერმა ხალხმრავალი, მშვიდობიანი მიტინგებით და მანიფესტაციებით კვლავაც გამოხატა ქრისტეს გზით სიარულის სურვილი. ბარაბას მსახურები კი ტყვეით დაუხვდნენ.

1992 წლის 11 ოქტომბრის ბარაბასეულ „იმედის არჩევნებს“ ერმა ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ, ელიტურმა ინტელიგენციამ (სახარებით მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა) თავი რჩეულ პარლამენტარებად გამოაცხადეს.

ბარაბა კი ავაზაკი იყო, რომელმაც თავისი კრედო ერს საჯაროდ „გაანდო“: „ძალი ყეფს, ქარავანი მიდის“.

1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტი ბრუნდება საქართველოში. ერი ისევ დიდი ალტყინებით გამოხატავს სურვილს ქრისტეს გზით იაროს. მაგრამ...

ელიტურმა ინტელიგენციამ (სახარებით მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა), ვისაც 1992 წლის 7 მარტს შეუქვს ხელში იარაღის აღება, კვლავ რუსის ჯარს უხმო და იარაღს მიმართა, ისევ გაუყვა ბარაბას გზას.

ერმა შეატყო, რომ ბარაბას გზას შემდგარი ელიტური ინტელიგენცია არ აპირებდა იარაღით მოპოვებული ძალაუფლების დათმობას და კიდევ ერთხელ შეეცადა მშვიდობიანი გზით საქართველო ქრისტეს გზისკენ წაეყვანა. მან 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებში გამოხატა საკუთარი ნება. მაგრამ, არნახული ფალსიფიცირების წყალობით „გაიმარჯვეს“ ბარაბას მიმდევრებმა. მათმა მეთაურმაც ვერ დამალა შიში და განაცხადა – კიდევ კარგი, რომ ოპოზიციონერები არ მოხვდნენ პარლამენტში, თორემ შიგნიდან აგვაფეთქებდნენო.

ბარაბა კი ავაზაკი იყო.

ავაზაკს უსისხლოდ არ შეუძლია არსებობა. მას უსისხლოდ ვერ წარმოუდგენია წარმატების მიღწევა.

ერი, რომელმაც ამდენჯერ სისხლისღვრის გარეშე გამოხატა თავისი ნება, ასევე უსისხლოდ გაიმარჯვებს.

*„სამრეკლო“, 1995, დეკემბერი*

## „საღვთო ქარი კამიკაძე“ ქალა ლოცვისა და ერთიანობისა

1274 წელს ჩინგის-ხანის შვილიშვილმა ჰაბულაიმ იაპონიის დაპყრობა გადაწყვიტა, მაგრამ იაპონელმა ქურუმებმა აღავლინეს ლოცვა და მოხდა სასწაული. მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხლის გამო ნაპირს მიახლოებულმა მონღოლთა ფლოტმა ჯარი ვერ გადასხა. შვიდი წლის შემდეგ ჰაბულაიმ ახალი ფლოტი აღჭურვა. ქურუმებმა გადარჩენისთვის ლოცვა კვლავ აღავლინეს და სასწაული განმეორდა. მოულოდნელად ამოვარდნილი ტაიფუნი თავს დაატყდა მონღოლთა ფლოტს და გაანადგურა.

მას მერე, რაც ინგლისელმა ქურუმებმა თავდაცვისათვის რელიგიური რიტუალი ჩაატარეს, ჯერ ნაპოლეონის, ხოლო შემდეგ კი ჰიტლერის ჯარები დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე კატეგორიულად არ გადავიდნენ.

1944 წლის დეკემბრის თვეში აშშ-ის მე-3 ფლოტი ფილიპინებისკენ დაიძრა. მზადდებოდა მასირებული დესანტი, რომელიც ამერიკელი სტრატეგების ჩანაფიქრით, იაპონიასთან ომში ბოლო წერტილი იქნებოდა. სწორედ ამ დროს იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა, რომელსაც თავდაცვის საშუალება არ ჰქონდა, მოუწოდა მთელ იაპონელ ხალხს, აღველინა მზის დედოფლის, ამატერასის საპატივცემულო ლოცვა, რათა მას საღვთო ქარი კამიკაძე თავს დაეტყუებინა მტრის გემებისთვის. როცა იაპონელების ასეთი სასოწარკვეთილი ნაბიჯის შესახებ აშშ-ის დაზვერვამ მთავარსარდლობას მოახსენა, მე-3 ფლოტის ხელმძღვანელობამ ერთხმად და დიდხანს იხარხარა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ სიცილისთვის აღარავის ეცალა. კუნძულ ლუგოპის მახლობლად არნახული ტაიფუნი მოულოდნელად თავს დაატყდა ამერიკელების გემებს. უეცრად, სამი საესკადრო ნაღმოსანი გადაბრუნდა და ჩაიძირა, 28 გემი ძლიერ დაზიანდა, 146 თვითმფრინავი ზღვის ტალღამ ავიამზიდებიდან ზღვაში ჩაიძირა, 800-ზე მეტი ადამიანი

სტიქიამ შთანთქა და აშშ-ის ოპერაცია იაპონიის წინააღმდეგ ჩაიშალა.

მსგავსი ფაქტი ბევრი შემორჩა საქართველოს ისტორია-საც. საკმარისია, გავიხსენოთ 1999 წლის ამბავი, როდესაც მავანს აშშ-ში საქართველოს ოქროს ფონდიდან ხატებისა და ფასდაუდებელი საეკლესიო-სარიტუალო სინმინდების გატანა სურდა. საქართველოს ეკლესია, მართლმადიდებელი მრევლი, მოწინავე ახალგაზრდობა და ჭეშმარიტი მამულიშვილები ლოცვა-წირვით, შიმშილობითა და საპროტესტო გამოსვლებით წინ აღუდგა განძის გატანას და ისევ საოცრება. ამ საქმის განმხორციელებლები, აშშ-ის მოქალაქეები ძმები გუროვები კატასტროფაში მოხვდნენ. ერთ-ერთი იქვე გარდაიცვალა, მეორე კი, მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში მოათავსეს.

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 28 აპრილი*

## **„სხვისას არ ახლო ხელი!“**

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კოსმონავტიკის ფუძემდებელს, კონსტანტინე ციოლკოვსკის, ხელისუფლებამ მეტად მწირი პენსია და სასურსათო ე. წ. „პაიოკი“ დაუნიშნა. ცოტა ხანში „პაიოკიც“ შეწყდა. მოთმინებაგამოლეულმა ციოლკოვსკიმ ქუჩაში აბრა გააკრა: „თავისუფალი კალუგის მოქალაქენო! როდემდე ვითმინოთ ბოლშევიკთა ინტენდანტების ქურდობა და უკანონობა?!“ რამდენიმე დღის შემდეგ შეშინებული მოხუცი მოსკოვში, ლუბიანკაზე გაამწესეს.

დაკითხვების მესამე დღეს ციოლკოვსკიმ გამოძიებელს თვალი გაუხსნორა და ჰკითხა: „ძვირფასო უფროსო, იცით, თქვენი ოქროს ბეჭდის შიდა მხარეზე რა წერია?“ „სხვისას არ ახლო ხელი!“ გაოგნებულმა გამოძიებელმა ახსნა-განმარტება მოითხოვა. „სიზმრად მესამე გილდიის ვაჭარი გამომეცხა-

და და მომიყვა, თუ როგორ მიითვისეთ მისი ნივთებით სავსე ზარდახშა და როგორ გაანადგურეთ ის პირადად თქვენ ამ კამერაში“, მიუგო ციოლკოვსკიმ. გამომძიებელს ფერი წაუვიდა: „მოქალაქე ციოლკოვსკი, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. გაემგზავრეთ კალუგაში და „პაიოკს“ რეგულარულად მიიღებთ“.

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 5 მაისი*

## **ამერიკის ისტორიის ერთი სამარცხვინო გვირდი**

ამერიკელმა ისტორიკოსმა ნენსი გალაჰერმა აღმოაჩინა საბუთები, სადაც წერია, რომ 1920-1930 წლებში ვერმონტის შტატის მეცნიერთა ჯგუფმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ამერიკელი მოქალაქეების გენეტიკური ფონდის გაუმჯობესების გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმაში სახელწოდებით „ვერმონტის ევგენური მიმოხილვა“ (ევგენიკა – ადამიანის ჯიშის გაუმჯობესების მეცნიერებას ეწოდება) მოყვანილია გენეტიკურად „კარგი“ და „უვარგისი“ გვარები. ასევე შედგენილია იმ პირთა სია, რომლებიც უნდა განადგურდნენ ან განხორციელდეს მათი სტერილიზაცია (ადამიანის სტერილიზაცია ანუ დაცვედნება, დასაჭურისება ნიშნავს მისი გამრავლების ფიზიოლოგიური უნარის აღკვეთას).

1931 წელს ვერმონტში მიიღეს იძულებითი სტერილიზაციის კანონი, რომელიც არსებული სიების მიხედვით ასეულ მათხოვარზე და ინდიელზე განახორციელეს. ასეთი ბარბაროსული მეთოდით 30-ანი წლების ამერიკა ებრძოდა სიღატაკეს და სოციალურ პრობლემებს. ეს კანონი მხოლოდ 30 წლის შემდეგ გაუქმდა და მივიწყებასაც მიეცემოდა, რომ ის შემთხვევით ნენსი გალაჰერს არ მოეძია.

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 23 ივნისი*



## შავი სანთლები და სატანური შავი მესები

რუსთავში უგზოუკვლოდ დაკარგული გოგონების ნატანჯ-ნანამები გვამები იპოვნეს. ვარაუდობენ, რომ ისინი სატანისტური რიტუალის დროს ანამეს და მსხვერპლად შეწირეს, ვინაიდან ერთ-ერთი გვამის მახლობლად შავი სანთლები აღმოაჩინეს.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ე. წ. „შავი მესები“ გახშირდა. ამ „მესებზე“ ქრისტიანულ სიმბოლოებს, სიმწინდეებს და თვით რიტუალებსაც კი სრულიად საპირისპირო დანიშნულებით იყენებდნენ. ხშირად მსხვერპლად ადამიანებსაც წირავდნენ. „შავი მესის“ ძირითადი დანიშნულებაა დემონების და თვით სატანის გულის მოგება, რათა მიიღონ მათგან დახმარება და მფარველობა თავიანთ უწმინდურ საქმიანობაში მიწიერი კეთილდღეობის მისაღწევად. ასეთი რიტუალების შესახებ ზოგად წარმოდგენას ისტორიული წყაროებიდან ან ოკულტური ლიტერატურიდან თუ მივიღებთ. დეტალურად კი ამის შესახებ მხოლოდ უშუალო მონაწილეებმა ან რიტუალს სასწაულად გადარჩენილმა მსხვერპლებმა იციან. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია და ხელისუფლება მათ დევნის, „შავი მესები“ დღემდე ტარდება.

რამდენიმე წლის წინ ინგლისელი ქალიშვილი, კიტი ფრეზერი, ლონდონის ერთ-ერთ ბარში შევიდა. ბარში ისეთი მოწყენილობა იყო, რომ, როდესაც უცნობმა მამაკაცმა სტუმრად წასვლა და კარგი დროის გატარება შესთავაზა, სიამოვნებით დათანხმდა. ერთი ჭიქა ღვინის შემდეგ გონება დაკარგა და ის, რაც მერე მოხდა, მხოლოდ ბუნდოვნად ახსოვდა. კიტი სადღაც ტაძარში შეიყვანეს და ამაღლებულ საკურთხეველზე დააწვინეს. შენობა შავი სანთლებით იყო განათებული. საიდუმლო ცერემონიის დროს გოგონა რამდენჯერმე გააუჰატიურეს. ის კი სრულებით უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავი საშინელ სიზმარში ეგონა. მეორე დილით კიტი ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაში გონს მოვიდა და

მაშინვე პოლიციას მიმართა. მიუხედავად პოლიციელების გაოგნებისა, ძიება მაინც დაიწყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლონდონიდან 150 კმ-ით მოშორებულ კლოფილდში, სადაც XII საუკუნის დანგრეული სააბატოა, ვილაცამ სრულიად შემთხვევით საკურთხევლის წინ ნიჩაბზე ჩამოცმული ადამიანის თავის ქალა იპოვა. თავის ქალას გარშემო ადამიანის ჩონჩხის ძვლები სიმეტრიულად ელაგა, ეკლესიის კედლებზე კი საიდუმლო ნიშნები და თავდაყირა ფვრები ეხატა. ჩონჩხი კი, როგორც გაირკვა, იქვე მდებარე სასაფლაოდან 1770 წელს გარდაცვლილი ვინმე ჯენი ჰამბერსტონის ყოფილა. სააბატოში მიყვანილმა კიტი ფრეზერმა მაშინვე იცნო თავისი შეურაცხყოფის ადგილი. სამწუხაროდ, კიტის „მეგობარ“ კაცს ვერ მიაგნეს, იმიტომ, რომ გვარი კროული შავი მაგიის მიმდევრებს შორის ძალიან პოპულარულია ინგლისში.

ალიესტერ კროული, რომელიც 1947 წელს ლონდონში გარდაიცვალა, იყო ცნობილი მაგი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მან ოკულტური სექტა „ოქროს განთიადი“ დააარსა, რომლის წევრები მას „ცხოველ 666“-ს ეძახდნენ. ეტყობა, კიტის „მეგობარი“ სწორედ ამ სატანისტის მიმდევარი იყო. ეს საქმეც არქივში მოხვდა, სადაც „შავ მესებთან“ დაკავშირებული მასალები ინახება...

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 27 ივნისი*

## 25-ე კადრი, როკ-პოპ მუსიკა და...

კინოფირზე აღბეჭდილი უძრავი ადამიანები ამოდრავდება, თუ ამ კადრებს გარკვეული სიხშირით შევუნაცვლებთ ერთმანეთს, ანუ დროის გარკვეულ ერთეულში ჩვენ თვალწინ 25 კადრი გაივლის. აღმოჩნდა, რომ ამ დროს ადამიანი აღიქვამს მხოლოდ 24 კადრს, დანყებულს პირველიდან ოცდამეოთხის ჩათვლით, ხოლო ყოველ 25-ეს თვალი ვერ ხედავს. მაგრამ იმას, რასაც თვალი ვერ აფიქსირებს, თურმე, ჩვენ აღვიქვამთ ქვეცნობიერად, ანუ ჩვენდა უნებურად გვამახსოვრდება და დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე.

თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს ფაქტი ცნობილი იყო მხოლოდ ფიზიკოსებისთვის და იმ პირთათვის, ვინც უშუალოდ კინოფირზე მუშაობდა, დღეს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს) ამას იყენებს იმისთვის, რათა ადამიანებს უმოკლეს ვადაში შეასწავლოს უცხო ენები. კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის – „ინტელექტუალი, ცსს-ს 25-ე კადრის“ რეკლამაში ვკითხულობთ: „სუფგესტოლოგიის (სუფგესტიონ – ლათ. – ადამიანის ქვეცნობიერებაზე შთაგონების გზით აქტიური მოქმედება) მიზანია, ადამიანს მიანოდოს ინფორმაცია პირდაპირ, კრიტიკული აღქმის გარეშე. ეს პროგრამა არა მხოლოდ იმის საშუალებას გაძლევთ, რომ ერთ თვეში შეისწავლოთ უცხო ენა, არამედ თქვენ შეგიძლიათ, მიიღოთ სამკურნალო, რელიგიური და სხვა სახის განსაკუთრებული მეთოდის, რომლითაც შესაძლებელია პიროვნების ან მისი საქციელის ნებისმიერი სახეცვლილება.

ამ მეთოდის შედეგი საოცარია: ტელევიზორთან გატარებული 75-80 საათის შედეგ ნიჭიერ ადამიანს შეუძლია, თავისუფლად ილაპარაკოს, წაიკითხოს და თარგმნოს უცხო ენაზე“ ( ანუ მოიქცეს ისე, როგორც მას 25-ე, ცნობიერებით აღქმული კადრით უბრძანებენ – ქ. ჯ.).

აქვე ვკითხულობთ: „მეკობრე“ ფირმების მიერ გამოცემული ვიდეოფირების ნახვის შემდეგ შესაძლოა, თქვენ დაგეწყით თავის ტკივილი, სივრცული და ფსიქიკური ორიენტაციის მოშლა, რომელიც ეპილეპტიკურ შეტევამდეც მიგყვანთ. ეს შეიძლება დაგემართოთ საჭესთან, მანქანის მართვის დროს, მეტროში, სამსახურში და, საერთოდ, ნებისმიერ ადგილას. „მეკობრე“ ფირმების ყალბ პროდუქციაზე და, უფრო მეტიც, ამ პროდუქციის გამოყენების შედეგებზე ჩვენი ფირმა პასუხს არ აგებს... გარდა ამისა, ჩვენ დამკვეთის სურვილისამებრ ვადგენთ ინდივიდუალურ პროგრამებს“.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, რადგან თვით რეკლამა აღიარებს ამ მეთოდის ისეთ უარყოფით შედეგებს, რომელთაც „მეკობრეთა“ ფირმები ინვესს და არც იმას მალავს, რომ „შესაძლებელია პიროვნების და მისი საქციელის ნებისმიერი სახეცვლილება“.

რას გულისხმობენ ამ „ნებისმიერი სახეცვლილების“ ქვეშ?

ე. ნ. 25-ე კადრის ეფექტს, ანუ ზომბირებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია, რაც იყენებენ.

ერთხელ, ჩვეულებრივი მხატვრული ფილმის დამთავრების შემდეგ, მაყურებლები პოპკორნის დახლთან უგრძელეს რიგში ჩამწკვრივდნენ. ამ აჟიოტაჟის ერთერთი მონაწილე და დამკვირვებელი ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი აღმოჩნდა. მან სხვებთან ერთად, ანგარიშმიუცემლად, პოპკორნი შეიძინა და როდესაც პაკეტის ჩასადებად გახსნა ჩანთა, სადაც უკვე ედო სეანსის წინ ნაყიდი პოპკორნი, მიხვდა, რომ ეს მან იძულებით, ვილაციის მიერ მასებზე გარკვეული ზეგავლენის შედეგად გააკეთა. მას შემდეგ, რაც მსგავსი რამ იმავე კინოთეატრში, ამჯერად, პეპსიკოლას შეძენით განმეორდა, ფსიქოლოგი გამოძიებას შეუდგა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ 25-ე კადრში შეიძლება ჩაინეროს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი მხოლოდ ქვეცნობიერად აფიქსირებს და რის შედეგადაც ინდივიდი ანგარიშმიუცემლად ასრულებს ნებისმიერ ბრძანე-

ბას. ამიტომ, რომც არ წყუროდეს, პეპსის თუ კოკა-კოლას შესაძენად იგი მაინც დგება რიგში...

„საჭირო“ ინფორმაცია მაღალი სიხშირით შეიძლება ჩაინეროს მაგნიტოფირზეც და შემდეგ ზედ დაედოს ნებისმიერ მუსიკალურ ჩანაწერს. რაც მთავარია, მისი ჩანერა შეიძლება უკუღმა, ნებისმიერ ენაზე – ის მაინც აღიქმება და შედეგი დაუყოვნებლივ იჩენს თავს.

სწორედ ეს მოვლენაა გამოყენებული ენის შესწავლის მეთოდებში.

ჩვენი ყური, თვალის მსგავსად, მხოლოდ გარკვეული სიხშირის, დიაპაზონის ბგერებს აღიქვამს. ამ დიაპაზონის მიღმა არსებული ბგერები, რომლებიც ყურს არ ესმის, გაუცნობიერებლად აღწევნენ ობიექტამდე და მასზე ქვეცნობიერად ახდენენ სასურველ ზემოქმედებას.

სპექტროანალიზატორების მეშვეობით გამოიკვლიეს, რომ „მეტალისტების“, „სატანისტების“ და ა. შ. როკ-პოპ-ვიდეო- და აუდიო-ჩანაწერებში გამოყენებულია შემდეგი შინაარსის შენიღბული „უკუღმა ჩანაწერები“: „მომანიჭე სექსუალური სიამოვნება“, „მონიე მარიხუანა“ და ა. შ. მადონას ცნობილ შლაგერში, „ღვთისმშობლის მსგავსად“, ჩანერილია ფარული მიმართვა: „მე ცოდვით გარდავიქმნები“. ჯგუფი „ქვინი“ სიმღერით, „სიყვარულით გამონვეული მცირე სიგიჟე“, მსმენელს მოუწოდებს: „ბიბლია – ეშმაკს! ყველაფერი, რაც მე მსურს, ეს არის – მაგია!...“, „ბითლზების“ განთქმულ სიმღერაში „რევილუცია №9“ „კოდირებულია“ (შენიღბულია) ფრაზა: „მონიე მარიხუანა და მკვდარს დამაპირისპირე. ამ შემთხვევაში „მკვდრად“ იესო ქრისტე იგულისხმება.

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი ძალადობის, ვანდალიზმის, თვითმკვლელობის და სხვა უამრავი დანაშაულის სპონტანური აფეთქებები ამ როკ-ჯგუფების კონცერტების დროს და მათი ჩანაწერების მასობრივი გაყიდვის შემდეგ.

გერმანიაში ჯგუფი „ნიუქიღზის“ კონცერტის შემდეგ 40 ფანი გონების გათიშვის გამო საავადმყოფოში მოათავსეს,

მათგან 24-ს ასეთი დიაგნოზი დაუსვეს: „სისხლის მიმოქცევის სისტემის კოლაპსი (გულის სისუსტე, ტონუსის დაცემა – ქ. ჯ.), გონების ამღვრევა“. ერთ-ერთი როკ-კონცერტის შემდეგ შეკითხვაზე – სად ხართ? რა გქვიათ? რომელი წელია ახლა? – 300-მა იაპონელმა ვერ გასცა გარკვეული პასუხი. რუსეთში „რკინის როკის“ ათწუთიანი მოსმენის შემდეგ მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა გამრავლების ტაბულაც კი ვერ გაიხსენეს(?!).

რუსული საზოგადოება „ექიმები ადამიანის უფლებების სადარაჯოზე“ არჩევნების წინ მოსახლეობას აფრთხილებდა ფსიქოტრონული მეთოდების და ტელეზომბირების გამოყენების გამო. სპეციალისტებმა შეისწავლეს რუსეთის ტელევიზიის ზოგიერთი გადაცემა და დაადგინეს ტელემაყურებლებზე იდუმალი გავლენის ფაქტები. ამ მკვლევართა და სპონსორთა შორის კომპანია „გოსრესურსის“ დირექტორი ა. იაშჩენკოც ყოფილა. როგორც კი ა. იაშჩენკომ მიღებული შედეგები საჯაროდ გამოაცხადა, უცნობმა პირებმა იგი თავის თანამშრომლებთან ერთად აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე უმონწალოდ მოკლეს, გაიტაცეს OPT-ს და PTP-ის გადაცემების გაშიფრული ვიდეომასალა და მიიმალნენ.

1979 წელს ვენეციაში პოლ მაკარტნის კონცერტის დროს ბგერითი „გადატვირთვის“ (რეზონანსში მოხვედრის) გამო ჩაინგრა... ხის ხიდი (?!).

მოტლანდიაში, ღია ცის ქვეშ, „პინკ ფლოიდის“ კონცერტის ძლიერი ბგერების შედეგად იქვე მდებარე ტბაში თევზები დაიხოცნენ და ზედაპირზე ამოტივტივდნენ.

ჰევის (მძიმე), ბლექ (შავი), ტექნოს და სხვა ასეთი მუსიკის ბევრმა მოყვარულმა შეიძლება არც იცის როკის წარმოშობის ისტორია. ერთმა კლივლენდელმა დი-ჯეიმ სექსუალური აქტის (რომელსაც ამერიკული გეტოს ჟარგონით „როკ-ენ-როლი“ ჰქვია) პაროდირების დროს წარმოდგენას თან დაურთო ეს მუსიკა და „როკ-ენ-როლი“ უწოდა. როკის სტილის მუსიკის გავლენამ ადამიანებზე მაშინვე იჩინა თავი.

ამ მუსიკის მიმდევრებში მკვეთრად იმატა ფსიქიკის მოშლის და თვითმკვლევლობების შემთხვევებმა (?!).

ცნობილია, რომ, თუ რიტმის დარტყმა წამში 1, 5-ის ტოლია და მას თან ერთვის ზედაბალი სიხშირის (15-30 ჰერცი) ძლიერი ბგერის წნევა, ადამიანი ვარდება ექსტაზში. თუკი რიტმის დარტყმა წამში ორი დარტყმის ტოლია იმავე სიხშირის თანხლებით, მსმენელი როკვისას ისეთ ტრანსში ვარდება, როგორშიც ნარკოტიკული ნივთიერების მიღებისას აღმოჩნდება ხოლმე.

იმის მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენს როკი ადამიანის ფსიქიკაზე, ექიმები ასხვავებენ შემდეგ სახეობებს: „სასტიკი“ – სქესობრივი ინსტინქტების აღმგზნები; „მწვავე“ – ჰალუცინოგენური ნარკოტიკების გავლენის გამაძლიერებელი; „უმსგავსო“ – აგრესიული ინსტინქტების აღმგზნები და „სატანისტური“, რომლის დანიშნულებაცაა სიმღერის ტექსტში შენიღბული მისტიკური მონოდებებით მიმართონ ბნელეთის ძალებს.

როკ-ჯგუფების ფირფიტების, დისკების, აუდიო- და ვიდეოკასეტების სარეკლამო გაფორმებაში ყოველთვის დაინახავთ თხის თავს, გადაბრუნებულ სამკუთხედს და „მუდამ ფხიზლად მომზირალ“ თვალს. ეს სიმბოლოები მარტივად აიხსნება: თხის თავი – თვით სატანას სიმბოლოა, სამკუთხედი – მისი მცირე ბეჭედი, ხოლო ყოველის და ყველაფრის მაკონტროლებელი თვალი – სატანის თვალია.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტელევიზიის პრაქტიკულად ყველა არხი ამ სიმბოლოებს აქტიურად იყენებს. უფრო მეტიც, პირველი არხის სარეკლამო აბრევიატურა (შემოკლებული აღნიშვნა – 1ა) მეტისმეტად წააგავს ბერძნულ ასოს ომეგას, რაც სიმბოლოების ენით ნიშნავს დასასრულს და ხშირად მიწერილია სატანის ბეჭდის სამკუთხედის ქვევით მიმართულ წვერზე.

გერმანელი მკვლევარი იან ვან ჰელზინგიც იზიარებს იმ აზრს, რომ არსებობს მსმენელზე (მაყურებელზე – ქ. ჯ.) გავ-

ლენის ისეთი ხერხი, რომლის საშუალებითაც ის ამ ბრძანებ-  
ბას სრულიად ანგარიშმიუცემლად ასრულებს. ეს ბრძანებები  
ტექსტში (კადრში – ქ. ჯ.) ისეთ მაღალ სიხშირეზეა ჩანერილი,  
რომ, მართალია, ადამიანს ის ყურით არ ესმის (თვალით ვერ  
ხედავს – ქ. ჯ.), მაგრამ ქვეცნობიერად აღიქვამს და ემორ-  
ჩილება მას.

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 7 ივლისი*

## **ჯილენი, ანუ ციმბირის წყლული ჯანმრთელ მამაკაცებს დაერიცხა**

ეკატერინბურგის მახლობლად მდებარე მე-19 გასაი-  
დუმლოებული სამხედრო ქალაქი დღესაც იდუმალებითაა  
მოცული. მის გარშემო შემორტყმულ მაღალ, ყრუ კედელს  
ფოლადის წვეტიანი სოლები აქვს დაყოლებული. ამ სოლებ-  
ზე გაბმულია ეკლიანი მავთულ-ხლართი და საგანგებო სა-  
ფარქვეშ ჩამალულია სათვალთვალო კამერები. ამ ღობის  
შიგნით კიდევ ერთი ღობეა, რომელსაც პირველისგან აშო-  
რებს (მთელ სიგრძეზე) გადახნული მიწის ზოლი. დაბოლოს,  
ამ შემზარავ სურათს ურიცხვი პატრული და დაცვა „ამშვე-  
ნებს“. რას იცავენ ისინი? – სამხედრო დანიშნულების მიკრო-  
ბიოლოგიური კვლევის სამეცნიერო ინსტიტუტს, რომლის  
კორპუსებში წლების მანძილზე იქმნებოდა საერთაშორისო  
კონვენციებით აკრძალული ბაქტერიოლოგიური იარაღი.

1979 წლის აპრილის თვის ერთ დილას, როდესაც სამ-  
სახურში მიმავალი ხალხი გარეთ იყო გამოსული, კვლევითი  
ინსტიტუტის ერთ-ერთი შენობიდან მოთეთრო ღრუბელი  
ამოვარდა და მაშინვე გაიფანტა. ორი დღის შემდეგ ქალაქში  
ჯილენის (ციმბირული წყლულის) ეპიდემიამ იფეთქა. ექიმე-  
ბი გაოცებით აღნიშნავდნენ, რომ ამ სენით ავადდებოდნენ  
და იხოცებოდნენ მხოლოდ ჯანმრთელი მამაკაცები, ხოლო



ქალები და ბავშვები, პრაქტიკულად, არ დაავადებულან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ავად გახდა ერთადერთი, 6 წლის ბავშვი და ისიც სულ მალე განიკურნა.

ამ უბედურების ყველა მსხვერპლი მხოლოდ მე-19 ქალაქისა და მისი შემოგარენის მცხოვრებლები იყვნენ. პირველ დღეებში დაავადდნენ და გარდაიცვალნენ მხოლოდ ის მამაკაცები, რომლებიც ამ ავადსახსენებელ დილას ქუჩაში აღმოჩნდნენ და კიდევ ისინი, ვისი ბინის ფანჯრებიც მიკრობიოლოგიის ინსტიტუტის მხარეს იყო. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ჯილენი გავრცელდა ჰაერით და არა უშუალო კონტაქტით. უფრო მეტიც, ვინაიდან ამ ლეტალური (სიკვდილის გამომწვევი) სნეულების მიკრობები ქალაქის მტვერს შეერია, დაავადებას მტვერის შესუნთქვაც იწვევდა.

ხელისუფლებამ არნახული მონდომებით ჩაატარა სადეზინფექციო სამუშაოები. როგორც კერამიკული ქარხნის დირექტორი იგონებს, მან მიიღო საგანგებო ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაენმინდა ქუჩები, სახურავები, ქარხნის ტერიტორია და შენობები. ასეთივე სამუშაოები მე-19 ქალაქის შემოგარენშიც ჩატარდა. სამხედროებს გრუნტის ზედაპირი მოაჭრევინეს და სადღაც გაატანინეს, გაჩეხეს ბუჩქნარი და ყველგან ახალი ასფალტი დააგეს.

ოფიციალური ვერსიით, ეპიდემია იმ პირებმა გაავრცელეს, ვინც ჯილენით დაავადებული საქონლის ხორციით არალეგალურად ვაჭრობდა. ხოლო დეზინფექციის ასეთი მეთოდები ახსნეს იმით, რომ ჯილენით დაავადებული საქონლის ხორცს მოსახლეობა ყრიდა სანაგვეზე, სადაც უპატრონო ძაღლები იკვებებოდნენ. ასეთი ვერსია ხალხში სევდიან ღიმილს იწვევდა: როგორ ავიდოდნენ მანანნალა ძაღლები ქარხნების და სახლების სახურავებზე, ან ვის მოუვიდოდა აზრად უვარგისი ხორცის შეგდება ზევით. სახურავებს კი, ხელისუფალნი სპეციალური ხსნარებით განსაკუთრებულად ახეხინებდნენ.

დაახლოებით ათ დღეში ჯილენის დიაგნოზით 300 კაცზე მეტი გარდაიცვალა. კრემაციის შემდეგ მათ სპეციალურად

გამოყოფილ სასაფლაოებზე ასაფლავებდნენ. სასაფლაოს ჩვეულებრივ ქვებს შორის დღესაც შემორჩა ბევრი უსახელო საფლავი წითელი ვარსკვლავით. როგორც ეკატერინბურგში ამბობენ, ეს იმ ყმანვილების საფლავებია, რომლებსაც ქალაქის და მისი შემოგარენის დეზინფექცია ჩაატარებინეს (ვინ იცის რამდენი ქართველია მათ შორის? – ქ. ჯ.). იმ დროს ქალაქს მოდებული მტვრის ერთი ჩასუნთქვაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილიყო და ამ სასაფლაოზე ეპოვნა სამუდამო სამკვიდრებელი.

იმ ხანად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ბორის ელცინიც კი უძღლური აღმოჩნდა. 1990 წელს მოსახლეობასთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ბევრჯერ სთხოვა სამხედრო ხელმძღვანელობას სვერდლოვსკიდან გადაეტანათ ადამიანებისათვის საშიში ეს ლაბორატორიები. გარდა ამისა, ამ ეპიდემიის დროს ქალაქში ჩავიდა სამხედრო სპეციალისტებისა და КГБ-ს თანამშრომლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფი, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ მასაც კი არ უმხელდა არაფერს.

აკადემიკოსმა დომარადსკიმ, რომელიც საბჭოთა კავშირის ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნას მეთავეობდა, განაცხადა: „ის, რაც სვერდლოვსკში მოხდა, ათგზის გასაიდუმლოებულია. ძნელი წარმოსადგენია, რომ იქ ჯილეხის გამომწვევი სახეცვლილი შტამი (ნაირსახეობა – ქ. ჯ.) გამოიყენეს. ეგებ სამხედროები აქტიურ ვირულენტურ (დაავადების გამომწვევ – ქ. ჯ.) შტამს ადგენდნენ. იმ დროისათვის ისინი ამას შესანიშნავად ახორციელებდნენ“.

მხოლოდ 1999 წელს გახდა ცნობილი, რომ ჯერ კიდევ 20 წლის წინ სამხედროებს მიღებული ჰქონდათ გენეტიკურად შეცვლილი ჯილეხის გამომწვევი შტამები.

კანანჯიან-ალიბეკოვი 1991 წლამდე, ანუ აშშ-ში ემიგრაციამდე, იმ უწყების უფროსის მოადგილედ მუშაობდა, რომელსაც „გლავმიკრობიოპრომის“ ყველა ინსტიტუტი ექვემ-

დებარებოდა. მან გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტის-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სახეშეცვლილი ჯილეხის შტამი მდგრადია 5 სახის ანტიბიოტიკისადმი და მისი დანიშნულებაა, განწყვიტოს ჯანმრთელი მამაკაცები – ანუ მტრის შრომისა და გამრავლების უნარი, ცოცხალი ძალა, ხოლო ქალებსა და ბავშვებს არაფერი ავნოს. სვერდლოვსკის ეპიდემიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ ეფექტურია ეს ბაქტერიოლოგიური იარაღი.

როგორც ჩვენმა მზვერავებმა დაადგინეს, – აგრძელებს ალიბეკოვი, – ჰემორაგიული ნეკროლის (სისხლდენის გამომწვევი – ქ. ჯ.) ორი ეპიდემია, რომელიც 80-ან წლებში ჩინეთში გავრცელდა, ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიაში აფეთქების შედეგი ყოფილა. ამ შემთხვევაშიც სიკვდილის გამომწვევი ვირუსი ჰაერში გაიფანტა.

ელცინმა მხოლოდ 1992 წელს მოაწერა ხელი თავდაცვის ტიპის ბიოლოგიური იარაღის გამოკვლევებისა და დამუშავების აკრძალვის ბრძანებას. ოღონდ დღეს არავინ უწყის, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ბრძანებას და სად არის ამ ბრძანების ხელმოწერამდე გამოშვებული ბაქტერიოლოგიური იარაღი. ასევე საკითხავია, თუ რა წარმოშობისაა ამ ბოლო დროს საქართველოში პერიოდულად აქა-იქ გავრცელებული ჯილეხი, ან საერთოდ, რა სახის სამუშაოები ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე?!

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 25 ივლისი*

## ზანგების ტომი ლემა ებრაელთა ხალხს მიეკუთვნება?!

სამხრეთ აფრიკაში მოსახლე ზანგების ერთ-ერთი ტომის – ლემბას – გენეტიკური ტესტირების საფუძველზე მიიღეს სენსაციური შედეგი: ეს ტომი ებრაელ ხალხს მიეკუთვნება. მათი წინაპრები იყვნენ იუდეველთა მღვდლების განსაკუთრებული კასტის – კოჰანიმების წარმომადგენლები. რაბინისგან განსხვავებით კოხანიმები თავიანთ წოდებასა და სწავლებას მემკვიდრეობით გადასცემდნენ და გვარიშვილობის სინმინდეს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ოქსფორდის გენეტიკოსთა მონაცემების თანახმად, ისრაელთა კოჰანიმების თანამედროვე შთამომავლებს და სამხრეთ აფრიკის ზანგების ტომ ლემბას ერთნაირი გენეტიკური კოდი აქვთ.

ლემბას ტომის შესახებ არსებული ლეგენდის თანახმად, მათი წინაპრები ებრაელები იყვნენ და ისინი იუდეიდან ერთ-მა ადამიანმა, სახელად ბუბამ, წამოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდის ამ ცნობას კვლავაც ადასტურებს ლემბას ტომში უხსოვარი დროიდან არსებული წინდაცვეთის წესი, საჭმელად ღორის ხორცის აკრძალვა და კვირის ერთი დღის წმინდა დღედ გამოცხადება, დნმ-ს გენეტიკური ტესტირების ჩატარებამდე ამ საკითხს სერიოზულად არავინ განიხილავდა. ამჟამად, როდესაც ისრაელის ისტორიკოსებმაც დაადასტურეს ნათესაური კავშირი ებრაელებსა და ლემბას ტომს შორის, დადგა საკითხი: ვინ იყო ლეგენდარული ბუბა და რისთვის დასჭირდა მას თავისი თანამემამულეების გაყვანა ალტკემული მიწიდან?

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 1 აგვისტო*

**ათი შაკითხვა საქართველოში აშშ-ის  
და დიდი ბრიტანეთის ელჩებს,  
ეუთო-ს წარმომადგენელს და იელოუელთა  
სსვა ქომაგებს**

ზუგდიდში მომხდარი ინცინდენტი – იელოუელთა კონგრესის ჩაშლა – თქვენ ადამიანის უფლებების დარღვევად გამოაცხადეთ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ, სად ბრძანდებოდით, როდესაც:

1. რუსეთის ჯარი თბილისში რუსთაველის გამზირს ანგრევდა და ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ უზენაეს საბჭოს ესროდა (1991-92 წწ.)?
2. კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო სისხლისღვრით გააძევეს დედაქალაქიდან (1992 წ.)?
3. გაგრაში ქართველების თავებით რუსები და აფსუები ფეხბურთს თამაშობდნენ?
4. სამაჩაბლოში ოსებმა ქართველი ბავშვები ფეხებით ჩამოკიდეს?
5. ქართველები ძირძველი ქართული ტერიტორიებიდან, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოყარეს და ასი ათასობით ადამიანი (მოხუცებიც და ბავშვებიც) საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად აქციეს?
6. კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, ესროლეს?
7. ფალსიფიცირებული არჩევნებით, ადამიანის ნების იგნორირებით, მისი უფლებები ირღვეოდა?
8. სად იყავით და სად ბრძანდებით ამჟამად, როცა პენსიები და ხელფასები არ რიგდება? განა ეს არ არის ჩვენი ელემენტარული, საარსებო, ზოგადად კი ადამიანის უფლებების დარღვევა?
9. სად ხართ ახლა, როდესაც ამდენი უსამართლობა და უკანონობა სუფევს, როცა ასი ათასობით ადამიანი გადაიხვეწა, დარჩენილები კი შიმშილით, სიცივით, უხელფასო-

ბით და უმუშევრობით კვდებიან? არც ეს მიგაჩნიათ ადამიანის უფლებების დარღვევად?

10. სად ხართ, როცა აფსუა და ოსი ბოევიკები ქართველებს იტაცებენ, აწამებენ და კლავენ?

უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გვეტყვით იმას, რომ ეს შიდა პრობლემებია და თქვენ არ ერევით თავისუფალი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ასეთი მიდგომით ხომ ზუგდიდის ინცინდენტიც ჩვენი შიდა პრობლემაა და თქვენ არა გესაქმებათ რა. მითუმეტეს, ზემოთ ჩამოთვლილთაგან შედარებით ეს ის შემთხვევაა, როცა ჩიტი ბღღვნად არ ღირს.

დაბოლოს, სად ბრძანდებით ეს ბოლო 8 წელი? ნუთუ არ იცით, რომ ჩეჩენი ერის დაუფარავი გენოციდი მიმდინარეობს? ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის ინცინდენტში არც ერთი იელოველი არ დაშავებულა, პირიქით, თავისსავე ავტობუსებით საკუთარ სახლებში მიაბრძანეს!

პატივისცემით,

*ქეთევან ჯინორია*

*ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის*

*უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორი,*

*ინგლისის საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება*

*„NORLEG“-ის (ქ. ნორიჯი) წევრი*

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 19 სექტემბერი*

## რატომ დაარქვეს კაფეს ახვლედიანის ქუჩაზე „სანტა-ფე“?

„სანტა-ფე“ ჰქვია „ახალი გრუზინების“ თავშეყრის პრესტიჟულ კაფეს თბილისში და რანჩოს კალიფორნიაში, სადაც 1997 წლის 26 მარტს 39 მამაკაცის და ქალის ცხედარი ნახეს. თურმე მათ კოლექტიურად მოუკლავთ თავი სპირტიანი სასმელით, რომელშიც სასიკვდილო რაოდენობის ფენობარბიტალი შეურევიათ. რანჩო „სანტა-ფე“ ქალაქ სან-დიეგოს მახლობლად მდებარეობს. სწორედ იქ დაიდო ბინა მდიდარმა (!) რელიგიურმა სექტამ „ცის კარი“, რომელიც სხვა მსგავსი სექტებისგან განსხვავებით უმო-ს (უცნობი მფრინავი ობიექტი, ) მიიჩნევს ამა ქვეყნის უბედურებისგან ხალხის ზეციურ მხსნელად და მას ეთაყვანება.

ამავე წლის დასაწყისში ჰეილ-ბოპის კომეტა დედამიწას ხილვადობის მანძილზე მოუახლოვდა. ვინმე გამოუცდელმა მოყვარულმა ასტრონომმა განაცხადა, რომ ზეციური სხეული მოკაშკაშე უმო-ს თანხლებით მოფრინავს. მიუხედავად საღად მოაზროვნე მეცნიერების მოსაზრებისა, რომ მოკაშკაშე ობიექტი ვარსკვლავია, რომლის მახლობლადაც კომეტა დაკვირვების მომენტში მოძრაობდა, „ცის კარის“ სექტის წევრებმა მარშალ ჰერფ ეპლუაიტის ხელმძღვანელობით ღრმად იწამეს, რომ აღწერილი მოვლენა ნამდვილად უცხო პლანეტელების კოსმოსური ხომალდია.

„სანტა-ფეში“ განთავსებული რელიგიური საზოგადოების წევრებს სწამდათ, რომ ისინი განთქმულ (?!) პიროვნებასთან ერთად, როგორიცაა ეპლუატი, სიცოცხლის დასრულება ნებაყოფლობითი თვითმკვლელობით ადვილად მოაშორებს მათ „მინიერ გარსს“ და მყისვე ისეთ ევოლუციური განვითარების დონეზე აიყვანს, რომელიც გაცილებით მაღლაა ჩვეულებრივ ადამიანთა არსებულ დონესთან შედარებით. სექტანტები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ აღორძინდებიან და გაერთიანდებიან კეთილშობილური

უცხოპლანეტელების ხომალდზე, რომელიც სწორედ იმისთვის მოფრინავს, რომ ისინი იხსნას ამ ულმობელი ქვეყნიდან.

სექტა „ცის კარი“ განსაკუთრებით კიდეც იმით გამოირჩევა, რომ თავის რიგებში ახალი წევრების მოსაზიდად ის ფართოდ და, უნდა ითქვას, საკმაოდ შედეგიანად იყენებს ინტერნეტს (!).

*„ახალი ერა“, 2000 წელი, 24 ოქტომბერი*

## **ფანატიკური ულმოზობა**

2000 წლის 21 მარტს კრასნოიარსკის ოლქის ქალაქ ტულაში მამა გრიგორს მოულოდნელად ღამის სტუმარი ეწვია. 27 წლის რომან გავრილოვი მამა გრიგორთან ადრე ხშირად დადიოდა. მღვდელს კრიშნას მიმდევარი ახალგაზრდა ეცოდებოდა და, თავისი მრწამსიდან გამომდინარე, რომანს თბილ ტანსაცმელს ჩუქნიდა. საჭმელს აჭმევდა და ცდილობდა იგი ჭეშმარიტ რჯულზე მოექცია.

ამჯერად, ახალგაზრდამ სადგისი მშვიდად ამოიღო, მამა გრიგორს ჯერ გულში გაუყარა. მერე კი ორჯერ კისერში ჩაასო. თავი აუღელვებლად მოაჭრა ჯაყვით და ხელში ამ სისხლმწვე-თავი თავით იქვე მდებარე ტაძარში შევიდა. ტაძარს შიგნიდან სამჯერ შემოუარა და მოჭრილი თავი საკურთხეველზე დადო.

დილით მკვლეელი დააკავეს. ის მშვიდად ჩაბარდა პოლიციას. დაკითხვაზე მან მაშინვე განაცხადა, რომ სრულებით არ ნანობს, რადგან კრიშნა ღმერთის სურვილის შესრულება მისთვის დიდი პატივია. კრიშნა მას სიზმრად გამოცხადებია და მამა გრიგორის მოკვლა უბრძანებია. შინაგან საქმეთა სამმართველოს იზოლაციაში ყოფნისას მკვლეელი სულ კრიშნას საქებარ მანტრას მღეროდა.

წმინდა ტიმოთეს სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ინსტიტუტის სექტების შემსწავლელი



კათედრის გამგე, ალექსანდრე დვორკინი, გვაუწყებს: „კრიშნას მიმდევართა საზოგადოების სწავლება კრძალავს ხორციანი საჭმლის მიღებას; მაგრამ არსად არ იკრძალება ადამიანის მოკვლა... ამ მოძღვრების შესახებ არსებული წყაროებიდან მოვიყვან რამდენიმე ციტატას: „პოლიტიკაში ძალადობის უარყოფა შეიძლება კარგი იყოს დიპლომატიისათვის, მაგრამ ის არასდროს არ უნდა ამაღლდეს პრინციპის დონემდე“. „ვინც არ ხელმძღვანელობს ცრუ ეგოთი და ვისი გონივრებისუფალია, ის, თუნდაც ადამიანი ფიზიკურად მოსპოს, არ კლავს მას და საქციელი მისთვის შედეგის მომტანი არ არის“. „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც კრიშნას შეგნებით მოქმედებს, მაშინაც კი, როცა ის კლავს ადამიანს, არც მკვლეელია და მას არც მკვლელობის შედეგი ეხება“. „კრიშნას შეგნებაში შესრულებული მოქმედებები, რომლებიც განხორციელდნენ შიგნიდან, მისი ხელმძღვანელობით, არ იწვევენ შედეგს არც ამიერ და არც იმიერ ცხოვრებაში“. და ეს მხოლოდ მცირეა იმ ციტატებისა, რომლის მოყვანა კვლავაც შეიძლება. როგორც ხედავთ, ადამიანის მოკვლა შესაძლებელია, ზოგჯერ საჭიროც კი ყოფილა, უფრო მეტიც, თუ ადამიანს „კრიშნას შეგნებაში“ მოკლავ, გამოდის, რომ კარგ საქმეს ემსახურები. გავრილოვსაც ხომ სწორედ ასე მიაჩნდა, რომ ის არა მარტო „კრიშნას შეგნებაში“ მოქმედებდა, არამედ თვით მისი პირადი მითითებითაც კი“.

აღსანიშნავია სწორედ ის, რომ ა. დვორკინის მიერ მოყვანილი ციტატები ძველი ტექსტებიდან კი არ არის ამოღებული, არამედ ამ ტექსტების თანამედროვე კომენტარებიდან. ეს კომენტარები კი XX საუკუნის მეორე ნახევარში „კრიშნას შეგნების საზოგადოების“ დამაარსებლის, პრაბხუპადას, მიერაა დაწერილი.

რუსეთში არსებულმა „კრიშნას შეგნების საზოგადოების ცენტრმა“ მაშინვე განაცხადა, რომ ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. თუმცა ეს საზოგადოება ყოველთვის უარყოფს რაიმე კავშირს თავიანთ დამნაშავეებთან.

დანაშაული კი უამრავი მოხდა ამ ფსევდოინდუსტრიული სექტის დაარსების დღიდან.

30 წლის კრიშნაიტი ნიკოლაი ნეპოჩატოვი, „რუსეთის კრიშნას შეგნების საზოგადოების“ წიგნებს ავრცელებდა. ამა წლის დასაწყისში მან ნაცნობი ქალბატონის ლ. მ-ს სახლში ღამე გაათია. ქალბატონს შეეცოდა მიუსაფარი კრიშნაიტი და შესთავაზა საცხოვრებლად მასთან დარჩენილიყო, თანაც იმედოვნებდა, რომ მიხედავდა მის 11 წლის ქალიშვილსაც, რომელიც უმამოდ იზრდებოდა. ნეპოჩატოვმაც კარგად „მიხედა“ ქალიშვილს. ჯერ ინდურ ღმერთებზე საუბრებით გოგონა მიიჩვია, მერე გააუპატიურა და მუქარით მოითხოვდა, თავისი ამხანაგები მიეყვანა მასთან. ძნელი მისახვედრი არ არის, რით დასრულდებოდა იმ გოგონების სტუმრობა, მოულოდნელად დედას რომ არ შეესწრო ნეპოჩატოვი თავის შვილთან.

ნანახით გაოგნებული ლ. მ. მოსკოვის კრიშნაიტების ცენტრში მივიდა. იქ ორი გოგონა შეხვდა. გულშემოყრილმა მათ თავისი ამბავი უამბო, რათა მსგავსი რამ არ დამართოდათ, მაგრამ ერთ-ერთმა გოგონამ უპასუხა: „ჩვენც ასე მოგვივიდა, მაგრამ ახლაც ძველებურად გვიყვარს კრიშნა და მის სამსახურში ვიქნებით“.

ცნობილია, რომ 1966 წლიდან, რაც „კრიშნას შეგნების საერთაშორისო ორგანიზაცია“ არსებობს, „კრიშნას შეგნებით“ ჩადენილია უამრავი მკვლელობა, ბავშვების გაუპატიურება, პედოფილია და ა. შ.

*„ახალი ერა“, 2001 წელი, 27 თებერვალი*

## ღაიჯარეთ, ღაიჯარეთ გამსახურდიას თვითმკვლელობის მითი!

8 აპრილს, ბზობას, „რუსთავი-2-მა“ მორიგი „60 წუთის“ ნაცვლად, ფილმი „ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი დღეები“ გვიჩვენა.

გამოგიტყდებით, მთელი ღამე არ დამეძინა და იცით რატომ? იმიტომ, რომ ავტორს სურდა თავისი ვერსია ჩემთვის ძალით თავს მოეხვია, ცდილობდა, დავერწმუნებინე – მეტად ობიექტური ვარ და, რასაც გეუბნები და გიჩვენებ, სწორია და უტყუარიო. მაგრამ აზრი, მოგეხსენებათ, დიდი თავნება რამ არის – სვამს კითხვებს და თავადვე პასუხობს. შენც ამ კითხვებს მიჰყვები და კითხვებზე პასუხს ეძებ:

1. რატომ ყვებოდნენ ზვიად გამსახურდიას ჭრილობებზე დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი ავთანდილ იოსელიანი და კომუნისტი ბატონი ავთანდილ მარგიანი და არა ამ დარგის სპეციალისტები, იქ მყოფი ექსპერტები: ქალბატონი თამარ დეკანოსიძე და ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი?
2. რატომ ყვებოდა პრეზიდენტთან გატარებულ ბოლო დღეების შესახებ მხოლოდ მარგველანი და არა ბაჩუკი ან ბატონი ბესარიონ გუგუშვილი?
3. რამდენად სარწმუნოა მასპინძელი ქალბატონის ნაამბობი: „ბოლო დღეებში მანონს და წყალს მიირთმევდა, სხვას არაფერს“? შობის მარხვაში ღრმად მორწმუნე, მართლმადიდებელი ზვიად გამსახურდია, მანონს მიირთმევდა და მერე თავს მოიკლავდა?!
4. მოკლეს (ვინ და სად მოკლა) პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და შემდგომ მისი თანხლები პირები (?) მშვიდად და დაუბრკოლებლად გადავიდნენ ბათუმში და იქიდან გააღწიეს გროზნოში?! მართალია, რომ კავკასიონზე გადასვლის შესაძლებლობა პრეზიდენტს ჰქონდა, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო?!

შესანიშნავი და წინასწარმეტყველურიც არის კადრი, სადაც მღებრიშვილი – „მამა აბრამის ბატკანი“ – დგას მთავრობის სახლის, უკაცრავად, პარლამენტის შენობის ფონზე და „მიამიტი“ სახით ხის ჯვრებს შორის კადრში იმზირება.

გოლგოთაზე ასვლა ხომ მხოლოდ რჩეულს ძალუძს, ხოლო ცოდვამოუნანიებელთა ხვედრი კი – ქვესკნელია.

დღის 12 საათზე, პირველი არხით, პარლამენტის შენობასთან 80-ოდე კაცის თანდასწრებით, ბატონმა ე. შევარდნაძემ მორიგი „ბრძნული“ აზრი მოგვანოდა. ჩრდილოეთიდან ამომავალი მზის მსგავსად, მან მიზეზ-შედეგობრიობის კანონის გაუთვალისწინებლად (?) თარიღების აღრევაც მოინდომა, რაც ისტორიის გაყალბებას ნიშნავს.

1991 წელს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობის ხელმეორედ გამოცხადება ხომ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა და სწორედ ამიტომ ამ დღეს მოახდინა მისი დეკლარირება, ხოლო 26 მაისს კი ჩვენ 1918 წელს დეკლარირებულ დამოუკიდებლობას აღვნიშნავთ, რისი აღრევაც ყოველად დაუშვებელია. ერთ საუკუნეში დამოუკიდებლობის ორგზის გამოცხადება სწორედაც უტყუარი ნიშანია ქართველი ერის უწყვეტი ეროვნული დაუმორჩილებლობისა და მუდმივი ლტოლვისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

როგორც თვით ბატონმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, მას ეს მოსაზრება ჯერ არავისთვის გაუნდვია, თუმცა იქვე დასძინა, რომ ილია II-ეც ეთანხმება მას.

იმავე საღამოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში ბათუმის სიმფონიურმა ორკესტრმა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია უზადოდ შეასრულა. ამ კონცერტს ფაქტობრივი ხელისუფლება, „ნოვიე გრუზინები“ და მათი დაცვა ესწრებოდა.

მთავარ ლოჟაში, მარცხნიდან მარჯვნივ (თუ სცენიდან ვუყურებთ) ისხდნენ: ქალბატონი ნანული, კარგად დაყენებული ღიმილით, მისი მეუღლე – „ჩვენს“ პრობლემებზე

ჩაფიქრებული პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ლოჟის სიღრმეში – სახელმწიფო მინისტრი. გვერდით ლოჟაში – ბატონი ნიკო ლეკიშვილი, რომელიც მზესუმზირას, თუ პოპკორნს (ჩვენებურად ბატი-ბუტს) შეექცევოდა.

ძლიერი კრემჩენდოთი დამთავრდა სიმფონია. ვიფიქრე, ტაში იქუხებს-მეთქი, მაგრამ... ასეთი „ჩუმი“ ტაში არასდროს მსმენია. ბატონი პრეზიდენტი ზის და სადღაც შორს მზირალი თვალებით (ჩვენი ყოფით „დადარდიანებული“ ალბათ (?) მარჯვენა ხელის თითებს მარცხენა ხელისგულს უხმოდ ადებს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამოვიდა სცენაზე დირიჟორი და ორკესტრმაც მადლობის ნიშნად თავი დახარა, მაგრამ პრეზიდენტი, მაინც ღრმა ფიქრებში წასული, უხმოდ „უკრავს“ ტაშს. უეცრად ტაშის ხმა გაძლიერდა და კამერამ ფეხზე დამდგარი პრეზიდენტი გვიჩვენა, მასურებელი ნელ-ნელა წამოდგა, მაგრამ ადგილზე დარჩა. მცირე პაუზის შემდეგ პრეზიდენტმა სცენას ზურგი შეაქცია და ლოჟის სიბნელეში გაუჩინარდა. მოგვიანებით მასურებელიც შეტოკდა და გასასვლელისკენ დაიძრა.

ვინ იცის, რამდენი იყო იმ დარბაზში ისეთი, ვინც ოპერაში პირველად მივიდა და რა თავბედი იწყევლა იქ იძულებითი მისვლის გამო!?

იმ საღამოს „რუსთავი-2-მა“ კიდევ ერთი „სურპრიზი“ მოგვიმზადა: ფილმი 9 აპრილის შესახებ.

მეტად ტენდენციურად და მიკერძოებით შექმნილი ეს „შედევი“ ამჯერადაც ტოვებს დიდი სინანულის გრძნობას იმის გამო, რომ არცერთხელ არ ახსენეს მაშინდელი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის, ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის, უზარმაზარი „ღვანლი“ ამ თარიღთან დაკავშირებით. მართალია, ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა არ იცის, ვინ იჯდა „ლიტერის“ თვითმფრინავში 8 აპრილს, მაგრამ გივი გუმბარიძემ ხომ იცის ეს (!!) და, რაც მთავარია, მთელმა საქართველომ იცის, რომ რუსის ჯარი, როგორც თვით შევარდნაძემ მრავალჯერ განაცხადა, მისი დიდი მეცადინეობის შედეგად

გავიდა თბილისიდან და მოიხსნა საკომენდატო საათი. რატომ „დაუკარგეს“ ფილმის ავტორებმა ამხ. შევარდნაძეს ეს დაუვინყარი „ღვანლი“, განეული საქართველოსთვის იმ საშინელი გლოვის დღეებში? რატომ „დაუმაღეს“ ეს მაყურებელს?

თუმცა „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

*„ახალი ერა“, 2001 წელი, 20 აპრილი*

**მრუდე სარკეების სამეფოში.  
სრუშირვის „კომუნიზმის მწვერვალეში“  
და შევარდნაძისეული „აღმავლობა“  
საქართველოში**

ახლახან შევარდნაძემ ტელევიზიით მოგვასმენინა: „როგორც არ უნდა იკივლონ და იჩხავლონ, მაინც უნდა ვთქვა, რომ აღმავლობა დაინყო“. ამ ამბავმა ხრუშირვის მიერ დანახული „კომუნიზმის მწვერვალეები ჰორიზონტზე“ და მისი სსრკ-ის ცკ-ის მდივნის დროინდელი ანეკდოტი გამახსენა: „...ჰორიზონტი ისეთი ხაზია, რომელსაც, რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდებაო“...

ამ რამდენიმე დღის წინ ტელეეკრანზე თანამედროვეობის „ბრძენი“ პოლიტიკოსი, ამჯერად, მოდურად თმაგაჩეჩილი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ვიხილეთ. მან „მომხიბვლელი“ ღიმილით, მენტორულად-მოქილიკე ტონით გვამცნო, რომ ის ტელესტუდიაში იმიტომ არ მოსულა, რათა თავისი წინაპრების დაბადების მონმობები წარედგინა მაყურებელთათვის და მათ წარმომავლობაზე ესაუბრა (ნეტავი, თუ აქვს რაიმე სათქმელი?), მაგრამ ჟვანია თურმე მართლაც არ უარყოფდა თავის სომხობას, ხოლო, რაც შეეხება სააკაშვილისა და თოფაძის ებრაელობას, ეს უფრო საპატიო ყოფილა მათთვის, ვიდრე სარიშვილი-ჟვანიასთვის სომხობა. არც თუ ისეთ

შორეულ წარსულში ქალბატონი ირინა ბატონ ზვიად გამსახურდიას ფაშისტს უწოდებდა, ხოლო მის პოლიტიკას – პროვინციულ ფაშიზმს. ჩავიხედოთ უცხო სიტყვათა ლექსიკონში, სადაც წერია, რომ ფაშიზმი არის მეტად რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში (რაც გვჭირს ჩვენ დღეს – ქ. ჯ.) აღმოცენდა და იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე აგრესიული წრეების (რომელთა წარმომადგენელიც და რუპორიც დღეს თვით ქალბატონი ირინაა – ქ. ჯ.) ინტერესს გამოხატავს; ფაშიზმი ასევე ეწოდება მონოპოლისტური კაპიტალის ღია ტერორისტულ დიქტატურას (რაც ფართოდაა დღეს გაბატონებული ჩვენს სამშობლოში და რასაც კახა თარგამაძის სახით ასე უშედეგოდ ებრძვის თვით ირინა სარიშვილი – ქ. ჯ.). იქვე წერია: ფაშიზმისთვის დამახასიათებელია ანტიკომუნიზმი (რომლის ტალღაზეც ქალბატონი ირინას კარიერა აღმოცენდა – ქ. ჯ.), დემოკრატიული თავისუფლებების განადგურება (რომელთა განხორციელება რუსთაველის გამზირზე ქვა-ღორღის დაყრით დაიწყო და ტყვიის სროლით დაასრულეს ცოლ-ქმარმა სარიშვილ-ჭანტურიამ და ა. შ. – ქ. ჯ.), შოვინიზმი, რასიზმი (აქაოდა, ქართველები ვართ, არ ვართ სომხები ან ებრაელები და, საერთოდ, „ევროპელები“ ვართო – გაჰკვივან ჩვენი კოსმოპოლიტები – ქ. ჯ.) და უაზრო ომების გაჩაღება (1991-92 წწ. პუტჩი, ბალტინის „მოპატიჟება“). ხოლო თავისი პარლამენტარობის დროს, ანუ შევარდნაძის წინაშე მუხლებზე დაჩოქვის პერიოდში, ქ-მა ირინამ მიმართა თანაპარლამენტარებს: „ხალხნო! გაიგეთ! ისევე, როგორც ერთი კაცის სიძულვილმა გაგვეერთიანა, ახლა ერთი კაცის – შევარდნაძის, სიყვარულით უნდა გავერთიანდეთ“. შესანიშნავი თვითმხილებაა, არა?!

ქალბატონი ირინა და მისი თანამოაზრენი მართლაც და „ერთი კაცის“ – ბატონ ზვიად გამსახურდიას სიძულვილმა გააერთიანა. იმ ადამიანის სიძულვილმა, რომელიც სამშობლოს სიყვარულისთვის შეიძულეს, რომელიც მათ „ვარდებს

ესროდა“, საქართველოს „უძღვლები“ შვილებისთვის ლოცულობდა. ვიმეორებ, საქართველოს „უძღვლები“ შვილებისთვის და არა მარტო ქართველებისთვის. ზვიად გამსახურდიას გვერდით იდგნენ დომუხოვსკი, სერებრიაკოვი, ძმები გინზბურგები და უამრავი არაქართველი, რომლებსაც საქართველო უყვართ, მისთვის სურთ სიკეთე და დღესაც ქართულ საქმეს აკეთებენ. საქართველოსთვის იმ დაუზინყარ დღეებში თქვენ არავის შეუნუხებიათ სომხობის, ებრაელობის, აფსუობის, ოსობის, რუსობის და ზოგადად არაქართველობისა გამო და თუ, სადმე არბევდნენ სხვა ეროვნების ადამიანებს, ეს მავანთა დაკვეთით ისევ თქვენისთანა კოსმოპოლიტიკებისა და მომავალი „ვეროპელების“ ხელით კეთდებოდა, რათა ჭეშმარიტად დემოკრატიულ ხელისუფლებას დაბრალებოდა. ამიტომ, ქალბატონო ირინა, სიძულვილით გაერთიანებულ და მაძღრობით გამოყვანილ თორიას ვირთხებს სიყვარულით გაერთიანება არ ძალგიძტ. და ეს სომეხ-ებრაელობის აგორება ისევ თქვენი და თქვენისთანა ანტიქართველების (გვარს რა მნიშვნელობა აქვს) ნაღვანია, რათა ბნელ კასრში მორიგი ვირთხა შეჭამოთ და ამით კიდევ ცოტა ხნით ყოფა გაიხანგრძლივოთ.

იყო დრო, როდესაც ზურაბ ჟვანიამაც განაცხადა, რომ „მივრცელებენ, თითქოს ჩემი გვარი ჩემი არ არისო“, რასაც მან რუსული აფორიზმით „ჭიქაში ქარიშხალი“ უწოდა და გლობალურ (თუ გლობალიზაციის) პრობლემებზე გააგრძელა საუბარი. მაგრამ ამჯერად მასაც და მის ახლობლებსაც უმტყუნა მოთმინებამ, ანუ „ქარიშხლიანი ჭიქაც“ (ფიალა) ბოლო წვეთმა აავსო. და გაიმართა პრეს-კონფერენცია, სადაც ბევრი რამ საგულისხმო ითქვა. მათ შორის ისიც, რომ მისი დედა, ქალბატონი რემა, ახალციხელი ანტონოვაა, ანუ ანტონაშვილი, რომლის წინაპართაგან ზოგმა გრიგორიანობა (?!), ზოგმაც კათოლიკობა მიიღო, ხოლო ქალბატონი რემას დედა – ქალბატონი სარა მართლაც ებრაელი ყოფილა. ისიც კი ახსოვდათ თურმე, როგორ გათხოვდა ქალბატონი რემა



ჟვანიაზე... ოლონდ არავის „გახსენებია“, რომ გვარი ანტონი-ანიც არსებობს.

ისევ რუსებს უთქვამთ, ვისაც რა სტიკვა, იმაზე საუბრობსო.

რატომ აღშფოთდით, ბატონებო და ქალბატონებო? რატომ დაატრიალეთ ეს „ქარიშხალი ჭიქაში“? განა ეს არის დღეს აქტუალური საქართველოში? განა თქვენი გვარიშვილობა გასცემს გაუცემელ პენსიებსა და ხელფასებს? განა თქვენი წარმომავლობის დადგენა შეამცირებს ტრეფიკინგის, ნარკოტიკების, ალკოჰოლისა და სხვა პათოლოგიების მსხვერპლს?

აბო თბილელი არაბი იყო და ის ჩვენი რწმენისთვის ეწამა, რაც ქართველმა ხალხმა დიდად დაუფასა და ნმინდანად შერაცხა.

ამიტომ, ბატონო ზურაბ, ჩვენ სულ არ გვავინტერესებს თქვენი წარმომავლობა და ეროვნება (რომელიც თქვენ თქვენი დიდის მეცადინეობით საბუთებში, მამის სახელისა არ იყოს, გაგვიუქმეთ). ხოლო, რაკი თქვენ „ევროპელი“ ბრძანდებით და, როგორც არაერთგზის ბრძანეთ, დროა ყველაფერზე ევროპული ფასები დანესდეს, ძალიან გვავინტერესებს:

1. როდის გვექნება ევროპული ხელფასები?
2. სად არის დანაპირები სამუშაო ადგილები? თუ წელიწადში შტატების ორჯერადი შემცირებები და პენსიაზე გასვლის ზედა ზღვარის აწევა სამუშაო ადგილების ზრდას ნიშნავს?
3. სად არის სეკვესტრირებული ხელფასები?
4. როდის იქნება დანაპირები 24-საათიანი შუქი ევროპის მსგავსად?
5. როდის შემცირდება შიმშილით და გაუსაძლისი ცხოვრების მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობა?
6. როდის მოელება ბოლო კორუფციასთან მოჩვენებით ბრძოლას, ანუ ხელის გაშვებით „ქურდია, ქურდიას“ ძახილს?

7. როდის ეღირსებათ ლტოლვილებს დაბრუნება საკუთარ სახლ-კარში?

როდის?... რატომ?... საიდან?... რისთვის?...

ხომ არ არის თქვენ მიერ დატრიალებული „ქარიშხლები ქიქაში“ ყურადღების გადატანის მცდელობა იმ ძირეული პრობლემებიდან, რაზეც პასუხი არა გაქვთ, ბატონებო და ქალბატონებო?!

ისე კი, ხრუშჩოვის მიერ „ჰორიზონტზე კომუნიზმის მწვერვალების“ დანახვამ მისი კარიერის მკვეთრი დაღმასვლა გამოიწვია, ხოლო რას უნდა მოასწავებდეს ის, რომ ჩვენს ხელისუფლებას უკვე შესრულებული ბიუჯეტი და „აღმავლობა“ ელანდება... ვინ უწყის?

ასევე, ვინ უწყის, როდის დაიწყებს საქართველოს მზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ღვთით დაწესებული წესით სვლას და აღარ გვექნება ხან ჩრდილოეთიდან, ხან დასავლეთიდან ამომავალი მზის ციებ-ცხელება, როდის იქნება, რომ ჩვენს თავს „ვეყუდნოდეთ“? იქნება კი, ჩვენო „ბრძენო“, „ერთგულო“ და „თავდადებულო“ „პოლიტიკოსებო“?

თქვენს ხელში – არასდროს!...

*„ახალი ერა“, 2001 წელი, 20 ივლისი*

## აისბერგი თუ არა სეკვენსტრი შივარდნაძის 32 მილიონს და მის გაბერილ მუცელს?

*როგორც ტელევიზიით შევიტყუეთ, საქართველოს მოსახლეობას შევარდნაძის საზღვარგარეთული ვოიაჟები, სულ მცირე, 32 მილიონი ლარი დაუჯდება.*

*ამ საკითხმა ჩვენც დაგვაინტერესა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრესით შევიტყუეთ, რომ ამერიკაში ბოლო ვიზიტის დროს შევარდნაძეს მხოლოდ ასი კაცი(!) ახლდაო...*

თუ ერთი კაცის წაყვან-წამოყვანა თავისი მივლინების ხარჯებით, სულ მცირე, ათასი ამერიკული დოლარი დაჯდა, გამოდის, რომ შევარდნაძის ბოლო ვოიაჟი ამერიკაში ჩვენ, საქართველოს მოსახლეობას, ასე ათასი ამერიკული დოლარი დაგვიჯდა. საკითხავია, რამდენი თვის პენსიების დავალიანებას გაისტუმრებდა ეს თანხა?

ახლა რაც შეეხება შევარდნაძის და მისი დაცვის მხოლოდ ქალაქში ყოველდღიურ გადაადგილებას... რად გვიღირს ეს საქართველოს მთელ მოსახლეობას და განსაკუთრებით კანცელარიის და კრწანისის რეზიდენციის მახლობლად მცხოვრებ ხალხს?

უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის მიყვანა-მოყვანა გზების გადაკეცილობით და მოძრაობის გაჩერებით გამოიხატება, რაც დიდ უხერხულობებს უქმნის მოსახლეობას.

ახლა კი მოდით, მიახლოებით მაინც გავიაზროთ, რა ხდება „შევარდნაძის ტრასაზე“ და რა ხარჯებია იქ.

სულხან-საბას ქუჩაზე ცხრა ეზო და თერთმეტი სადარბაზოა. ყოველ შესასვლელთან თითო პოლიციელი დგას, ხოლო ყოველი ეზოს კარებს, ციხის კარივით, დიდჯაჭვიან ბოქლომს ადებენ. ამ დროს, ღმერთმა ნუ ქნას, და ვინმემ სახლიდან გა-

მოსვლა დააპიროს ან ამ ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩნდეს, მაშინვე აიძულებენ სადარბაზოს სიღრმეში შევიდეს და კარებთან მიახლოებას აუკრძალავენ, ხოლო ეზოდან გამოსვლის მსურველი კი პატიმარივით დგას გისოსებს მიღმა იმის მოლოდინში, თუ როდის ჩაიქროლებს შევარდნაძის ამაღლა და პოლიცია ბოქლომს მოხსნის ეზოს კარს.

ჯაჭვიანი ბოქლომების გაკეთება-მოხსნის დროს ქუჩა ციხის ხმებით ივსება და ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ მთელი საქართველო ციხედაა ქცეული.

მხოლოდ ამ ერთ ციციქნა ქუჩაზე, როგორც წესი, ოცი კაცი დგას. ქუჩის თავსა და ბოლოში კი – ოთხ-ოთხი პოლიციელია (აქედან ორ-ორი ავტომატიანია). ლეონიძის ქუჩაზეც იგივე სურათია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ პოლიციელები ტროტუარის პირას სამანქანო გზისკენ ზურგით დგანან. ნეტავ იმიტომ ხომ არაა, რომ მათი თვალი არ ეცეს შევარდნაძეს?

მოკლედ, ეს სამოცამდე ტალიკტალიკა ვაჟკაცი დგას ასე დილა-სალამო საკუთარი ხალხისადმი ბოქლომ და ავტომატ მოღერებული!

თუ ამ ყმანვილების ხელფასი თვეში, სულ ცოტა, ასი ლარია და ეს მხოლოდ ერთი ნაკადია (ვინ გეტყვის ასეთი ნაკადი რამდენია?!), მათი ხელფასი ერთ თვეში ხუთი ათას ექვსასი ლარია.

თვით შევარდნაძე კი რვა მანქანის კორტეჟით დაჰყავთ. ამას ემატება ქუჩების გადამკეტი მანქანებიც და მოგროვდა ოცამდე მანქანა, რომელშიც საშუალოდ ოთხ-ოთხი შეიარაღებული კაცი ზის. გამოდის, რომ მანქანაში მჯდარი 80 კაცის (ისინი უკვე მაღალჩინოსნები არიან) ხელფასიც შესაბამისად უფრო მაღალია. თითო კაცზე, საშუალოდ, ორასი ლარი რომ ვივარაუდოთ, თვეში თექვსმეტი ათასი ლარი გამოდის. ამას დამატებული ბოლო გასეირნების თანხა და გამოდის, რომ შევარდნაძის „ქუჩის“ დაცვა და მისი ერთი ვოიაჟი გასულ თვეში ჩვენ დაგვიჯდა, სულ ცოტა, ორას ოცდახუთი ათასი ლარი, ოღონდ აქ არ შედის არც ბენზინის თანხა და არც დაცვასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯები.

ყოველივე ამის ფონზე ხელისუფლება სულ თავს გვამად-  
ლის და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ვინაიდან მოსახლეო-  
ბა იპარავს შუქს და გაზს, ამიტომ იგი იძულებულია, ჩვენ  
გავვითიშოს, ხან ორივე ერთად, ხან მონაცვლეობით, თანაც  
გვეუბნებიან, სხვადასხვა „დასაბუთებულ“ მიზეზებთან ერ-  
თად, მოპარულის (ვის მიერ?) ასანაზღაურებლად უნდა გაიზ-  
არდოს გადასახადებო.

მთავრობის და ხელისუფლების გასაგონად ვაცხადებთ,  
რომ ხალხი არც შუქს და არც გაზს არ იპარავს. ხალხი ცდი-  
ლობს ის მცირე ნაწილი მაინც დაიბრუნოს და აინაზღაუროს,  
რაც მას მთავრობამ ასე უსირცხვილოდ უკვე მოპარა:

1. ანაბრების მითვისების სახით;
2. მწირზე მწირი პენსია-ხელფასების დანიშვნით;
3. ამავე მწირი პენსია-ხელფასების „გაყინვა“-გაუცემლო-  
ბით; და უფრო მეტიც, ყველანაირ გადასახადზე თანხის  
მომატების გზით ლამობს, ჩვენი ძარცვა გააგრძელოს  
გაუცემელი პენსია-ხელფასების ფონზე.

ყოველივე ის, რაც მოგახსენეთ, აისბერგის მხოლოდ  
წყლის ზედაპირზე მყოფი ნაწილია და არა თვით აისბერგი, რო-  
მელიც შედგება, ბევრად უფრო დიდი ნაწილისაგან (ანუ დამა-  
ლული თანხებისგან). ისე კი, როცა აისბერგი ცივ წყლებშია,  
ვაი, იმ გემის ბრალი, რომელიც „ტიტანიკით“ მას გზაზე გა-  
დაეყრება. დღეს საქართველოს ხელისუფლება „ტიტანიკზე“  
მყოფი მგზავრებივით პანიკამ მოიცვა. მათ ბევრი ფული აქვთ,  
მაგრამ ეს ფული მძვინვარე სტიქიას, ანუ ღვთის ნებას, ვერ  
მოისყიდის. თვით აისბერგმა კი შესანიშნავად უწყის, რომ ბო-  
ლოს ეკვატორს მიუახლოვდება, სადაც ის მალე დადნება და  
აორთქლდება ისტორიის მცხუნვარე მზის ქვეშ; ხოლო მის  
კორუმპირებულ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელი-  
სუფლებას ისტორიის მორევი ჩაითრევს, რაც ჩვენ გარშემო  
მძვინვარებს და ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე?!

*„ახალი ერა“, 2001 წელი, 30 ნოემბერი*

## პრეზიდენტის ნაქვის ხა...

ერთმა ახლობელმა დამდეგი ახალი წელი ნაძვის ხის ზემზე პრეზიდენტის მოსაწვევით მოგვილოცა. მართალი გითხრათ, გამიხარდა, იმიტომ, რომ მეგონა, დღეს ჩვენში გამეფებული სევდიანი განწყობილების ფონზე აქ მაინც შედეგობდა გამორჩეული ზეიმი პატარებისთვის მაგრამ... სჯობს თანმიმდევრობით მივყვე სათქმელს.

გისოსებშემორტყმული კანცელარიის კართან ხალხი ირეოდა. ზოგი მოსაწვევით ხელში კარისკენ მიიწვედა, ზოგიც ზედმეტ მოსაწვევს ითხოვდა. გისოსებს იქით კი ორი პოლიციელი საგანგებოდ დანომრილ მოსაწვევებს ამონმებდა. როგორც იქნა, შენობაში შევედი. აქ უკვე პოლიციელების ჯგუფმა მოგვთხოვა ჩანთიდან და ჯიბეებიდან ამოღებული მეტალის საგნები მაგიდაზე დაგვედო, ჩვენ კი „ზარიან“ კარებში გაგვატარა. მერე ჯაგრისის მაგვარი ხელსაწყო გარშემო შემოგვავლო, რის შემდეგ დაგვრთეს ნება აგველო შემონმებული ჩანთა და ჩვენს უკან მდგომს მიუბრუნდა.

მოკლედ, ისე შეგვამონმეს, თითქოს სახელმწიფო საზღვარს ვკვეთდით ან ამერიკულ თვითმფრინავში ვსხდებოდით 11 სექტემბრის შემდეგ. თანაც დარბაზისკენ მიმავალ გზაზე მიგვაცილებდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ დეტექტივთა მწკრივი – რაციებით ხელში. რაც მართალია, მართალია, ნაგაზები არ მინახავს.

როგორც იქნა, მივალწიეთ დარბაზს და ჩვენს ადგილებზე მოვთავსდით. სიცივეს შეჩვეულებს უჩვეულო სითბოსგან დაგვცხა და ბავშვები გახდილი ქურთუკებითურთ კალთაში ჩავისვით... გასახდელი არსად ჩანდა და არც არავის შემოუთავაზებია, ჩვენ კი დიდი ხანია, რაც ამგვარ რამეებს „გადავეჩვიეთ“.

საინტერესო სანახაობის მოლოდინში სცენაზე განლაგებულ დეკორაციებს ვათვალიერებდით. პირველი, რაც იხყრობს ყურადღებას, ესაა სადეკორაციო სტენდები და ხელით

ნაწერი შემდეგი შინაარსის ციტატები თუ კანონიდან ამოღებული მუხლები: „ბავშვებს აქვთ უფლება, იცხოვრონ მშობლებთან!“, „ბავშვებს და მათ მშობლებს აქვთ უფლება, იცხოვრონ ნებისმიერ ქვეყანაში!“, „ბავშვებს აქვთ უფლება...“.

მოგვიანებით, უფროსები მივხვდით, რომ ეს სპექტაკლის ლაიტმოტივი ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგახანს მოლოდინში ვიმყოფებოდით და სცენის მარცხენა მხარეს სადეკორაციო ფარებს უკან მიჭუჭყული, სანახევროდ განყოფილი, ხელოვნური (მადლობა ღმერთს, რომ ხელოვნური და არა ნამდვილი) ნაძვის ხეც დეკორაცია გვგონია.

როგორც იქნა, ჩვენ გვერდით მდგომმა, სამოქალაქო ტანსაცმლიან-უნაგაზო მამაკაცმა, რაციას ჩასძახა: „ჩაკეტეთ კარები“, – და წარმოდგენა დაიწყო.

სპექტაკლის შინაარსი მეტად უნიჭო, პრიმიტიული და ზემოთ მოყვანილი ციტატებით უაზროდ გაჯერებული აღმოჩნდა. მდიდრულ კოსტუმებში გამონყოფილი მთავარი მოქმედი პირები – ბურდუბალიის სამეფოს ბატონ-პატრონი: ბურდუბალა და მისი ცოლი ცუდ, გაუგონარ ბავშვებს იჭერენ და აიძულებენ მძიმე სამუშაო შეასრულონ. „ამ დაჭერილ“ ბავშვებს, რომლებიც სცენარის თანახმად, პერიოდულად მღერიან, ბურდუბალიიდან თავის დასაღწევად ბურატინო და კარლსონი (?!) ეხმარებიან. მაგრამ მათი ძალისხმევა საკმარისი არ ყოფილა და სცენაზე ორი ფერია, სახელად უნი და სეფი, გამოდის. ფერიები უნისონში ლაპარაკობენ და ამის გამო მათ მოითხოვეს ერთი სახელი – უნისეფი (UNISEF – ბავშვთა საერთაშორისო ფონდი) დაგვიძახეთო.

ეტყობა, ამ სპექტაკლისა და საჩუქრებისთვის განკუთვნილი თანხა UNISEF – ის ფონდმა გაიღო და არა პრეზიდენტმა, ხოლო ბავშვთა უფლებების დაცვის პლაკატები და ის აბრაკადაბრა, რომელსაც მსახიობები წარმოგვიდგენდნენ UNISEF – ისადმი მიძღვნილი უნიჭო ოდა იყო.

იმედგაცრუებული ბავშვები სახლში წასვლას ითხოვდნენ, მშობლები კი იმით აჩერებდნენ, რომ თოვლის ბაბუა,

რომელიც არსად ჩანდა, საჩუქარს არ მისცემდა მათ, თუ ისინი ბოლომდე არ დარჩებოდნენ. როგორც იქნა, სპექტაკლი დასრულდა: ბოლმით და გაუმადლობით ბურთებად გცეული ბურდუბალა და მისი მეუღლე გასკდნენ და ქვეყანას მოეფინა ნათელი. მაყურებელი მაშინვე აიშალა და საჩუქრების ასაღებად მიაშურა იქით, სადაც ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი დახლიდან ნაირ-ნაირ ფერებიან, ბრჭყვიალა ქალღმერთებში გახვეულ საჩუქრებს არიგებდნენ.

300 გრამ (ასე ეწერა კოლოფზე) ტკბილეულთან ერთად ყველა საჩუქარს პანია თოჯინა ან მანქანა მოყვებოდა.

მავანი იტყვის; „მეტი რალა გინდა, შე, დალოცვილოო!“ რა მინდა და ის, რომ ეს ყველაფერი ზრუნვას მოკლებული ბავშვებისთვის, რომლებიც აქ დეკემბერში მოიყვანეს, მეტად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია, ხოლო მშობლებიანი ბავშვებისთვის სრულებით გაუგებარი და ინტერესსმოკლებული. მიუხედავად იმისა, რომ საჩუქრები მეტ-ნაკლებად ნორმალური იყო, მე იქ ბედნიერი და გახარებული ბავშვი არ მინახავს. ჩვენი უმძიმესი ანმყოს ალეგორიულმა, მაგრამ უნიჭო სპექტაკლმა ბავშვები დალაღა და დაქანცა. ფონოგრამით მიმდინარე მდარე შინაარსის მდარე სპექტაკლს მსახიობების ძალისხმევამაც ვერ უშველა.

ცნობილი რუსი რეჟისორი კონსტანტინე სტანისლავსკი ამბობდა: „თეატრი გასახდელიდან იწყება“. ამ გამოთქმის პერიფრაზი შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „ქვეყანა პრეზიდენტის კანცელარიით იწყება“, ანუ ჩვენი უბედური ყოფა აქედან იღებს სათავეს და ირეალური ზღაპრის დასასრულის რეალურ განხორციელებას, ე. ი. ბოროტებაზე სიკეთის ძლევას მოითხოვს.

*„ახალი ერა“, 2002 წელი, 8 იანვარი*



## ზომბირაული ტელენარკომანია

*ადამიანის ფსიქოტრონული მართვის ზოგერთი ასპექტი, მათ შორის 25-ე კადრის გამოყენების შემთხვევაში, ჩვენ უკვე განვიხილეთ ადრე გამოქვეყნებულ წერილში („ახალი ერა“, №31, 2000 წ.). დღეს ამ თემას ვაგრძელებთ, რათა მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ზომბირების კიდევ სხვა მეთოდზე. ზოგადად, ჩვენს მოსახლეობას და, კერძოდ, ახალგაზრდებს მართავენ ტელე-ვიდეო-აუდიო- და კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით.*

ჩვენი მიზანი სულაც არ გახლავთ, აიკრძალოს თანამედროვე ტექნიკა, თუმცა, აქაც ისევე სავალდებულოა ზომბირება და სიფრთხილე, როგორც – ნარკოზის გამოყენებისას. გარკვეული დოზით ნარკოტიკული საშუალება ავადმყოფისთვის ტკივილგამაყუჩებელია, მაგრამ ამ წამლით უზომო გატაცება იწვევს მძიმე დაავადებას, რომელსაც ნარკომა-ნია ეწოდება.

ფსიქოტროპული ზემოქმედება ნიშნავს ადამიანზე მიზანმიმართულ მოქმედებას ისეთი ელექტრომაგნიტური ველებით, რომლებიც იწვევენ მის აზროვნებასა და ქცევაში მკვეთრ ცვლილებებს ამა თუ იმ სიტუაციის მიხედვით. ამ დროს ადამიანის ორგანიზმის რღვევა ხდება არა მარტო ცალკეული ორგანოების ფიზიოლოგიური პროცესების, არამედ თვით უჯრედის ფუნქციონირების დონეზეც კი. თუ ადამიანი ხანგრძლივად იმყოფება ფსიქოტროპული გავლენის ქვეშ, მის ორგანიზმში იწყება შეუქცევადი ცვლილებები. სწორედ ამ დროს ხდება ადამიანის ორგანიზმისა და განსაკუთრებით, ცნობიერების სრული დეგრადირება.

წინა საუკუნის 30-იან წლებში რუსმა მეცნიერმა ა. მიხაილოვსკიმ დაადგინა, რომ ადამიანზე გარკვეული სიხშირით

კომბინირებული ელექტრომაგნიტური იმპულსების მოქმედებისას მის ტვინში აღიძვრება ერთგვარი ემოციური განწყობა, რასაც მოჰყვება შინაგანი ორგანოების მუშაობის რიტმის არევა. ეს აღმოჩენა, რომლითაც შეიძლებოდა მთელი რიგი დაავადებების განკურნება, გამოიყენეს ისეთი ხელსაწყოების შესაქმნელად, რომელთა მეშვეობით, პირიქით, ითრგუნება ადამიანის ნებისყოფა და იმართება მისი გუნება-განწყობილება.

50-ან წლებში KFB (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი – ქ. ჯ.) აღიჭურვა ისეთი ხელსაწყოების ნიმუშებით, რომელთა გამოყენებით ადამიანი „ხდებოდა პატიოსანი“, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ საფრანგეთსა და აშშ-ში დაიწყო ისეთი გადამცემების გამოყენება, რომელთა მეშვეობით ხალხში აღიძვრებოდა პანიკის შეგრძნება და დიდი დემონსტრაციები ადვილად იშლებოდა.

70-ან წლებში საჯარისო ნაწილებში ჩატარდა ადამიანის ტვინზე დისტანციური ზეგავლენის შემსწავლელი ცდები. 80-იან წლებში კი შეიქმნა სპეციალური აპარატურა, რომლითაც დედამიწის ორბიტიდან ახდენდნენ ზეგავლენას ისეთ ფართობზე, რომელიც გაცილებით აღემატებოდა საფრანგეთის ტერიტორიას. შეიქმნა ბიოგენერატორთა გარკვეული სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა კონკრეტული ადამიანის მართვა მის ბიოენერგეტიკულ მახასიათებლებზე ზემოქმედების გზით.

ყოფილ საბჭოთა კავშირსა და წამყვან მსოფლიო ქვეყნებში ინფრაბგერის გავლენის შესწავლის მიზნით ჩაატარეს კანონით აკრძალული ცდები. ადამიანები, რომლებიც ერთ დიდ სახლში ან ცალკე უბანში ცხოვრობდნენ და რომელთაც ამის შესახებ არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ცდის დამთავრების შემდეგ მასობრივად აკითხავდნენ რაიონულ პოლიკლინიკას თავის ტკივილის, გულისრევის შეგრძნების, უსაფუძვლო შიშისა და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გაუარესების გამო.

სულ ათიოდე წლის წინ ადამიანს, რომელიც აცხადებდა, რომ ის ფსიქოტროპული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ფსიქიატრთან ურჩევდნენ მისვლას. ამჟამად, ბევრი ექიმი ამ პრობლემას სხვაგვარად უდგება და აღიარებს, რომ ამ საკითხს უფრო დეტალური და კვალიფიციური კვლევა ესაჭიროება.

საბჭოთა კავშირის 1991 წლის კონსტიტუციაში შეტანილი იყო მუხლი, რომლის თანახმად ადამიანზე ასეთი ცდების ჩატარება მათი პირადი თანხმობისა და ნებართვის გარეშე იკრძალებოდა. მსგავსი კანონები ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაშია. თუმცა მათი არსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ შეწყდა ადამიანის ფსიქიკაზე ფსიქოტროპული იარაღის გავლენის ფარული კვლევა-ძიება. ასეთი კვლევები ან გასაიდუმლოებულია, ან სრულიად სხვა კუთხით მიმდინარეობს.

მსგავსი სამუშაოები რუსეთში დღესაც ტარდება, თუმცა უფრო მცირე მასშტაბებით. ამ მასშტაბების შემცირება ორი მიზეზითაა გამოწვეული. პირველი მიზეზი ფინანსების სიმწირეა, რამაც მეორე მიზეზი განაპირობა, კერძოდ, ძველი მიზნების შესრულება ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით (ტელევიზია, რადიო და გლობალური კომპიუტერული ქსელი) სცადეს და შედეგიც „კარგი“ მიიღეს.

მოსახლეობის დამუშავების მასშტაბები შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ. ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი დღეს, პრაქტიკულად ყველასათვის ხელმისაწვდომია და თავისებურად ინფორმაციულ ნარკოტიკს წარმოადგენს. ხალხი საათობით უყურებს სხვადასხვა არხით გადმოცემულ სერიალებს და მოუთმენლად ელის მათ გაუთავებელ გაგრძელებას. ტელევიზია განაპირობებს თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრების „ახალ წესს“. ბავშვები, რომლებიც ხედავენ, რომ მათი მშობლები დილით თვალის გახელისთანავე და სამსახურიდან შინ მოსვლისთანავე (თუ მუშაობენ), უპირველესად, რთავენ ტელევიზორს, უნებურად ტელენარკომანები ხდებიან, კატეგორიულად უარყოფენ წიგნს, ძალდაუტანებლად შთანთქავენ მათთვის მეტად პრიმიტიულად მოწოდებულ ინ-

ფორმაციას და სრულებით კარგავენ გარემოს აღქმისა და შეფასების უნარს.

ამ ცოტა ხნის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ოჯახში ტელევიზორი ჩართულია მხოლოდ ინფორმაციული ან იშვიათი საინტერესო გადაცემის დროს, ასეთი რამ შევნიშნე: „მხიარული ჩაის“ რეკლამის შემდეგ, სადაც მთელი ოჯახი მაგიდის ქვეშ ჩაის შეექცევა, ჩემი 6 წლის შვილი შუა ჭამის დროს ასევე შეძვრა მაგიდის ქვეშ და იქ მოისურვა ჩაის სმა. როცა შევეკითხე, თუ რატომ მოიქცა ასე, ვერ ამიხსნა, მხოლოდ გაკვირვებით მკითხა: „რა, დავაშავე ამით რამე?“. ბავშვს ვერაფერი ვუპასუხე, ჩემთვის კი გავიფიქრე: „ტელე-ზომბირების ნათელი მაგალითი“.

წიგნის კითხვისგან განსხვავებით, ტელეგადაცემების ყურება ძირითადად თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს აქტივირებას იწვევს, რაც ხანგრძლივი ყურების შედეგად საგრძნობლად ამუხრუჭებს მეტყველების ცენტრს. იგივე ითქმის კომპიუტერული თამაშების შესახებ, განსაკუთრებით კი იმ ბგერებზე, რომლებსაც კომპიუტერი ამ დროს გამოსცემს. ყოველივე ამან ფატალური (მომაკვდინებელი) გავლენა იქონია ახალგაზრდა თაობის ვერბალურ ინტელექტზე, ანუ სამეტყველო კულტურაზე. XXI საუკუნის ახალგაზრდების მეტყველება მეტად მწირი და ჟარგონული სიტყვებითაა გაჯერებული, ხოლო წინადადებები ძალიან მარტივია და შესტებით შევსებული.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გათავისუფლებამ მთელი რიგი შეზღუდვებისგან გამოიწვია ის, რომ ეკრანიდან მოედინება დაბალხარისხოვანი პროდუქცია, გაჯერებული სექსით, ძალადობით, პრიმიტიული „საპნის ოპერა“ – სერიالებით და ასეთივე „ხარისხის“ რეკლამებით. ნაცვლად დადებითი ინფორმაციისა და ისეთი გადაცემებისა, რომლებიც მიმართული იქნებოდა პიროვნების სულიერი, ამაღლებული ზრდისკენ, მოედინება უნიჭო, უზნეო, აღვირახსნილი და გარყვნილი ცხოვრების ამსახველი გადაცემების უწყვეტი ნა-

კადი. „ახალი ამბები“ გაჯერებულია ინფორმაციით სრა-სა-სახლეებში არხეინად მცხოვრებ, გაუმადლარ და სამშობლოს გამყიდველ პოლიტიკოსებზე, აგრეთვე, მათ სისხლიან შეტაკებებსა და მკვლევლობებზე, ადამიანთა ძარცვა-გლეჯასა და გატაცებებზე, საშინელ უბედურებებსა და ტერაქტებზე. ადამიანი სახლიდან გამოუსვლელად გაჟღენთილია უარყოფითი ემოციებით, რომლებიც ინვევენ მასში შიშს და ხშირ შემთხვევაში თვითმკვლელობის სურვილსაც კი.

უკვე დამუშავებულია და დიდი ხანია გამოიყენება ადამიანის ცნობიერებაში მავანი პოლიტიკოსის სასურველი იმიჯის დანერგვის მექანიზმი. ნებისყოფაგამოცლილ პირს მასში დანერგილი სტერეოტიპი აჰყავს დაუმსახურებელ სიმაღლეზე და ის მზადაა, განიროს მისთვის უახლოესი ადამიანი „საკუთარი“ ფეტიშის გამო. ასეთი მაგალითი ჩვენს უახლოეს ისტორიაში ყველასათვის ცნობილია. წინა საუკუნის 90-იან წლებში ხშირად გაიგონებდით ასეთ გამონათქვამს: „შევარდნაძე თუ არა, აბა, სხვა ვინ?“. ამის მთქმელთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა; ის ისეთი აგრესიული თავგამოდებით იცავდა თავის „გმირს“, რომ შეურაცხყოფაზეც კი გადადიოდა. მაგრამ, თუ ასეთ ადამიანს ეტყოდ: „რატომაც არა? მაგალითად, შენ!“ – მყისვე სადღაც გაქრებოდა მისი აგრესია და იგი ჩაჩუტული ბურთივით გაყუჩდებოდა. ეტყობა, დანერგილი სტერეოტიპის პროგრამაში ასეთი რამ გათვალისწინებული არ იყო.

ათასობით ადამიანი მუშაობს ამა თუ იმ პოლიტიკოსის იმიჯის შესაქმნელად. იქმნება „ტვინის გამორეცხვის“ მთელი ტელეპოლიტიკური შოუ სკრუპულოზურად შერჩეული სცენარით. შეუმონმებელი, ხშირად თითიდან გამონოვილი, ინფორმაცია ინერგება ადამიანთა გონებაში. ამისთვის გამოიყენება ყველაზე ძვირადღირებული საეთერო დრო – საღამოს საათები, როცა ყოველდღიური ცხოვრებით გათანგული ხალხი ანგარიშმიუცემლად მისჩერებია ტელევიზორს. დაღლილი გონება ყოველგვარი კრიტიკის გარეშე შთანთქავს ნებისმიერ

ინფორმაციას. დღეს „ტვინის გამოსარეცხად“ ჯერჯერობით საესებით საკმარისია ტელევიზორი და ზომბიკ მზადაა.

ამის ნათელი მაგალითია მოსახლეობის მიერ გზების გადაკეტვა შუქის უქონლობის გამო. ასე მასობრივად ხალხი არ გამოსულა არც ბიუჯეტის სეკვესტრის, არც სამუშაო შტატების შემცირების, არც ფასების მომატების ან სხვა სოციალური და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ. ხალხი აცხადებს: „ვიხდით ფულს და მოგვცენ შუქი!“ ისინი უკანასკნელ თეთრს იხდიან იმისთვის, რომ ჰქონდეთ ნარკოტიკი – ტელევიზორის სახით, მაგრამ არავითარ ძალისხმევას არ მიმართავენ თვით იმ მიზეზის წინააღმდეგ, რამაც ეს შედეგი მოგვითანა.

ვუცქიროთ ტელევიზორს, ქალბატონებო და ბატონებო, სანამ ისეთ ზომებზე არ გვაქცევენ, რომ შუქის გამორთვისას, ნარკომანისა არ იყოს, „ლომკების“ მსხვერპლნი შევიქმნებით და ქუჩაში გასვლის თავი აღარავის გვექნება!

*„ახალი ერა“, 2002 წელი, 5 თებერვალი*

## **ინტერვიუ ქალბატონ მარინა ქავსიშვილთან**

უძველესი დროიდან ცნობილია, რომ არაფერი არსაიდან ჩნდება და არსად ქრება – ყველაფერი ერთი სახიდან მეორეში გადადის. განურჩევლად ყველა და ყველაფერი, სულიერი და უსულო, ჩვენთვის ხილული და უხილავი, გაგონილი და გაუგონარიც – დაკავშირებულია ინფორმაციულ ველთან, რომელშიც თავმოყრილია ამომნურავი ინფორმაცია წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ველს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობებიც, რაც ჩვენი გაგებით „კარგს“ და „ცუდს“ შეესაბამება.

ზემოთ თქმულის უფრო დეტალური განხილვა მთავარი სათქმელისგან შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ კავ-

შირს, რომელიც არსებობს ჩვენსა და ამ ინფორმაციულ ველს შორის ზოგი საერთოდ ვერ ან არ აღიქვამს, რის გამოც სრულ ნიჰილიზმამდე (უარყოფამდე) მიდის. ხოლო მათ, ვინც ამას არა მარტო აღიარებენ, არამედ ამ ველთან ურთიერთქმედებენ, ადრე დევნიდნენ, დღეს კი ექსტრასენს, მედიუმს, წინასწარმეტყველს და ა. შ. უწოდებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ შორისაც არიან „კარგები“ და „ცუდები“, ანუ ისინი, ვინც დადებით ან უარყოფით ძალებს ემსახურებიან.

ამიტომ დადგა დრო საუბრისა იმ პიროვნებებთან, რომლებსაც ინფორმაციულ ველთან დაკავშირების უნარი გააჩნიათ და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გარკვეული დასკვნების გამოტანა ადამიანის, ქვეყნის და ბოლოს, თვით სამყაროს საკეთილდღეოდ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ყველა ამ ინფორმაციული ველით ვიმართებით და ამ ქვეყნად ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება. ყველაფერი ისევე კანონზომიერია, როგორც ნიუტონის ვაშლის ჩამოვარდნა ხიდან.

როგორც ჩანს, ჩემი და მარინა ქევზიშვილის გზების გადაკვეთაც ამ კანონზომიერებამ განაპირობა. ქალბატონი მარინა, ათი წლის წინ გამაცნო, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლამარა იოსელიანმა და თან დააყოლა, რომ ის მეტად საინტერესო პიროვნებაა. სამწუხაროდ, ეს გაცნობა ყველასათვის, განსაკუთრებით კი ქალბატონი მარინასთვის, თავზარდამცემი ტრაგედიის ერთი წლის თავზე მოხდა. ამიტომ, როდესაც მან დამშვიდობებისას მითხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ეტყობა ნერვიულობის გამო, ნათქვამს არ მივაქციე ყურადღება და მადლობის გამოხატვად მივიღე.

გავიდა დრო და ქალბატონი მარინას სახლის მახლობლად აღმოვჩნდი. მიუხედავად იმისა, რომ სადღაც მეჩქარებიდა, შევუარე. ისე მიმიღო, თითქოს ჩემი გასაჭირი ზედმინევენით კარგად იცოდა.

ადრე გავგონილი მქონდა, ლადო ასათიანის ქუჩის მიდამოებში ფენომენალური ნიჭის მქონე ქალბატონი ცხოვრობს,

მაგრამ, თუ ეს ჩემი ნაცნობი ქალბატონი მარინა იყო, ვერ წარმომედგინა. ამიტომ ჩემი პრობლემით მისეული ინტერ-პრეტაცია და რჩევები მის ჭკუას და დიდ ინტუიციას მივა-წერე. თუმცა ეს ორი თვისება, ჭკუაც და ინტუიციაც მისთვის თვით ზეძალების მიერ ბოძებულია.

ქალბატონი მარინას საუბარი მშვიდი და აუღელვებელია. სათქმელსაც, რა გინდ მწარეც უნდა იყოს, აუცილებლად გე-ტყვის, სათანადო რჩევებსაც ფრთხილად მოგანვდის. ბევრ-ჯერ ასეც მომსვლია. სხვა ამბის მოყოლიდან ისე რბილად გა-დასულა ჩემს სატკივარზე, რომ მხოლოდ სახლში მისული მივ-მხვდარვარ: „მან ხომ უკვე მიპასუხა იმ შეკითხვაზე, რომლის თქმასაც ვერ ვუბედავდი?“

დღეს, როგორც იქნა, გავბედე, მოვუხმე სითამამეს და შევეკითხე:

**– ქალბატონო მარინა, დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც თქვენს ასეთ უჩვეულო უნარში დარწმუნდით?**

– სამწუხაროდ, მთელი ცხოვრების მანძილზე, მე ვერა-ვინ მიგებდა და, რაც უფრო სატკენია, მეც არ მეგონა, რომ ის, რაც ჩემთვის ჩვეულ ამბავს წარმოადგენდა, სხვებისთვის სრულებით გაუგებარი ყოფილა. ასეთი შემთხვევაც მქონია: ქალს წითელი კაბით ჩაუვლია, მე კი გამიფიქრებია: „ვაი, მალე შავებით რომ შეიმოსება!“ გასულა ცოტა ხანი და ასეც მომხდარა. სულ მანუხებდა ის, რომ მალე ისეთი დრო მოვი-დოდა, როცა არ იქნებოდა შუქი, წყალი, გაზი და თავს ისეთი გასაჭირი დაგვატყდებოდა, რომ, ვაი, ჩვენი ბრალი. ყველას უკვირდა ჩემი პესიმიზმი. სამწუხაროდ, ჩემი სანუხარი ახდა. მე განგებ არ მომყავს უფრო დეტალური შემთხვევები. არ მინდა, საკუთარი თავის რეკლამად გამომივიდეს.

**– როდის და როგორ დარწმუნდით თქვენს ასეთ არაორ-დინალურ მონაცემებში?**

– რაც თავი მახსოვს, სულ მგონია, რომ სხვამაც იცის ის, რასაც ვგრძნობ ან ვხედავ. ყველას ვეკითხები და ველოდები, რომ ვინმე მხარს ამიბამს, მეც ასე ვგრძნობო. მაგრამ გაკვირ-



ვებას და საკუთარი მომავლის გაგების სურვილს უფრო ვანყ-  
დები, ვიდრე თანადგომას. ერთი კი ნამდვილად ვიცი, რომ ყვე-  
ლასთან არის უფალი და ეს ჩემი შეგრძნება ღვთით ბოძებუ-  
ლია. უფლის ნება რომ არა, მეც, ალბათ, ისევე წამიყვანდა,  
როგორც ჩემს შვილს.

სკოლაში ისევე, როგორც ყველა, ვსწავლობდი ფიზიკას,  
ქიმიას და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებს, მაგრამ, სხვე-  
ბისგან განსხვავებით, ვხედავდი იმას, რასაც ისინი ვერ ხე-  
დავდნენ. ბავშვობაში, ჩემი სახლის კედლებზე, შპალერზე,  
ფარდაზე ადამიანებს ვხედავდი. ამ ცოტა ხნის წინ ბათუმში,  
რამიშვილების ოჯახში, ნესტიან კედელზე, სანოლზე მწოლი-  
არე ბერი, მამა გაბრიელი გამოისახა. ეს კარგ ამბად მივიჩნიე  
და იქ მყოფებს ვუთხარი... მადლობა უფალს, იქ მყოფმა ხუ-  
თივე ადამიანმა დაინახა ის, რასაც მე ვხედავდი. დიდი მადლი  
გადმოვიდა ამ ოჯახზე.

**– თქვენ ღვთის მორწმუნე ქალბატონი ბრძანდებით  
და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს წარმოადგენთ.  
როგორ უთავსებთ თქვენს რწმენას და ღვთით ბოძებულ  
ნიჭს ეკლესიის გარკვეულ დოგმებს?**

– ეკლესიური რომ ვარ, იმიტომაც მაქვს ეს უნარი, იმი-  
ტომ იყო, რომ იმას, რასაც ჩემს მეტი ვერავინ ხედავდა, მე  
მეკითხებოდნენ. დღეს უკვე ჩემი სჯერათ, ზოგჯერ ხედავენ  
კიდევ, რასაც ვუჩვენებ. დღეს ორი გოგონა იყო მოსული ჩემ-  
თან. არც თვითონ, არც შვილები მონათლულნი არ ყოფილან,  
არც ჯვარი დაუნერიათ, არც ლოცვა სცოდნიათ, არასდროს  
აღსარება არ უთქვამთ, ზიარება არ მიუღიათ. სახლი არ  
უკურთხებიან. მე მათ ვუთხარი სათქმელი და მიმარჩნია, რომ  
ცუდი არაფერი ჩამიდენია. ყველაფერი ღვთის ნებაა და მის  
გარეშე არაფერი ხდება. ვურჩიე, რომ აუცილებლად ტაძრის  
გზას დაადგნენ. ასე ტაძრის გზაზე ბევრი დამიყენებია. მი-  
მარჩნია, რომ, რაც მეტი ადამიანი დაადგება ამ გზას, მით მალე  
გამოიდარებს ჩვენს გარშემო. რწმენაში შესული ადამიანისთ-  
ვის თმენისა და მოლოდინის უნარიც მეტია.

ჩემთვის ყოველთვის პირველი არის სიტყვა: ღმერთო! პირჯვარს გადავინერ და ვეკითხები, ღმერთთან თუ მიდინახართ, შუამავალი თუ გყავთ? ჩვენი მინიერი ყოფისთვის აღსარება საჭიროა. ლოცვაში ღმერთს პირდაპირ ქვეყნის გადარჩენას და ხალხის ბედნიერებას ვავედრებ. ჩემთვის დიდი ხნის სიცოცხლე უფლისთვის არასდროს მითხოვია. ვლოცულობ, რომ ჩემი ცოდვები მომეტევოს. ბევრ რამეში, რაც ჩემს პირადს შეეხება, ვცდილობ, ღმერთი არ შევანუხო და ვამბობ: „შენი ნებაა, უფალო“. მნამს, როცა უფალი მიიჩნევს საჭიროდ, მე მივალ და ჩემს შვილს ვნახავ. მჯერა, რომ ჩემი შვილის სული სასუფეველშია.

ჩვენ, ყველა, საიქიოში იმ იერარქიულ საფეხურზე მოვხვდებით, რომელსაც აქ, აქაური ყოფა-ცხოვრებით და რწმენით დავიმსახურებთ.

ვისაც სწამს, რწმენით მიეზღვებაო. როცა ჯვარცმულმა ავაზაკმა ქრისტე იწამა და შენდობა სთხოვა, ქრისტემ უპასუხა: „ჩემთან იქნები სასუფეველში!“ საფეხურეობრივი იერარქია აქაც არსებობს. სამყარო მთლიანი და ერთიანია. ისინი უფრო ხედავენ. ჩვენ კი ნაკლებად. ვისაც არ სჯერა, ეს მათი პრობლემაა. იმისთვის, რომ მე ეკლესიაში რწმენით მივსულიყავი, შვილის დაკარგვა დამჭირდა. მე უფლის კრძალვა მაქვს! უფალი განაგებს ქვეყანას. ეკლესიაში შესვლა შიშით არ შეიძლება: მე სულ შვილის დაკარგვის მეშინოდა და დავკარგე კიდევ. დიდი რწმენით და სიყვარულით რომ მიუახლოვდეთ უფალს, საჭიროა, სულის ძვრა.

რწმენა გადაგვარჩენს!... შიში ვერ იხსნის სიკვდილსა!

ამასთან ერთად ღვთის დიდი სიყვარული და მადლიერების გრძნობა უნდა სდევდეს თან ჩვენს ფიქრს, აზრს, სათქმელს, სურვილს და ყოველ ნაბიჯს. უფალს ნურსად ეძებ, ის თვით შენშია.

ასეთი სიტყვების შემდეგ ძნელია რამის თქმა ან დამატება. როგორც ჩანს, დადგა ჟამი იმის გარკვევისა, რაც ჩვენთვის აქამდე მისტიციზმის მიღმა აკრძალულად ითვლებოდა.

უფალი გვიგზავნის მათ, ვისაც ძალუძთ დაინახონ ის, რასაც ვერ ვხედავთ, გაიგონ ის, რაც არ გვესმის... დაე, გვფარავდეს უფალი!

*„პრეს-პრემიერი“, №22, 2003, 20 მაისი*

## **შენყდეს მასწავლებლების შეურაცხყოფა და დამცირება**

„მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის“ (ნაწ. I და II, 2015 წ.) ყველა შეუსაბამობა და აბსურდი რომ განვიხილო, მომიწევს გაცილებით მეტი მოცულობის წიგნის დაწერა, ვიდრე ხსენებული „გზამკვლევია“.

ჯერ სათაური რას ნიშნავს? აქამდე საქართველოში მასწავლებელი არ არსებობდა? თუ უნიგნურთა ქვეყანას წარმოვადგენთ, სადაც ვილაც უვიცებს სურთ მასწავლებლობა? არ გვაქვს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ასწავლიან სპეციალობას და პედაგოგიკის საფუძვლებს? არ ტარდება მომავალი პედაგოგების ცოდნისა და უნარების შეფასების გამოცდები? მაშინ დაწნეროთ მსგავსი „გზამკვლევები“ ეკონომისტებისთვის, იურისტებისთვის, ინჟინრებისთვის და ა. შ. და ა. შ. , ვანერინოთ საკუთარი საქმიანობის შეფასებები, ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები, თვითშეფასების გეგმები, „რომელსაც არავინ წაიკითხავს“ – ასე გვარწმუნებენ „გზამკვლევი“, ყველა სპეციალისტს მუდამ ვაბარებინოთ სხვადასხვა სახის გამოცდა, ვატაროთ „ტრენინგებზე“, ვაგროვებინოთ სტატუსის შესანარჩუნებელი ქულები, გამოვუყოთ „ტრენერები“, დავუნესოთ შემომონებლები, შემომონებლებს გადამმონებლები, გადამმონებლების შემომონებლები („გზამკვლევის“ ტერმინოლოგიით: ფასილიტატორები, შიდა შემომონებლები, გარე შემომონებლები, შეფასების ჯგუფე-

ბი...) და ყველა მათგანს დავუნიშნოთ ხელფასი თუ არა – წამახალისებელი ქულები. და ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის, რომ მასწავლებელმა „კარგად“ ასწავლოს და მიიღოს ისეთი ანაზღაურება, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, განვდება კომუნალურ გადასახადებს. თუ კი ამ პირობებს არ დააკმაყოფილებს პედაგოგი, „დამოკლეს მახვილიც“ გაგვიმზადეს: პედაგოგის „სტატუსის“ შესაბამისობას განიხილავენ, ხოლო მის ადგილზე ახალ ვაკანსიას გამოაცხადებენ (?!!!).

ყოველივე ამას სათავეში უდგას მაღალანაზღაურებადი „მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი“.

როგორც იქნა, მავანმა გაიღო მონყალება და პედაგოგებს „მოგვიმატეს“ ხელფასი. ამ ხელფასის მომატებას გვამადლის ყველა: ისიც, ვინც ცდილობს ამით ქულები დაინეროს, და ისიც, ვინც მასწავლებლისკენ ქვების სროლას არ იშურებს. მერწმუნეთ, ორივე შეურაცხმყოფელია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვით თანხა – დამამცირებელია, და, რაც მთავარია, პედაგოგის ღირსებისა და ავტორიტეტის შემლახველი.

ამ ხელფასების „მომატებას“ საფუძვლად მასწავლებლების სტატუსებად (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი, მენტორი) დაყოფა დაუდეს, რაც, თავისთავად, მიუღებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ამას ადამიანის უფლებების იმდენი დარღვევა, ზღვარს გადასული მოთხოვნა და შეუსაბამობა დაურთეს, რომ მეტის მოთმენა შეუძლებელია.

ეს ზოგადად.

ახლა კი ვისაუბრებ მხოლოდ უფროსი მასწავლებლის „სტატუსის“ შესახებ.

„გზამკვლევის“ გვ. 20, ტ. 1, ა, ბ, გ პუნქტებში დეტალურად აღწერილია, თუ რატომ მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოქმედ პედაგოგს, მოკლედ კი ასეა: უნდა გქონდეს ან სპეციალობაში გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი, ან დოქტორის დიპლომი.

ისმის კითხვა:

რატომ გაუთანაბრეს დოქტორის ხარისხი ე. წ. „სერტიფიკატს“?

სად არის ამ ორ საბუთს შორის იდენტურობა?

თუ სერტიფიკატს 5-საათიანი წერიტი გამოცდის შედეგად მიიღებ (აქ არ ვსაუბრობ იმაზე, თუ რაოდენ ხარისხიანია სერტიფიცირების პროცესი და შესაბამისი შედეგები; ეს ცალკე სასაუბრო თემაა), სადისერტაციო ნაშრომის (რომელსაც იკვლევ 3-5 წლის განმავლობაში) მხოლოდ დაცვის უფლების მოსაპოვებლად ვაბარებდით სამ გამოცდას (სპეციალობას, უცხო ენას და ფილოსოფიას. ახლა ეს მოთხოვნა გამარტივებულია) და თემის გარშემო, სულ ცოტა, 3 სამეცნიერო ნაშრომს ვაქვეყნებდით დარგობრივ ჟურნალებში, ხოლო რეკომენდაციას გამოქვეყნებაზე ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები გვაძლევდნენ.

გეკითხებით, რის საფუძველზე ხდება ე. წ. „სერტიფიკატით“ შემდეგი დიპლომების დევალვირება:

ა) უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შედეგად უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი;

ბ) უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ გაცემული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი?

ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ამ შემთხვევაში არ ირღვევა უმაღლესი განათლების მქონე პირისა და დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანის უფლებები, შეურაცხყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ?

მოკლედ, „დაგვალაგეს“ ე. წ. „სტატუსების“ მიხედვით და საპილოტო წელი გამოგვიცხადეს. ზემოთ ხსენებული შეურაცხყოფა არ იკმარეს და, თუ რაიმე მიღწევა გვქონდა სამეცნიერო, თუ პედაგოგიურ ასპარეზზე, ყველაფერი უკუაგდეს, უარყვეს. აქვე ვადები დაგვიწესეს. „გზამკვლევის“ გვ. 28, ტ. 1: „უფროსი მასწავლებელი... (4 წლიან – ჩართვა ქ. ჯ.) ვადაში აგროვებს 13 კრედიტულას იმისათვის, რომ შეინარჩუნოს უფროსი მასწავლებლის სტატუსი“ (აი, „დამოკლეს მახ-

ვილიც“?!!!), თუ კი მოინდომებს, მოიპოვოს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, მაშინ უნდა მოაგროვოს  $13+6=19$  ქულა, რასაც შესაბამისი ვალდებულებები ერთვის: „გარდა შენარჩუნებისთვის საჭირო აქტივობებისა, უნდა ჩაატაროს პრაქტიკის კვლევა, დამატებით გაიაროს მესამე შიდა საგაკვეთილო დაკვირვება და დამატებითი საქმიანობებში მოაგროვოს შენარჩუნებისათვის საჭირო 4 კრედიტქულაზე დამატებით 2 კრედიტქულა“ („გზამკვლევის“ გვ. 31, ტ. 1, სტილი შენარჩუნებულია). დაბოლოს, თუ უფროსი მასწავლებელი სტატუსის შესანარჩუნებლად ვერ მოაგროვებს საჭირო რაოდენობის კრედიტქულებს, მაშინ ამოქმედდება „დამოკლეს მახვილი“ და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია“ („გზამკვლევის“ გვ. 32, ტ. 1).

გეკითხებით: თუ ისეთი მონაცემები მქონდა, რომ ერთხელ გავხდი უკვე უფროსი მასწავლებელი, ახლა, როდესაც ველარ ვაგროვებ (რატომ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ) ამ ავბედით ქულებს, ადრე შეძენილმა ცოდნამ ან ჩატარებულმა შრომამ ჩემში არანაირი კვალი არ დატოვა? თუ ერთი ღილაკის დაწკაპუნებით ყველაფერი წაიშალა?

გადავწყვიტე, გამეგო, რამდენად მისაღწევია ეს, ერთი შეხედვით, „უწყინარი“ მოთხოვნები.

სკოლაში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ინკლუზიურ სწავლებას ეხებოდა. ამ ტრენინგის ქულა სკოლის შიდა კომისიამ არ ჩამითვალა, რადგან 20 საათიანია და – მე კი მითხრეს, - საათების რაოდენობა არ არის საკმარისიო. თუმცა, როგორც „მასწავლებლის სახლში“ მიპასუხეს: „ჩვენ მიერ ჩატარებული ტრენინგები ყველა გეთვლებათო“. ვინ ამბობს სიმართლეს?

ვთარგმნე ქართულიდან რუსულად მ. კოსტავას წიგნი გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ (მერაბ კოსტავა „გზა ჭეშმარიტებისა“, თბილისი, „ზენაარი“, 2015 წ. , გვ. 71-132. წიგნი გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე.). წიგნს

ისტორიის კათედრაზე როგორც ორენოვან წყაროს იყენებენ, მაგრამ ესეც არ ჩამითვალეს, იმიტომ, რომ ფიზიკას არ ეხებაო. ის ფაქტი, რომ ვფლობ რუსულ და ინგლისურ ენებს, აქ რა მოსატანია.

მერე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადდა კონკურსი-შერჩევა CERN-ში გასაგზავნი პედაგოგებისთვის (ქულებიც ენერებოდა მონანილეს). შევიტანე განცხადება, დამიბარეს გასაუბრებაზე, მოისმინეს პრეზენტაცია, გაარკვიეს, რომ, თურმე მუსიკალური განათლებაც მქონდა, ძალიან გაუკვირდათ ისიც, Linux-ის პროგრამის ცოდნა რაში მჭირდებოდა. არც კი იცოდნენ, რომ იყო დრო, როცა სკოლაში Linux-ს იყენებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე ცინიკური და მეტად შეურაცხმყოფელი პასუხი:

„სამწუხაროდ, თქვენ ვერ გადალახეთ კონკურსის (???) მეორე ეტაპი. იმედი გვაქვს კვლავ დაინტერესდებით და მონაწილეობას მიიღებთ ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში“.

ვერაფრით დავიჯერებ იმას, რომ დელეგაციის ათივე მონაწილე ჩემზე უკეთესი CV-ით და სლაიდ-შოუთი წარდგა, რომ ათივე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება NORLEG-ის (ინგლისი) წევრი იყო, რომ ათივეს 34-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და პუბლიკაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და ამერიკის სამეცნიერო ჟურნალებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე აქვთ გამოქვეყნებულ-მოხსენებული, რომ ათივე რუსულ და ინგლისურ ენებს ისე ფლობს, რომ საჭირო ლიტერატურას დედანში კითხულობს, სხვა სამეცნიერო, თუ პედაგოგიურ მიღწევებზე, არაფერს ვამბობ. თუმცა კომისიას ეს მხარე სულაც არ აინტერესებდა. ნეტა რა იყო კიდევ საჭირო ამ კონკურსში გასამარჯვებლად?!... როდესაც ერთ პიროვნებას ვთხოვე, გაეგო, რატომ მეთქვა უარი (დარეკვით ხომ ვერ დარეკავ – მათი ტელეფონები მხოლოდ აქეთ რეკავენ), პა-

სუხი არანაკლებ გამაოგნებელი მივიღე: „შერჩევა გენდერული პრინციპით მოხდა, მამაკაცი გაუშვეს“. რა თქმა უნდა, ამის გამო სქესს ვერ შევიცვლი.

რადგან ჩემს 34 სამეცნიერო ნაშრომთან ერთად, ყველაფერს უგულებელჰყოფენ, გადავწყვიტე, იმავე დაწესებულების მიერ გამოცხადებულ მასწავლებელთა მეოთხე ეროვნულ კონფერენციაში მიმელო მონაწილეობა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ამჯერად, ცინიკური პასუხიც კი არ იკადრეს. ნეტავ, რატომ?! ამჯერად პასუხის გასაგებად არავინ შემინუხებია.

მსგავსი შემთხვევები კოლეგებისგანაც მსმენია.

როგორც ჩანს, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მესვეურთ არც მასწავლებლის განათლების და არც მისი წინსვლის პრობლემა არ ადარდებთ. მათ მიაჩნიათ, რომ პედაგოგი უნდა იქცეს რობოტად, რომელიც აგროვებს კრედიტულებს, რომელთა დაგროვება ამ დაწესებულების და მათი ქვეშევრდომების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და არა ობიექტურ მიდგომაზე საქმისადმი. ერთი ანეკდოტისა არ იყოს: „თუ კარგად მოიქცევით, აუზში წყალს ჩაგისხამთო“, ანუ, თუ „კარგად მოვიქცევით“ (ნეტა როგორ???) ქულებსაც დაგვაგროვებინებენ, თუ არა და... ზემოთ უკვე მოგახსენეთ მომზადებული „დამოკლეს მახვილის“ შესახებ.

კიდევ ერთი შეუსაბამობა. ჩვენი ხელფასი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი – ძირითადი ხელფასია, მეორე კი – ე. წ. „სერტიფიცირების“ დანამატია. თუ პედაგოგი ავადმყოფობის გამო გადადის „ბიულეტენზე“, მას ხელფასის ორივე ნაწილიდან ექვითება შესაბამისი თანხა. „ბიულეტენის“ წარდგენის შემდეგ ხდება ხელფასის მხოლოდ ძირითადი ნაწილიდან დაქვითული თანხის გაცემა და არ გაიცემა „სერტიფიცირების“ ნაწილიდან დაქვითული თანხა. რატომ?!

მგონი სიტყვა გამიგრძელდა. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო.



აქ აღწერილი მეტისმეტად მცირე ნაწილია იმ პრობლემებისა, რაც თვით „გზამკვლევი“ თავმოყრილი და რაც სკოლაში დაგროვებულ პრობლემებთან ერთად დამატებით შექმნა ნაჩქარევად და დაუფიქრებლად განხორციელებულმა „სქემამ“. არავინ არაფერი იცის. თვით „მასწავლებლის სახლშიც“ კი რიგ კითხვებზე ასე პასუხობენ: „ეს მე არ მეხება, ამიტომ არ ვიცი.“ თხოვნაზე: „მომეცით ტელეფონი ვისაც ეხება“, პასუხია: „არ ვიცი“. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა. ეგებ ახლა გადახედონ იმ უაზრო მოთხოვნებს და დიდი სიფრთხილით მოეკიდონ არსებულ პრობლემებს.

შედეგი არ დააყოვნებს. ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი განათლების სისტემა, საბოლოოდ დაგვემხოვა თავზე. პრობლემა ბევრია. მართალია, ჩვენ, პედაგოგები, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ვცდილობთ ამ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ვინ გვაცდის რამეს...

პატივისცემით,  
*ქეთევან ჯინორია*  
თბილისის კლასიკური გიმნაზიის  
უფროსი მასწავლებელი,  
ფიზიკოსი, აკადემიური დოქტორი,  
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,  
დოცენტი...

*“საქართველო და მსოფლიო“, 2017, იანვარი*

## თარგმანი

### ინგლისურიდან

**„აშშ-ს სიყვარული ქართველი  
დიქტატორისადმი“ „კოლხური კოვკი“ ინყავს  
მამხილებელი წერილების ბაჭევას ჟურნალ  
„SOVIET ANALIST“-დან, რომელიც დიდი  
ავტორიტეტით სარგებლობს პოლიტიკურ  
წრეებში**

მკითხველი საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სწორედ ამ ჟურნალიდან გადმობეჭდილი პუბლიკაციის გამო, აკრძალეს გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ და მისი მთავარი რედაქტორის წინააღმდეგ ყოვლად უსამართლოდ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მსოფლიო ჟურნალისტიკაში ვერ მოიძიებთ ანალოგიურ მაგალითს, როცა თარგმნილი მასალისათვის რედაქტორის დაპატიმრება განუზრახავთ. მიუხედავად ამ „დემოკრატიული მართლმსაჯულებისა“, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ არ დაგვირღვევია საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი პრესის კანონი. ხოლო ჭეშმარიტებისა და სიმართლის დასადგენად, ნორმალურ ქვეყანაში დროებით აღზევებული პიროვნების ახირებას და ბოროტ ზრახვებს არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ამიტომაც, ვაგრძელებთ კრიტიკული მასალების თარგმნას, რათა ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს, თუ რა უარყოფითი აზრი არსებობს „დიდი დემოკრატის“ შესახებ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.

„სოვიეტ ენელისთის“ მე-3 ნომერში (ტ. 22) ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, გამსახურდიას მთავრობის პრემიერ-მინისტრი, ამხელს იმ ფაქტს, რომ მბმ-კგბ-ს გენერალი ედუარდ შევარდნაძე ჩავიდა და იმყოფებოდა ფლორიდაში 1992 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტამდე, ერთი კვირით ადრე, მისი

თბილისის აეროპორტში ჩამოსვლამდე, სადაც მან მოსკოვის КГБ-ГРУ-ს ძალების მიერ მოპოვებული პოლიტიკური „მემკვიდრეობა“ ჩაიბარა. ფლორიდაში ყოფნის დროს შევარდნაძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც კომპანია „ბრუკ გრუპ ლიმიტედს“ მონოპოლიური უფლებები ენიჭებოდა საქართველოს ალორძინებასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან პროექტებში.

ამ ორგანიზაციას ასევე ევალებოდა განვითარების გეგმის მომზადება, რაც დეტალურად არის განხილული „სოვიეტ ენელისთის“ მე-6 ნომერში. პრემიერ-მინისტრის ამ სტატიაში ფარდა ეხდება, აგრეთვე, შევარდნაძის რეჟიმის მონაწილეობას ნარკოტიკებით ვაჭრობაში, და როგორც იგი (პრემიერ-მინისტრი) აღნიშნავს, „მხედრიონელები“, შევარდნაძის ხუნტის მთავარი ბასტიონი, წარმოადგენენ დიდი ნარკობიზნესის მთავარ ადმინისტრაციულ ძალებს. 1994 წლის 21 თებერვალს ოლდრიჩ ეიმსის დაპატიმრებამ, როგორც ეს მრავალგზის აღინიშნება წინამდებარე ნომერში, გამოააშკარავა, რომ ეიმსი საქართველოში იმყოფებოდა ფრედ ვუდროფამდე ცოტა ხნით ადრე. როგორც ვარაუდობენ, ვუდროფი – აშშ სპეცსამსახურის მაღალი რანგის მოხელე, მოკლული იქნა რუსეთის ГРУ-ს ძალების მიერ (ტ. 22, №4, გვ. 15-20).

ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ ვუდროფი არა მარტო ცხოვრობდა იმავე სასტუმროში, სადაც ეიმსი, არამედ მოზიარე იყი ამ უკანასკნელის ხელთ არსებული ისეთი ინფორმაციისა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოში სტუმრად მყოფი ცსს-ს წარმომადგენლისათვის. ეიმსი უშუალოდ იყო დაინტერესებული ვუდროფის საქმით, ვინაიდან გამოძიებას შეიძლება გამოევიდინა მრავალი რამ, კერძოდ, თუ როგორ ხდებოდა ნარკოტიკების შემოზიდვა ავღანეთიდან, ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან საქართველოში, იქიდან კი თურქეთში და თურქეთიდან ევროპაში გატანა, რასაც, სხვათა შორის, სარფიანად აწარმოებდა და დიდ შემოსავალს ღებულობდა ეიმსიც თავისი მეუღლის საშუალებით, რომელიც

დაკავშირებული იყო კოლუმბიაში მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ნარკობიზნესის კარტელთან. გამოძიებას შეეძლო ყველაფერი ეს გამოეგლინა, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვებოდა.

აშშ-ს გულმხურვალე დამოკიდებულებას შევარდნაძის მიმართ ეიშის მოხერხებულად იყენებდა, რათა შეენიღბა, ერთი მხრივ, ნარკომაფიაში მონაწილეობა, ხოლო ვუდროფის მიერ 20 აგვისტოს ლენგლისში წასაკითხ რაპორტში მოყვანილი მონაცემები იმდენად მძიმე და სერიოზული იყო, რომ აუცილებელი შეიქმნა ვუდროფის ფიზიკური განადგურება, რათა იგი აშშ-ში ცოცხალი არ დაბრუნებულიყო. მის მიერ შეგროვებული ცნობების გადაცემა აშშ-ში კი შეუძლებელი იქნებოდა დიპლომატიური პორტფელებით, რადგან მათ KGB, როგორც წესი, ხსნის.

პრემიერ-მინისტრ გუგუშვილის მხილებანი „სოვიეტ ენელისთის“ ფურცლებზე შეიცავენ, აგრეთვე, ზოგად დახასიათებას საქართველოს ე. წ. დემოკრატიის და აღორძინების ფონდისა, რომელიც დიდი ზარზეიმით გაიხსნა 1992 წლის 13 მარტს სასტუმრო „მეტეხში“. იგი თავისთავად ავსტრიულ ფირმა „ABC“-ს ეკუთვნის, რომლის დამფუძნებლებია სამი წამყვანი ნომენკლატურისტი – სოლიკო ხაბეიშვილი (საქართველოს კომპარტიის მთავარი საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი გამგე), გ. მგელაძე და ე. შევარდნაძე. ფონდის წესდებაში, რომელიც 1992 წლის 11 მარტს დაიბეჭდა, ვკითხულობთ, რომ შევარდნაძის ფონდის დამაარსებლებს შორის არიან თავად მბმ-კგბ-ს გენერალი შევარდნაძე (რომელმაც, როგორც წესდებაში წერია, ფონდში შეიტანა „პირადი დანაზოგი“ და ლექციების ჰონორარი), „საგარეო პოლიტიკის ასოციაცია“, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ეკონომიკური აღორძინების კავშირი, რომელსაც ის მართავს და რამდენიმე „უცხოეთისა“ და საქართველოს ფირმა. „ამგვარად – დასძენს პრემიერ-მინისტრი „სოვიეტ ანალისთში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – შევარდნაძე არის იმავდროუ-

ლად ფონდის დამაარსებელი, მმართველი და აქტიური მეპატრონეც მისი ფუნქციონირების ყოველ ეტაპზე“.

ასე შეიძლება „გათეთრდეს“ ის შავი ბიზნესი და დიდი მოგება, რომელსაც, „ბრუკ გრუპ ლიმიტედის“ მიერ წარმოებულ ქართული გარიგებანი იძლევა „საერთაშორისო საგარეო ასოციაციის“ საშუალებით.

ჯერ ერთი, „ყოფილ“ საბჭოთა კავშირში 1993 წელს გამოცემულ ნიგნში, რომელსაც „აფხაზეთი – 1992“ ჰქვია (ავტორი სვეტლანა ჩერვონნაია) 120 გვ-ზე ვკითხილობთ: „ცოტა ხნით ადრე, სანამ საქართველოში დაბრუნდებოდა, შევარდნაძემ ამერიკაში ვიზიტის დროს „Brooke group Limited“ კომპანიასთან ერთად ხელი მოაწერა სტრატეგიული კონცეპციის პროტოკოლს საქართველოს აღორძინების შესახებ, რომელიც შეიცავდა ფოთისა და ბათუმის პორტების რეკონსტრუქციას, საჰაერო ტრანსპორტის გაზრდას ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ნავთობის რეზერვუარების ქსელის გაფართოებას და ა. შ.“

შევარდნაძის საერთაშორისო მასშტაბი „ახალი აზროვნების“ პოლიტიკის სფეროში, როგორც „პერესტროიკის“ აქტიური ფიგურის და ერთერთი ინიციატორისა, 1991 წლის დრამატული ინიცინდენტის დროს თეთრი სახლის დაცვისა, ერთი მხრივ, მსოფლიო არენაზე საქართველოს წარმატებისა და მისი აღიარების გარანტი იყო, მეორე მხრივ, ავლენდა ექსტრემალური „რეაქციული ძალების“ უკიდურეს სიბრაზეს ( „რეაქციულ ძალებში“ იგულისხმება კანონით არჩეული პრეზიდენტის, მთავრობის და პარლამენტის მხარდამჭერი ზოგადად და, კერძოდ, ბ. გუგუშვილი და პრეზიდენტი ზ. გამსახურდია). 2. გარდა ამისა, „სოფიეთ ანალისთი“ კერძო გამოკვლევას ატარებდა, რათა გამოეაშკარაებინა გორბაჩოვის ფონდის საერთაშორისო კავშირები. ჩვენ აღმოვაჩინეთ შემდეგი ფაქტები: 1. ხუნტამ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ა. ჩიკვაიძე, რომელიც მანამდე იყო საიდუმლო აგენტი (პოლიციის). მან პირველმა მოინდომა მაიაამის

პროტოკოლის გატარება ცხოვრებაში მაშინვე, როგორც კი შევარდნაძე მოვიდა სათავეში. ჩიკვაიძე მანამდე მუშაობდა სან-ფრანცისკოში გენერალურ კონსულად, მოგვიანებით, ნიდერლანდებში სსრკ-ს ელჩად. იგი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქნა იმ დღესვე, როცა შევარდნაძე ჩავიდა თბილისში 1992 წლის 7 მარტს, მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ სამსაფეხურიანი პუტჩი, რომელიც მოსკოვის მიერ იქნა დაგეგმილი, წარმატებით დასრულდა. 2. შევარდნაძის საერთაშორისო ასოციაციის მისამართი იყო ქ. სან-ფრანცისკო, კალიფორნიის შტატი 94122 ნორიგის ქ. 13-29. ტელ. 415 365 13 45, ფაქსი 415 365 13 48 (იხ. გვ. 30). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. ჩიკვაიძე შევარდნაძის დროს იყო გენერალური კონსული სან-ფრანცისკოში. 3. საერთაშორისო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორია ვინმე ჯეიმს ა. გარისონი, როგორც თვითონ აწერს ხელს, ჯიმ გარისონი. ეს ჯენტლმენი გახლავთ, აგრეთვე, გორბაჩოვის ფონდის პრეზიდენტი ამერიკაში, რომელსაც იგივე მისამართი, იგივე ტელეფონის და ფაქსის ნომერი აქვს, თუმცა იმ ორგანიზაციისათვის ის ხელს აწერს: ჯიმ გარისონი, პრეზიდენტი.

იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც ბოლო დროს „სო-ვიეთ ანალისთს“ აქვს ხელთ, არის წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ორივე ორგანიზაციის სახელით, როგორც ჩანს, დანერგილი და ხელმოწერილი ჯიმ გარისონის მიერ, რომელსაც ორი სხვადასხვანაირი ხელმოწერა აქვს. შევარდნაძის საერთაშორისო ასოციაციიდან გამოგზავნილ წერილებზე ხელისმოწერა არის გაკვრით და მიმსგავსებული. ასოციაციის თავსართზე გამოსახულია მცენარის მსგავსი ნიშანი. წერილი, რომელიც „სოვიეთ ანალისთს“ ხელთ აქვს და რომელზედაც ეს ნიშანია, თარიღდება 1991 წლის დეკემბრით და, როგორც ჩანს, მდიდარი ამერიკელი ადრესატებისთვისაა განკუთვნილი. იგი იწყება შემდეგი განცხადებით: აშშ-ში ბატონი შევარდნაძის ვიზიტის დროს, 1991 წლის მაისში, დავა-

ფუძნით საერთაშორისო ასოციაცია, რათა დახმარება გაგვე-  
ნია სსრკ-ში დემოკრატიის გაძლიერებისათვის (SIC!).

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ასოციაცია დაფუძნებუ-  
ლი იყო 1991 წლის მაისში, აგვისტოს მოვლენებამდე, რამაც  
შექმნა „ნარსულის მსხვერველის“ პრეტექსტი და რამაც და-  
არწმუნა მსოფლიო, რომ „კომუნიზმი მკვდარია“ და ა. შ.

გამოდის, რომ 1991 წლის მაისში შევარდნაძემ უკვე იცოდა,  
თუ რას გააკეთებდა იგი შემდეგ წელს. წერილში შემდეგ წერია:  
1991 წლის დეკემბერში შევარდნაძე და სახელმწიფო მდივანი  
ჯორჯ შულცი შეთანხმდნენ, ჰუმანიტარული დახმარების თანა-  
პრეზიდენტები გამხდარიყვნენ. წერილს თან ახლავს ფრენის  
განრიგი, აგრეთვე, გასაგზავნი სურსათის, მედიკამენტების სია,  
რომლებიც თითქოს უნდა გაგზავნილიყო ამერიკის აეროპორ-  
ტიდან და ბაზებიდან ყოფილ სსრკ-ში. თუმცა წერილი იწყება  
ყოფილი საბჭოთა კავშირის საერთო დახმარების აუცილებლო-  
ბით, ფაქტობრივად, იგი დეტალურად ეხება საქართველოს  
რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ძირითად პროგრამას.  
„შეუძლებელია, ერთმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ შე-  
ძლოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის პრობლემებს  
მოუაროს... IFPA-ს (საგარეო პოლიტიკის საერთაშორისო ასო-  
ციაცია) მჭიდრო ურთიერთობა აქვს პრეზიდენტ შევარდნაძე-  
ესთან“ და ასე გრძელდება. წერილის ძირითადი არსი იმაში მდ-  
გომარეობს, რომ ასოციაციის აქტივობა მიმართული იყო საქა-  
რთველოს რესპუბლიკისაკენ, რომელსაც სათავეში „დემოკრა-  
ტი“ პრეზიდენტი (SIC!) შევარდნაძე ჰყავდა. როდესაც შევარდ-  
ნაძის საყვარელ რესპუბლიკაში პირველად სისხლი დაიღვარა,  
კანონიერი, დემოკრატიული რეჟიმი იქნა დამხობილი, რათა გზა  
დაეთმო მბდ-კგბ-ს გენერალ შევარდნაძისათვის, ამ გულუხ-  
ვმა, კეთილმა დიქტატორმა არ გამოიჩინა გულმონყალება და  
თანაგრძნობა თანამემამულეებისადმი და თბილისამდე არცერ-  
თი ჰუმანიტარული (სამედიცინო) დახმარების თვითმფრინავს  
1992 წლამდე არ მოუღწევია. „სოვიეთ ანალისთის“ წერილზე  
დართული განრიგის მიხედვით. უფრო ზოგადად, საერთაშო-

რისო ასოციაციის მიერ შევარდნაძის სახელით გამოხატული თანაგრძნობა ერწყმის იმ მხეცობას და რეპრესიებს, რომელიც საქართველოს დაატეხეს თავზე მაშინვე, როგორც კი შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოს არენაზე.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას თუ შევაჯამებთ, დავრწმუნდებით, რომ აქ ყველაფერი წესრიგში როდია. ასეთი ოპერაციების (ფრენები) მიზანი შესაძლოა იყოს ნარკოტიკების გაყიდვით ან სხვა სახის თაღლითობით მიღებული თანხის „მოტეხვა“, „გათეთრება“.

გორბაჩოვის სახელით მისტერ გარისონმა დააარსა კორპორაცია, რომელიც კალიფორნიის შტატის მდივნის ოფისში იქნა შევსებული 1991 წლის 10 აპრილს და დაერქვა „Tmalpais Institute“. ისევ მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ეს ხდება 1991 წლის აგვისტოს გადატრიალების მცდელობამდე 4 თვით ადრე. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის 10 აპრილს, ჯეიმს გარისონი და ვინმე ემი ვოსბრინკი ავრცელებენ დოკუმენტს, სადაც ისინი იუწყებიან, რომ ერთი მათგანი იმ ინსტიტუტის პრეზიდენტი, მეორე კი – მდივანი. დოკუმენტი იუწყება, რომ კორპორაციის წესდების მუხლები შეცვლილია (კორპორაციის სახელწოდებაა „გორბაჩოვის ფონდი აშშ-ში“). დართული დოკუმენტი თარიღდება 1992 წლის 22 მარტით, სადაც ვკითხულობთ: „მათ, ვისაც ეს ეხება: გორბაჩოვის ფონდი, მოსკოვის შტაბ-ბინა „აშშ-ს გორბაჩოვ-ფონდს“ აძლევს ნებას, გამოიყენოს „აშშ-ს გორბაჩოვ-ფონდის“ სახელი ყველა იმ არაკომერციულ ფონდებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარს უჭერენ მოსკოვის გორბაჩოვ-ფონდის მცდელობებს. მიხაილ გორბაჩოვი – (ხელის მოწერა)“.

გორბაჩოვი! ფონდის პრეზიდენტი.

*SOVIET ANALYST, AN INTELLIGENCE COMMENTARY,  
Volume 21, Numbers 9-10, April 1993,  
Editor and Publisher: Cristopher Story MA FRSA  
„კოლხური კოშკი“, 1994 წ. №1, 26 სექტემბერი*



**მამხილებელი წერილების გაბრკელება ჟურნალ  
„SOVIET ANALIST“-დან, რომელიც  
დიდი ავტორიტეტით სარგებლობს  
პოლიტიკურ წრეებში**

**საქართველოს პირველი დემოკრატიული არჩევნები**

განსხვავება 1991 წ აგვისტომდე პერიოდისა (რომელიც „წარსულთან საბოლოო კავშირის განწყვეტის“ ხანად ითვლება) და მის შემდგომ პერიოდს შორის ის არის, რომ ჯორჯ ორუელის „1984“ ტყუილების სამყარო იმავე წელს მოსკოვიდან მთელ მსოფლიოს მოედო.

მოსკოვის ცენტრს იმედი ჰქონდა, რომ 1984 წელი „წარსულთან საბოლოო კავშირის განწყვეტის წელი“ იქნებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა ოპოზიციის, ბრეჟნევის „ძველი გვარდიის“ და (ცკ-ს მდივნების) ხუთწლიანი დაკრძალვების გამო, ნინ რომ უძღოდა გორბაჩოვის არჩევნებს, რომელიც „პერესტროიკის“ მშვიდობიან გზაზე გადასვლისათვის იყო შერჩეული. „წარსულთან კავშირის განწყვეტის“ თარიღად კი შერჩეულ იქნა საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავი.

ამ სიცრუის სამყაროში, მსოფლიოში, KGB-ს გენერლები საზეიმოდ მიაბიჯებენ თეთრ სახლში, ადასტურებენ თავიანთ პატივს ინსტიტუტების და უოლ-სტრიტის მიმართ და ყველაფერი ეს ხდება ვაშინგტონის პრესის აკომპანემენტით. ფაქტობრივად ყველა საგაზეთო ფურცლებზე და ტელევიზიის ყველა გადაცემაში მასკარადი და ზღაპრებია.

ასე რომ, როდესაც შევარდნაძე საერთაშორისო ასოციაციის სახელით წერს წერილს, რომელიც თარიღდება 1992 წლის 24 ნოემბრით, ეს აშკარა სიცრუეა, თითქოს ჯიმ გარისონის ადრესატი ვერ მიხვდება ამ სიცრუეს. სტალინ II-ის წერილი იწყება ასე: „ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თქვენს ქვეყანაში ეს-ესაა ჩაატარეთ მორიგი დემოკრატიული არჩევნები; ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, რომელიც იყო ყოფილი

სსრკ-ს ნაწილი, ჩვენ ეს-ესაა ჩავატარეთ პირველი დემოკრატიული არჩევნები“. ამ სიტყვის ცინიზმი იმაში მდგომარეობს, რომ მბმ-კგბ-ს ანგარიშით მის ძვირფას და მდიდარ ამერიკელ მეგობრებს არ ეცოდინებოდათ, რომ კგბ-ს გენერალი არის დიქტატორი. რომელიც ინიღბება დემოკრატად და რომელმაც შეცვალა კანონიერად არჩეული დემოკრატია (დამხობილ რომ იქნა მოსკოვის მიერ ძალადობრივად). ყოველივე ამის ფარული აზრი იმაში მსგომარეობს, რომ კგბ-ს გენერლის აზრით, საქართველოში არა მარტო ნამდვილ არჩევნებს არ ჰქონდა ადგილი, რომელმაც ზ. გამსახურდია მოიყვანა ხელისუფლებაში, არამედ, უფრო მეტიც, თითქოს თვით პრეზიდენტი სულაც არ არსებულა. დიახ, ახლა იგი არ არის ცოცხალი. ის დაიღუპა მონამვლით (ან ტყვიით?) გენერალ ქობალიასთან სადილობიდან 15 დღის შემდეგ (რომელიც ამის შემდეგ გაქრა). მაგრამ პრეზიდენტი ცოცხლობს ყოველი წესიერი (არაკორუმპირებული) ქართველის გულში. ეს შევარდნაძემ, რა თქმა უნდა, იცის.

### **„ნამდვილი“ დემოკრატია, რომელსაც იცავს კგბ**

იმისათვის, რომ შეგახსენოთ, თუ როგორი „დემოკრატია“ საქართველოს „პრეზიდენტი“, რომელსაც საზეიმო „მეხვედრა მოუწყვეს ვაშინგტონში 1994 წლის მარტის დასაწყისში, მოვიყვანთ ნაწყვეტს მბმ-ს გენერლის „საუკეთესო“ თეორიიდან დემოკრატიაზე (ტექსტი აღებულია 1993 წლის აგვისტოს რადიოგადაცემიდან):

„იმისათვის რომ ადამიანებმა გაიგონ, თუ რა არის ნამდვილი (SIC!) დემოკრატია, ამას სჭირდება წლები და ათეული წლები. დემოკრატიული საზოგადოების აშენება არ არის ერთჯერადი ამოცანა.

დემოკრატიული საზოგადოების და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება მოითხოვს ათეულ წლებს. პარლამენტის, სახელმწიფო მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის, თუნ-

დაც პრეზიდენტის არჩევა არ ნიშნავს, რომ ეს არის დემოკრატიული სახელმწიფო. ჩვენ, ეს-ეს არის, შევეუდექით გზას, რომელსაც მიყავართ დემოკრატიული სახელმწიფოსაკენ, გზა იქნება ძალიან ძნელი, წინააღმდეგობებით სავსე. იქნება აგრეთვე, ზიგზაგებიც, შესაძლოა გადახრებიც, ერთგვარი გადახრები, განსაზღვრული გადახრები – მაგ. ძალაუფლების გაძლიერება, რათა გადარჩენილ იქნას ყველაზე მთავარი (SIC!), სერიოზული მიღწევა. მე კარგად მახსოვს (ნაძღვეს დებს – რედ.), თუმცა შესაძლოა ახლა სასაცილოდ ჟღერდეს ის, რაზეც ჩვენ წარსულში, იმ დღეებში, ვლაპარაკობდით (nota Bene, NB წარსულთან კავშირის განყვეტა – რედ.) როდესაც წინათ საქართველოში ვმუშაობდი (როგორც კომპარტიის ლიდერი), ერთხელ თბილისის გარეუბანში შევამჩნიე ნაგავი. ასეთ შემთხვევაში ვიბარებდი ხალხს, ვინც ამაზე პასუხს აგებდა, და ვეუბნებოდი, რომ ხვალიდან თქვენ აღარ იქნებით სამუშაოზე. ჩვენ აგრეთვე პარტიიდან ვრიცხავდით ხალხს. ასევე მახსოვს, ვერტმფრენით დავფრინავდით თბილისის თავზე და, თუკი შევამჩნევდი ინერტულ მასალას, ის ოფიციალური პირები, რომლებიც ამაზე პასუხს აგებდნენ, მკაცრ გაფრთხილებას იღებდნენ, და არა მარტო ჩემგან, ასე ვმუშაობდით ჩვენ იმ დროს.

მე არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი (SIC!). იმ ტოტალიტარულ რეჟიმში ეს შესაძლოა არასწორი იყო (მაგრამ დღევანდელი ტოტალიტარული რეჟიმის დროს... – რედ.). ჩვენი განვითარების ამ სტადიაზე, დღეს საკმარისი არ არის კეთილი სურვილები და მიმართვები. ახლა გარკვეულ შემთხვევაში ძალდატანებაც აუცილებელია. მე მხედველობაში მაქვს, რომ ნამდვილმა დემოკრატიამ უნდა დაიმორჩილოს ანტიდემოკრატიული ძალები. უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები“.

თუკი ზემოთ მოყვანილი ნათელი არაა, მაშინ ვნახოთ, რა უთხრა სახელმწიფოს მეთაურმა, მბმ-ს განერალმა პარლამენტს 1993 წლის 6 აგვისტოს: „ჩემი სიტყვა კანონი უნდა

იყოს ყველასათვის“. ამ წინადადების გათვალისწინებით სა-  
ინტერესოა, გადავიკითხოთ 1983 წლის თებერვალ-იანვრის  
გამოცემაში „კომუნისმის პრობლემები“ (რომლის გამოცე-  
მაც ამერიკის მთავრობამ შეწყვიტა, როგორც კი დარწ-  
მუნდა, რომ მოიგო „ცივი ომი“) განცხადება შევარდნაძეზე  
– საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო კო-  
რუფციის ოპონენტი და ანგარიშს უწევდა საქართველოში  
საზოგადოებრივ აზრს.

1993 წლის 7 აგვისტოს ბ-მა ბ. გუგუშვილმა, საქართვე-  
ლოს კანონიერმა პრემიერ-მინისტრმა, „სოვიეტ ენელისთს“  
გაუგზავნა წერილი. ეს იყო გუგუშვილის პასუხი შენიშვნაზე,  
რომელიც რედაქტორმა გააკეთა ერთ-ერთ სტატიაში „სო-  
ვიეტ ენელისთის“ მიმართ (თუ ეს ჟურნალი ბევრს დაწერს  
საქართველოზე, „სოვიეტ ენელისთი“ შეიძლება გადაიქცეს  
„ჯორჯიენ ენელისთად“). გუგუშვილი გვიხსნის (ისტორიაც  
ადასტურებს მის სიმართლეს): „დიახ, „სოვიეტ ენელისთი“  
გადაიქცევა „ჯორჯიენ ენელისტად“, მაგრამ ნუ ლელავთ.  
თვით კომუნისტების „გერმანელმა“ ბაბუამ ფ. ენგელსმა  
თქვა, რომ თბილისი აღმოსავლეთის გასაღებია. რუსეთის  
იმპერიისთვის აღმოსავლეთი იწყება და თავდება თბილისში,  
საქართველოში. შევარდნაძეს ნათქვამი აქვს, რომ საქართ-  
ველო ყველა კომუნისტური ინოვაციის ლაბორატორიაა, ასე  
რომ, თქვენ ფრონტის წინა ხაზზე ხართ“.

## **ელ გორის და არმან ჰამერის კავშირი**

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს ელ გორს  
უფრო ახლო კავშირები აქვს ყოფილ საბჭოთა კავშირთან,  
ვიდრე ეს ცნობილი იყო. ელ გორი აშშ-ს ყველაზე აქტიური  
ვიცე-პრეზიდენტიცაა, რაც კი გვახსოვს. ელ გორის მამა იყო  
ტენესის შტატიდან, დემოკრატი, არმან ჰამერის საქმიანი  
პარტნიორი და მეგობარი.

პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ერთმანეთს გააცნო ჰამერი, სენატორი რობერტ კენედი და გორი. ჰამერმა გამოიყენა ეს კავშირები, რომ შეხვედროდა უმაღლეს საბჭოთა ოფიციალურ პირებს. არმან ჰამერის სახელით უფროსმა გორმა მისწერა წერილი ანასტას მიქოიანს. ამის შედეგად 1961 წლის თებერვალში ჰამერი ცოლით ესტუმრა სსრკ-ს. ჰამერი ახერხებს ლიბიაში, სსრკ-ში და ჩინეთში შეღწევას; უჩვენებს KGB-ს, რომ თანამშრომლობა შესაძლებელია.

## ქართველთა ვიზიტის ორგანიზატორი

„პრეზიდენტ“ შევარდნაძის სახელმწიფო ვიზიტი აშშ-ს დედაქალაქში მარტში ე. წ. დამოუკიდებელი საქართველოს მიერ არ იყო ორგანიზებული. პრეზიდენტ სტალინ II-ს, რომელიც ბლერის სახლში იყო გაჩერებული და რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი მასპინძლობდა, 70-ზე მეტი კაცი ახლდა თან. მათი უმრავლესობა ვიზიტის უმეტეს დროს გამოუფხიზლებლად თვრებოდა, მალაზიებში დაჰქროდა ლიმუზინებით და, კორპორაციის სესიის ჩათვლით, სულ რამდენიმე შეხვედრას თუ დაესწრო.

„სოვიეტ ანალისთმა“ გადაწყვიტა, აღმოეჩინა, თუ ვინ იყო ამ ცინიკური ბუფონადის ორგანიზატორი. პირველად, დავრეკეთ ტელეფონის ნომერზე, რომელიც საერთაშორისო ფონდის წერილის თავშია მოცემული. ტელეფონისტის ხმამ გვიპასუხა: „ნომერი, რომელიც თქვენ აკრიფეთ 4145541345 შეიცვალა. ახალი ნომერია 4157714567“. როდესაც შეცვლილი ნომერი ავკრიფეთ, ხმამ გვიპასუხა: „IFPA ე. ი. საგარეო პოლიტიკის საერთაშორისო ასოციაციაა“. როდესაც ვთხოვეთ ინფორმაცია მათი მუშაობის შესახებ, გვიპასუხეს, რომ მათ ესაჭიროებათ მთხოვნელის ვინაობა და სიამოვნებით გამოგვიგზავნიან ინფორმაციას. როდესაც ჩვენი მისამართი მივანოდეთ, ხმამ (ასოციაციიდან) დაუმატა: მასალას, რომელიც გვთხოვეთ,

გამოვგზავნით გორბაჩოვ-ფონდის შესახებო, რაც ჩვენ მათთვის არ გვითხოვია. ჩვენმა მეგობარმა („სოვიეთ ენალისთის“ თანამშრომელმა) ჰკითხა: იცით თუ არა რაიმე ბატონი შევარდნაძის ვიზიტის შესახებ აშშ-ში. ხმამ უპასუხა: დიახ, გორბაჩოვ-ფონდი იყო ამ ვიზიტის ორგანიზატორი. შემდეგ ისევ ხმამ დაუმატა, რომ შევარდნაძე IFPA-ში ჩაბმულია 1991 წლიდან (რაც ჩვენც ვიცოდით). გორბაჩოვ-ფონდი, რომელსაც ხშირად ვახსენებთ, მანამდე იყო სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და ცნობილი იყო, როგორც ინტერნაციონალური სკოლა. ინიღბება რა დამოუკიდებელი საქართველოს „პრეზიდენტად“, შევარდნაძე აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას თავის თანამებრძოლ გორბაჩოვთან.

### **დაქირავებულია შევარდნაძე ისევ, როგორც თავის დროზე ბერია?**

დასავლეთ საქართველოში, სოხუმის მახლობლად, მეგრულ სოფელში დაბადებული ლავრენტი ბერია ბოლშევიკებს 1917 წელს 18 წლის ასაკში შეუერთდა. მცირე ხნით რუმინეთში ყოფნის შემდეგ, სადაც ის იმყოფებოდა, როგორც სამხედროვალდებული და სადაც ჩაება რევოლუციური მოძრაობაში, მან თვითნებურად დატოვა სამსახური და დაბრუნდა ბაქოში, სადაც სამშენებლო ტექნიკუმში სწავლობდა. აზერბაიჯანში, სამოქალაქო ომის დროს, 1919-20 წლებში, ის მუშაობდა როგორც აქტიური ბოლშევიკი და სხვა ჯგუფებთან ფარულ კავშირებს ახორციელებდა.

იმ დროს მისი შესაძლო კავშირი ბრიტანეთის დაზვერვასთან სამი ათწლეულის შემდეგ იქნა მის წინააღმდეგ გამოყენებული, როცა ის ამხილეს, როგორც ბრიტანეთის ჯაშუში. გამომდინარე იქიდან, რომ ჯაშუშობაში დადანაშაულებამ სრულიად დაკარგა აზრი, რადგანაც ჩეკას დაუსრულებელმა პროვოკაციებმა შექმნა ისეთი გარემოცვა, რომელშიც საზო-

გადღობის ნებისმიერი წევრი შეიძლება, გამოცხადებულიყო ჯაშუშად, ფაქტია, რომ ბერია მხილებული იყო, როგორც ჯაშუში. ეს კი მეტყველებს, რომ პარტიამ და „ორგანოებმა“ თავიანთი საქმიანობიდან იცოდნენ, რომ ბერია ნამდვილად იყო ბრიტანეთის დაზვერვის მიერ დაქირავებული, მათთვის ინფორმაციის მიმწოდებელი.

ცხადია, ბრიტანეთს არასოდეს განუცხადებია, იყო თუ არა ბერია მათ სამსახურში. მაგრამ ყველა შემთხვევაში, თავშეყრის ადგილებში ხალხის გადმოხილება და სამსახურში აყვანა იმ დროს საკმაოდ ჩვეული რამ იყო. ასე რომ, ბერიას წარსული კავშირები დასავლეთის დაზვერვასთან არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. ბერია გახდა საიდუმლო პოლიციის წევრი 1921 წელს და მუშაობდა „ორგანოებში“, როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში, 1931 წლამდე, როცა ის საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი გახდა. ბერიას მიერ კავკასიაში ტერორისტული მმართველობის გეგმაზომიერი დანერგვის შემდეგ სტალინმა, მისი შეფასებით, „იმედის მომცემი ქართველი“ მოსკოვში დაიბარა, სადაც მან 1938 წელს შეცვალა ნიკოლაი ეჟოვი НКВД-ს კომისრის პოსტზე.

იმ დროს ბერიას დანიშვნა „საიმედოდ“ გამოიყურებოდა, რადგან სტალინ-ეჟოვის ნმენდას მოჰყვა. მალე ბერიამ დაიწყო ეჟოვთან დაკავშირებულ პირთა ლიკვიდაცია და იმავე დროს გულაგში გარკვეული „გაუმჯობესებანი“ შეიტანა. მალე მან თავისი საკუთარი ტერორიც წამოიწყო და ხელმძღვანელობდა ტერორისტულ სისტემას სტალინის სიკვდილამდე. როდესაც მან ხელში ჩაიგდო ინიციატივა, თავდაპირველად გამოცხადდა ერთი მილიონი პატიმრის ამნისტია, პატიმრობის პირობები გაუმჯობესდა, გაისმა ხმები სტალინის სასტიკი კრიმინალური კოდექსის შეცვლის თაობაზე, მაგრამ უპირველესად, ქართველი ბერია წარმოჩნდა როგორც ადგილობრივ ეროვნებათა „დამცველი“, „ლიბერალური რეფორმების“ მომხრე და ავტორი საიდუმლო დოკუმენტისა შემდეგი

სათაურით: „პოლიტიკური სიტუაციის გამოსასწორებლად ГДР-ში მისაღები ზომები“, სადაც აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობას მიეთითებოდა, ხელი აეღო სოციალიზმის ძალით დანგრევისგან და დაახლოებოდა დასავლეთ გერმანიას. ბერია ახლა უკვე მიანიშნებდა, რომ „მეტაფიზიკური“ კონტროლის მომხრე იყო და არა სასტიკი ძალისა.

ქართველი ეღუარდ შევარდნაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალი და უფროსი და პოლიტიკური ლიდერი საქართველოს სსრ-ში, გამოძახებულ იქნა მოსკოვში მიხეილ გორბაჩოვის მიერ 1985 წელს, რათა შეეცვალა ანდრეი გრომიკო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. 1970 წლის შუა ხანებში საქართველოში ამოქმედებული „სამიზდატი“ შეიცავდა მრავალ მასალას შევარდნაძის ბარბაროსული ქცევის შესახებ, რაც განსაკუთრებით ვლინდებოდა პატიმრებისადმი მის დამოკიდებულებაში, რომელთა ბედს ის დაუნდობლად განაგებდა, და მისი კაბინეტი და პატიმართა საკნები ერთსა და იმავე შენობაში მდებარეობდა. „სამიზდატის“ ერთერთ გამოცემაში ერთი რეციდივისტი აღიარებდა, რომ მან შეძლო თავისი სასჯელის შემსუბუქება იმით, რომ შევარდნაძის პირადი ბრძანებით მოკლა პოლიტიკური პატიმარი.

1983 წლის იანვარ-თებერვალის „კომუნიზმის პრობლემებში“, რომელსაც აშშ საინფორმაციო სააგენტო ბეჭდავდა და რომლის გამოცემა შეწყდა, როცა ამერიკის მთავრობამ დაიფერა, რომ „ცივი ომი დამთავრდა“, დაიბეჭდა შევარდნაძის მომხიბლავი ფოტო შემდეგი აღტაცებული მინაწერით: „შევარდნაძე, როგორც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი, ყველას აზრით იყო შეუპოვარი მებრძოლი კორუფციასთან, ძალზე ყურადღებიანი საზოგადოებრივი აზრისადმი და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ჩატარების მედგარი მომხრე. გორბაჩოვის გვერდით შევარდნაძე თანმიმდევრულად იქმნის „ლიბერალის“ იმიჯს და შემდეგში დასავლეთი სწორედ მის მოღვაწეობას მიაწერს „ცივი ომის დამთავრებას“.



მარტში შსს-სუკ-ის გენერალ შევარდნაძეს ვაშინგტონში საგანგებო პატივით ღებულობენ. ის პრეზიდენტ კლინტონთან უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე მრავალი სხვა სტუმარი; ესწრება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მუშაობას ნიუ-იორკში წასვლამდე, სადაც მას უოლსტრიტის კაპიტალისტთა თბილი მიღება ელის. ნუთუ ცრუ-ს ჰგონია, რომ გადაიბირა შევარდნაძე ისევე, როგორც, შესაძლოა, ერთ დროს ბრიტანელებმა გადაიბირეს ბერია? როცა აშშ-ს ოფიციალური პირები ამტკიცებენ: „თქვენ ცდებით შევარდნაძის შეფასებაში“, ხოლო ჩვენი ყოვლისმომცველი ინფორმაცია მისი მანკიერი ტერორისტული მმართველობის შესახებ ჩვენს სიმართლეს ამტკიცებს, მხოლოდ ხსენებული ჰიპოთეზა იძლევა რამდენადმე დასაშვებ ახსნას დასავლეთის უზნეო შეხმატკბილებისა ამ ახლადმოვლენილ ბერიასთან.

*SOVIET ANALYST, AN INTELLIGENCE COMMENTARY,  
Volume 22, Numbers 7-8, March 1994,  
Editor and Publisher: Cristopher Story MA FRSA  
„კოლხური კომპი“, 1994 წ. №2, 10 ოქტომბერი*

## **შევარდნაძე გუშინ, შევარდნაძე დღეს (ცივილიზებული სამყაროს თვალთ)**

### **რედაქციისაგან:**

„XX საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსი“, „მსოფლიო დონის პოლიტიკოსი“, „ახალი მსოფლიოს არქიტექტორი“, „მისი დიდი პოლიტიკური კაპიტალი“ – და კიდევ ვინ მოთვლის, რა ეპითეტებით ამკობენ დღემდე ედუარდ ამბროსოვიჩს მისი რეჟიმის ერთი მუჭა მხარდამჭერი ქართველები. ამკობენ, რათა ეს ეპითეტები ნაცარივით შეაყარონ ხალხს და ამით თვალეები დაუბრმავონ. ამასთან საკუთარ დიტირამბებობანას იმით ამართლებენ, რომ მოწმეებად უცხოელ „ავტო-

რიტეტივებს“ მოუხმობენ. თუ რა „ავტორიტეტებიც“ ბრძანდებიან ამბროსოვიჩის პარტნიორები, ეს მთელმა მსოფლიომ უნყის: ამერიკის პრეზიდენტყოფილი ბუში, რომლის უმეცრეობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მისი უვიცი გამონათქვამები დამცინავად „ბუშიზმებად“ მონათლეს. თვითკმაყოფილი ბრიყვი ბეიკერი, რომლის „დემოკრატიული“ სახე მსოფლიომ მაშინ დაინახა, როცა თბილისში უდრტვინველად ადევნებდა თვალს ავტომატებით მშვიდობიანი მანიფესტაციის გარეკვას. იტალიის ნაპრემიერალი ანდრეოტი, ვისაც დღეს კორუფციასა და მაფიასთან კავშირი ედება ბრალად. გერმანიის უცვლელი კანცლერი კოლი, რომლის მოშვლებილი თავის ქალაც ხალხმა კვერცხებითა და პომიდვრებით „დასეტყვა“ იმის გამო, რომ იგი ანტიეროვნულ პოლიტიკას ახორციელებს საკუთარ ქვეყანაში. ექსმინისტრი გენშერი, ვინც გააძევეს პოსტიდან იმიტომ, რომ იგი აღმოჩნდა KGB-ს აგენტი, მეტსახელად „ტიტა“. ინგლისის ჯერაც პრემიერი მეიჯორი, ცირკის ჯამბაზების ნაშიერი, რომელმაც 4-კლასიანი განათლებით ამონურა საკუთარი გონებრივი შესაძლებლობანი. ბახუსთან საეჭვოდ დაამფსონებული ელცინი, რომლის საჯარო გამოსვლებიც უცხოელი კარიკატურისტების საყვარელი თემა გამხდარა, და მისთ... აი, ეს „ავტორიტეტები“, რომელთაგან უმეტესობა უკვე ისტორიის სანაგვეშია მოსროლილი და დარჩენილნი კი უცდიან თავიანთ ჯერს, უქმნიდნენ „შევის“ ე. წ. იმიჯს, ინტელიგენტი სნობებისა და მეჭჩანების ინტერესს რომ აკმაყოფილებდა მხოლოდ. მაგრამ, საბედნიეროდ, მსოფლიო საზოგადოება შევარდნაძის სხვა იმიჯსაც იცნობს, იმ იმიჯს, რომელიც წარმოაჩენს მის ნამდვილ სახეს: ადამიანის უფლებების დამრღვევის, დისიდენტების ულმობელი დამსჯელის, დიქტატორ ჩაუშესკუს პროტოტიპის, სისხლისღვრის გამჩალებლის, ჩეჩნეთის მიმართ ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილე პოლიტიკოსისა. თანაც ნიშანდობლივია, რომ ასეთი მართალი პუბლიკაციები საზღვარგარეთ უწინაც ქვეყნდებოდა და დღესაც მრავლად იბეჭდება.

ოღონდაც ერთია, მათზე რატომღაც ხელი არ მიუწვდებათ ქართველ მეხოტბე-მედიტირამბებს, რომლებიც სირაქლემებს დამსგავსებიათ, არ სურთ სიმართლეს თვალში შეხედონ და ახლაც ცდილობენ, ხალხს მოახვიონ დიდი ტყუილი „დიდი პოლიტიკოსის“ შესახებ. ნება მათია. ჩვენ კი მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე უცხოურ პუბლიკაციას, რომელთაც ერთმანეთისგან ამორებს ისტორიული თარიღი – ათწლეული რუსეთის იმპერიის დაშლისა, და საიდანაც ჩანს, რომ სსრკ-ს არსებობის დროსაც და დღესაც ყოველი საღად მოაზროვნე უცხოელი შევარდნაძის საქმიანობას აფასებს, როგორც რენეგატი ფუნქციონერის, მოსკოვის ნების აღმსრულებელი მარიონეტის მოღვაწეობას.

### **ტეტჩერი აჩქარებს უმაღლესი დონის მეორე შეხვედრას**

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ედ. შევარდნაძე ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დღეს მიფრინავს ბრიტანეთში, რაც მისი ტეტჩერს საშუალებას მისცემს, დააჩქაროს უმაღლესი დონის მეორე შეხვედრა პრეზიდენტ რეიგანსა და გორბაჩოვს შორის...

...ვიზიტი, აგრეთვე, ნიშნავს, რომ ბრიტანეთ-საბჭოეთი დაუბრუნდა ნორმალურ ურთიერთობებს, რომელიც ბოლო წელს განცდა ერთმანეთის ჯაშუშების გაძევების გამო და რის შედეგადაც შევარდნაძის თავდაპირველი მგზავრობა გადაიდო... შევარდნაძე იმედოვნებდა, რომ ტეტჩერს მოინვევდა მოსკოვში. კვირის განმავლობაში ყველაზე ძნელად გადასალახავი საკითხი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა საბჭოთა კავშირში. ეს ხაზგასმით დაასაბუთეს საბჭოეთის ციხეებისადმი მიძღვნილ მე-4 არხის გუშინდელ გადაცემაში.

ბრიტანეთი აპირებს წინ წამოწიოს ვალდებულებები დისიდენტ-ფიზიკოსის, ანდრეი სახაროვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა 23 შემთხვევაზე, მათ შორის იმ ექვს

ბრიტანელზე, რომლებიც დაქორწინდნენ რუსებზე და რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან წასვლის ნება არ მიეცათ...

...ადამიანის უფლებების დაცვის ჯგუფმა შინაგან საქმეთა მინისტრს, დუგლას ჰარდს, მოსთხოვა, შევარდნაძე საქვეყნოდ გამოეცხადებინა არასასურველ უცხოელად და გაეძევებინათ ის ბრიტანეთიდან. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს აღმოსავლეთ ევროპის დისიდენტების შესახებ გამოქვეყნებულ ვალდებულებებზე, აცხადებს, რომ, როცა შევარდნაძე იყო საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, მან გასცა დისიდენტის დახვრეტის სანქცია.

*ლუის ბრენსონი, მოსკოვი,  
„THE SUNDAY TIMES“ „სანდი თაიმსი“, 1986 წ., 13 ივლისი*

## **საბჭოეთის საგარეო მინისტრის გულგრილი მიღება**

14 ივლისს ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტის დროს საბჭოთა საგარეო მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს, დაუნიგ სტრიტზე დახვდნენ: ავღანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციების, პოლონეთის „სოლიდარობის“, აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობილი ერების წარმომადგენლობების, თავდაცვის გაერთიანებების, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების და თავისუფლების ასოციაციის წევრები, რომლებმაც აგრძნობინეს მსოფლიოს საზოგადოების აზრი იმის შესახებ, რომ მას ძალუძს, სსრკ-ში თავისუფლება ნორმალურ მოვლენად აქციოს.

თავის ლიმუზინში პარკის ჭიასავით მჯდომმა გულგრილად ჩაუარა მათ ისევე, როგორც ეს გააკეთა ბრიტანეთის მასს-მედიამ. თუმცა ის სრულებითაც არ წააგავს მედიას მსახურს და, მით უმეტეს, საეჭვოა, მას ზემოდან ბოძებული რაიმე მისია ჰქონდეს.

ცოტა ხნით ადრე ავლანეთიდან ჩამოსულმა ჯგუფმაც განაცხადა თავისი პროტესტი საბჭოთა საელჩოს წინ, ლონდონის ბეისვოტერ როუდზე.

„THE FREE NATION“

„ფრი ნეიშენ“,

ტ. 11, ნან. 4, 1986, აგვისტო.

### ჩაუშესკუს ვიზიტის გამოცხადება

ბრიტანეთის დედოფლის მიერ საქართველოს მეთაურის, მისტერ ედუარდ შევარდნაძის, მიღებამ გაგვახსენა უხერხული მოგონებები, რომლებიც დაკავშირებულია 1978 წელს ბრიტანეთში რუმინეთის პრეზიდენტ ჩაუშესკუს სამარცხვინო ვიზიტთან.

მისტერ შევარდნაძემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერლინის კედლის დანგრევის დროს. მაგრამ საქართველოში მისმა მეთაურობამ მაფიის ჯირითით გამოწვეული ქაოსი მოიტანა, იმ ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ყოველთვის ერთ-ერთი უმდიდრესი გახლდათ. ქვეყნის ამჟამინდელი გაჭირვებული მდგომარეობა სავალალოა.

ეკონომიკა სრული გაჩანაგების პირასაა მისული, საკვების და ენერჯის ქრონიკული უკმარისობაა, ადამიანის ძირითადი უფლებები მუდმივი საშიშროების ქვეშაა; დამახასიათებელია: დანაშაული და ძალადობა, წამება წესადაა ქცეული; ეთნიკური კონფლიქტი – ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამის ძირითადი მიზეზია ომი, რომელიც მისტერ შევარდნაძემ წამოიწყო. ამას მოჰყვა სამარცხვინო დამარცხება აფხაზებთან, რომლებიც გამირული თავგანწირვით იბრძოდნენ საკუთარი თავის გადარჩენისთვის.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მისტერ შევარდნაძემ ამ განადგურებით ვერაფერი ისწავლა, ეს კი ათასობით ადამიანის

სიცოცხლის ფასად დაჯდა. ის გულახდილად მხარს უჭერს პრეზიდენტ ელცინის მცდარ იერიშს გროზნოზე. საზოგადოებისთვის ნამდვილად უცნობია ის ამბავი, რომ საქართველოს ლიდერმა ნება დართო რუსეთის ბომბდამშენებს თავისი მომაკვდინებელი ტვირთით და ნემსიანი ბომბებით (უკანასკნელის გამოყენება აკრძალულია ჟენევის კონვენციით), აფრენილიყვნენ საქართველოს აეროდრომებიდან, რათა აეოხრებინათ, ძირითადად, სამოქალაქო ობიექტები.

ნაცვლად იმისა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დროს გამოეყენებინა შესაძლებლობა პოლიტიკური მოწესრიგებისა (თუნდაც ხანგრძლივი მოლაპარაკებებით), რის შედეგად ცნობდა ამ ხალხის ლეგიტიმურ მისწრაფებებს, მან კიდევ ერთხელ გადანყვიტა, მიემართა ძალადობისთვის.

მისმა დეპუტატმა, პრემიერ-მინისტრმა, თამაზ ნადა-რეიშვილმა, ახლახან განაცხადა, რომ საქართველო, თუ საჭიროა, მზადაა, გადანყვიტოს დავა იმავე მეთოდებით, რომლებიც რუსებმა გამოიყენეს ჩეჩნეთში.

თუ მისტერ შევარდნაძე გააგრძელებდა ამ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რომელმაც მას მოლაპარაკებებისას გაამარჯვებინა, როგორც საბჭოეთის საგარეო მინისტრს, და სამართლიანად გადანყვეტდა აფხაზურ კრიზისს, მაშინ შესაძლოა შექმნილიყო ხელსაყრელი პრეცედენტი, არა მარტო ჩეჩნური კონფლიქტის გადანყვეტისთვის, არამედ მსოფლიოში სხვა ცნობილი ეთნოკონფლიქტების მოსაგვარებლადაც.

#### LETTERS TO THE EDITOR

*პროფესორი რიჰარდ კლოგი, ოქსფორდი,  
„დეილი ტელეგრაფ“, 1995 წ., 16 თებერვალი  
„სამრეკლო“, 1995, აპრილი*

**„აზრის თავისუფლება ადამიანთა უფლებაა,  
ოღონდაც არა საქართველოში!“  
ჰიუმან რაიტს ვოთჩის  
(ჰელსინგის სექცია)**

*მსოფლიო რაპორტი, 1995 წელი*

ამ საგანგაშო აზრამდე მივიდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია, როცა, საერთოდ, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება და, კერძოდ, „საქართველოს სამრეკლოს“ მთავარი რედაქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ელიზბარ ჯაველიძის, დევნა-შევიწროების ისტორია შეისწავლა. ამავე დროს თავისი აზრი ამ პრობლემასთან დაკავშირებით ცალკე ბიულეტენის სახით დაბეჭდა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს დაუგზავნა.

მართლაც, საქართველოში 1992 წლის პუტჩის შემდგომ, ყოველდღიურად და ყოველ ნაბიჯზე, უხეშად ირღვევა ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებები. ადამიანებს დევნიან განსხვავებული აზრის, ობიექტური კრიტიკის, მხილების გამო, თანაც ნიშანდობლივია, რომ შევარდნაძის ხელისუფლება პოლიტიკურ რეპრესიებს მიმართავს მხოლოდ ეროვნული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც არ ცნობენ ხუნტის ლეგიტიმურობას და კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად იღვნიან. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან დიქტატორული რეჟიმი თავის ჭეშმარიტ პოლიტიკურ ოპოზიციას თრგუნავს და ებრძვის ოდენ. ჩვეულებად იქცა ეროვნული მოღვაწეების დევნა-შევიწროება ფაქტობრივი ხელისუფლების დამცველი პოლიციისა და პროკურატურისგან, რომლებმაც სამართლის მსახურება მარიონეტთა ლაქიობას ანაცვალეს.

ახლა კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რას ერჩოდნენ გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ და მის რედაქტორს.

საზოგადოებამ უწყის, რომ ზუსტად ორი წლის წინ – 1993 წლის 31 ივლისს, ქ. თბილისის პროკურატურამ ცილისწამების ბრალდებით (მუხლი 137, მე-3 ნაწ.) აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბ-ნ ელიზბარ ჯაველიძის მიმართ. მთავარ რედაქტორს ცილისწამება ბრალდებოდა იმის გამო, რომ მან ინგლისის ფინანსური და დიპლომატიურ-პოლიტიკური წრეების ჟურნალიდან გადმოიბეჭდა პუბლიკაცია, რომელშიც შევარდნაძე იყო მხილებული და გაკრიტიკებული („Soviet Analyst“, 1993, vol. 21 N9-10). საქართველოში მოქმედი პრესის კანონის თანახმად, რედაქცია არ აგებს პასუხს სხვა პრესიდან გადმოიბეჭდილი ინფორმაციის გამო (კანონი პრესის შესახებ, მუხლი 28), მაგრამ ქალაქის პროკურორმა არათუ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მეტიც, საქმის ძიების დაწყებამდე(?) სანქციაც კი გასცა ბ-ნ ე. ჯაველიძის დასაკავებლად. ჩანს, ქალაქის პროკურორს ერთობ ორიგინალურად ესმის კანონმდებლობა და მას ჰგონია, რომ „სამართალმა არ უნდა ჭამოს პური“, არამედ მმართველმა რეჟიმმა და მისმა ლაქიებმა უნდა გათელონ სამართალიცა და კანონიერებაც.

ამ თავნებობას მოჰყვა ის, რომ ბ-ნ ე. ჯაველიძეს ოჯახში აკითხავდნენ შეიარაღებული პირები, რომლებიც ლამობდნენ ბინაში შეჭრას. იგი იძულებული გახდა ოჯახითურთ დაეტოვებინა ქალაქი. ამ ძალმომრეობის გამო პრესაში დაიბეჭდა საპროტესტო წერილები, რომლებსაც ხელს აწერდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, საზოგადოებრივი გაერთიანებები და, საერთოდ, მოსახლეობის ფართო ფენები (იხ. ამის შესახებ „ახალი თაობა“, 1994 წ. , 29, 33, 34, 35, „იბერია სპექტრი“, 1994 წ., 93, „არჩევანი“, 1994 წ. , 11, „მსგეფსი“, 1994 წ., 11 და სხვა.). ჩვენი გაზეთისა და მთავარი რედაქტორის ბედის მიმართ გულგრილი არ დარჩენილან მსოფლიოს სამართალდამცავი თუ სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები და მათ ხმა აიმაღლეს იმ უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ, რაც დღეს ხდება საქართველოში. კერძოდ, ქ-მა ერიკა დეილიმ, რომელიც არის ამერიკაში დაფუძნებული და



გაეროს მეთვალყურე წევრი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის – „ჰელსინკი ვოთჩის“ (Human Rights Watch/Helsinki Watch) მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი, „სოვიეტ ენელისთის“ რედაქტორისადმი გაგზავნილ ოფიციალურ მიმართვაში გამოთქვა თავისი შეშფოთება: „ჩვენმა ორგანიზაციამ არსებული მასალებით დაადგინა საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის დარბევის ფაქტები, თვითნებური დაპატიმრების, ცემის და წამების ჩათვლით. ამიტომაც, სარწმუნოა ბ-ნ ჯაველიძის შიში შეურაცხყოფისა და წინასწარი დამუშავების გამო, სანამ კანონით დადგინდება ჭეშმარიტება. ჩვენ ისევ მიგვაჩნია, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება არის სიტყვის თავისუფლების უფლების დარღვევა“. (ე. დეილი „ჰუმან რაითს ვოთჩ/ჰელსინკი“, 1994, 8 სექტემბერი). 1995 წლის თებერვალში საქართველოში იმყოფებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის „ჟურნალისტიები საზღვრებს გარეშე“ („RSF“ Repoter sans frontiere) საფრანგეთის სექციის თავმჯდომარე, ბ-ნი ჩიჩიბოლა, რომელმაც ინახულა ბ-ნი ე. ჯაველიძე, გაეცნო მის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და განაცხადა, რომ მსოფლიო ჟურნალისტიკაში არ მოიძებნება ამგვარი კურიოზული ფაქტი ჟურნალისტის პროფესიული და მოქალაქეობრივი უფლებების შელახვისა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ჰუმან რაითს ვოთჩ/ჰელსინკიის“ ორგანიზაციამ აშშ-ს კონგრესისადმი წარდგინებულ 1995 წლის ანგარიშში დიდი ადგილი დაუთმო საქართველოში ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებების უხემ დარღვევებს და სერიოზული ბრალდებები წაუყენა ამ სფეროში შევარდნაძის რეჟიმს. რაპორტში ბ-ნ ე. ჯაველიძის შესახებ წერია შემდეგი: „1993 წელს პროკურატურამ დაადანაშაულა დამოუკიდებელი გაზეთის „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქტორი ე. ჯაველიძე. მას ბრალად ედებოდა შევარდნაძის აუგად მოხსენიება თავისი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დასტამბულ კრიტიკულ წერილში, რომელიც გადმოთარგმნილი იყო „სოვიეტ ენელისთიდან“. მილიციამ არაერთხელ მოაწყო ჩხრეკა მის

სახლში და ააწიოკა მისი ოჯახი 1994 წელს, რითაც აიძულა ჯაველიძე, დამალულიყო“.

დაბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ეს კანონსაწინააღმდეგო ფაქტი გააპროტესტა ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (Ynternationale Gessellschaft für Menchenrechte – YGFM), რომლის გერმანულმა სექციამ მაინის-ფრანკფურტში ამასთან დაკავშირებით გამოსცა ცალკე ბიულეტენი. ამ მიმართვა-პროტესტში ვკითხულობთ: „აზრის თავისუფლება ადამიანთა უფლებაა, ოღონდაც არა საქართველოში! 1992 წლის იანვრიდან საქართველოში აზრის თავისუფლება ძლიერ შეზღუდულია. არის შემთხვევები ჟურნალისტებზე თავდასხმისა და აშკარა მუქარის. მრავალ ჟურნალისტს აკრძალული აქვს მუშაობა და ისინი იმალებიან, რათა დაპატიმრებას გადაურჩნენ.“

1993 წლის სექტემბრიდან დოქტორი ელიზბარ ჯაველიძე, ოპოზიციური გაზეთის „საქართველოს სამრეკლოს“ გამომცემელი იმალება. მისი გაზეთი აკრძალეს, ხოლო თავად იგი, როგორც „საშიში ბოროტმოქმედი“, ოფიციალური სანქციით იძებნება. მისი ოჯახი განიცდის სიკვდილის მუქარას. 1993 წლის შემოდგომაზე მისი გულით ავადმყოფი ძმა დროებით დააკავეს“.

მიუხედავად ამ დიდი უარყოფითი გამოხმაურებისა და პროტესტისა, საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები, ჯიუტად აგრძელებენ თავიანთ შავბნელ საქმეებს. პოლიტიკურ ოპონენტებს უკანონოდ დევნიან, აპატიმრებენ, აიძულებენ აღიარონ, თავიანთი უდანაშაულო დანაშაული და, დასასრულ, მართავენ სასამართლო ფარსებს, რომელთა მეშვეობითაც მრავალ ჭეშმარიტ მამულიშვილ-პოლიტიკურ პატიმარს ან სასჯელის უმაღლეს ზომას უსჯიან, ანდა თავისუფლების აღკვეთას – ათიდან თხუთმეტ წლამდე.

დღეს საქართველოში სამართალი და კანონი მხოლოდ ერთი კაცის ნებაზეა დამოკიდებული. სხვაგვარად რით შეიძლება აიხსნას თუნდაც ის, რომ ქალაქის პროკურატურის

1994 წლის 17 დეკემბრის დადგენილება „ე. ჯაველიძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის მოტივით (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი)“, სულ რაღაც 2 თვის შემდგომ, რესპუბლიკის პროკურატურის მოთხოვნით გააუქმეს და ხელახლა აღძრეს საქმე მის მიმართ...

კურიოზულია ის ფაქტიც, რომ ამ საქმის მოკვლევის დროს ქალაქის პროკურატურაში შეიქმნა ორი ურთიერთგამომრიცხავი დადგენილება – ერთია, სანქცია ე. ჯაველიძის დაკავების შესახებ, მეორე კი – ამ სანქციის გაუქმებისა, რითაც პროკურატურის მესვეურები ერთობ რთულად გადასაჭრელი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. თითქოს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დაპატიმრების სანქცია, რომელიც ძიების დაწყებამდე გაიცა და თანაც „დანაშაულის არ არსებობის“ დროს, კანონსაწინააღმდეგოა და გასაუქმებელი. მაგრამ მაშინ რაღა უპატაკონ „მამა-მარჩენალს“?

საკითხავი კი სულ სხვა რამაა. – როდემდე გასტანს სამართალდამცავი ორგანოების ეს განუკითხავი უკანონობა?!!

*Human Rights Watch (Helsinki section)*

*World Report 1995 year*

*„სამრეკლო“, 1995, ივლისი*

**„აგნესტი ინთერნეშლის“ რაპორტი, 1995 წელი  
სიკვდილით დასჯის, ნამეზისა და სასამართლოს  
„ოპიქტუროვის გამო“ საქმე №7493810**

„ორი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა საკანში, სადაც მამყოფებდნენ და დამიწყეს დაშინება. მცემეს რეზინის ხელკეტებით. ნამეზის მეორე მეთოდი ასეთია: ზიხარ იატაკზე, მუხლები გაქვს ზემოთ აკეცილი, ხელებსა და ფეხებს შორის და გარშემო გაგიყრიან ბორკილებს და გირტყამენ ფეხის გულზე. გონებას ვკარგავდი, გამიტეხეს ცხვირი. მერე მოვიდნენ ვიდეოფილმის გადასაღებად ტელევიზიისთვის, სახეზე წამისვეს გრიმი, რომ ცემის კვალი დაეფარათ.

ჩემს დასაკითხად რეგულარულად დადიოდნენ შუალამის 2-3 საათზე; მთელი 2 თვის განმავლობაში დაახლოებით 10-15-ჯერ იყვნენ. იმდენჯერ მცემეს, რომ უკვე ვეღარც ვითვლიდი. ერთხელ დამამწყვდიეს ცალკე ოთახში და ჩამირთეს სამგლოვიარო მუსიკა, ორი კვირა მასმენინეს. ამის აღწერა შეუძლებელია. იატაკი მთლად დაფარული იყო კანალიზაციის სიბინძურით, ფეხის დასადგმელიც არ იყო, საშინელი სუნი იდგა.

მერე შემომიყვანეს შვილები. ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი დივიზიის უფროსმა მითხრა: „თუ გინდა, რომ ისინი ცოცხლები დარჩნენ, ხელი უნდა მოაწერო“... იმ დროს დედაჩემი უკვე დაპატიმრებული იყო. დარწმუნებული ვიყავი, თუ თავს დამნაშავედ არ ვცნობდი, მთელ ოჯახს ამომიწყვეტავდნენ...“

ირაკლი დოკვაძე, 7493810 საქმეში ბრალდებული, სიკვდილმისჯილი.

„სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი დაახლოებით 20-30 კაცი მოვიდა ჩვენს დასაპატიმრებლად, ხელებზე ბორკილები დაგვადეს და თვალები აგვიხვიეს. დაპატიმრების ორდერი არ წარმოუდგენიათ. განუწყვეტილ გვცემდნენ, ცემა თვითმფრინავშიც განაგრძეს. სახე ერთიანად დამისისხლიანეს. ახლაც მემჩნევა ნაიარევი.

მომთხოვეს, რომ მეღიარებინა, ვითომ ვმონაწილეობდი ჯაბა იოსელიანის მანქანის აფეთქების მცდელობაში და ამით ვასრულებდი გამსახურდიას ბრძანებას. გვაიძულეს, ტელევიზიით გამოვსულიყავით. კვირია, ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ყველაფერს ამას ესწრებოდა“.

პეტრე გელბახიანი, ბრალდებული 7493810 საქმეში, ახლა სიკვდილმისჯილი.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს „ემნესტი ინტერნეშნლი“ გამუდმებით მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, გაერკვიათ ბრალდებულთა ყველა განცხადება წამებისა და აუგად მოპყრობის შესახებ, მიეღოთ ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გაენიათ სამედიცინო დახმარება და აღეთქვათ, რომ სასამართლო იქნებოდა ობიექტური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. მაგრამ, ეს მოწოდებები უმეტესწილად უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

შემდეგ კი, სასამართლოს დამთავრებისთანავე, „ემნესტი ინტერნეშნლი“ მოუწოდებდა, გაეუქმებინათ სასიკვდილო განაჩენი ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანისათვის და, საერთოდ, ეს მოწოდება ეხებოდა მთლიანად 7493810 საქმესაც, რადგან არსებობდა საფუძველი, რომ დაშვებული იყო დარღვევები და აღიარებები გამოძალული იყო დიდი ზენოლისა და წამების გზით, რაც აშკარად ბადებდა ეჭვს სასამართლოს ობიექტურობის მიმართ. ახლაც კვლავ მოვითხოვთ, რომ ჩატარდეს სწრაფი, ყოველმხრივი და მიუკერძოვებელი გამოძიება, განიხილოს ყველა განცხადება წამებისა და ცუდად მოპყრობის ფაქტების შესახებ და ყველა ამ დარღვევების ჩამდენი პირები წარდგინენ მართლმსაჯულების წინაშე.

## **საქმე 7493810**

სასამართლო პროცესი დაიწყო თბილისის უზენაეს სასამართლოში 1993 წლის 5 ოქტომბერს. განიხილებოდა 19 ბრალდებულის საქმე, რომელთაც ადანაშაულებდნენ ტერო-

რიზმსა და მკვლევლობებში; მათვე დაუკავშირეს რამდენიმე სხვა საქმეც, მათ შორის „ყვარლის საქმე“, რომელთაგან 19 კაცს ტერორისტულ აქტებსა და ბანდიტიზმში მონაწილეობისათვის 1993 წ. ნოემბერში მიუსაჯეს 13 წლამდე პატიმრობა.

- მანქანის აფეთქება ჩიქოვანის ქუჩაზე, 1992 წ. 15 ივნისს, თბილისში, შესაძლოა, აფეთქება კი იყო გამიზნული ჯაბა იოსელიანის მოსაკლავად, მაგრამ, შედეგად დაიღუპნენ შემთხვევით გამვლელები და ბავშვი.

დამხობილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მომხრეთა ერთი ჯგუფის შეთქმულება აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონში, შეღწევისა და იქ მთელი რიგი აქციების მოწყობის მიზნით. ამის გამო დაიწყეს სექტემბერში დაპატიმრებები ქ. ყვარელსა და მიმდებარე ტყეში. 19 კაცი უკვე გაასამართლეს და ტერორიზმისა და ბანდიტიზმის ბრალდებით მიუსაჯეს 13 წლით პატიმრობა.

- მცდელობა, ჩაეშალათ 1992 წ. 11 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები და პროპაგანდა სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ.
- მცდელობა პროკურორ ვახტანგ რაზმაძის მკვლელობისა.
- მცდელობა თბილის-საჩხერის ტრასის აფეთქებისა.
- ფაბრიკის სანყოფის გაძარცვა და ფრანგული სუნამოს გატაცება.

1992 წლის მაისსა და ოქტომბერს შორის დაპატიმრებულ იქნა 17 კაცი, უმეტესწილად, თბილისში, ხოლო პეტრე გელბახიანი და ვიქტორ დომუხოვსკი – აზერბაიჯანში 1993 წ. აპრილში საქართველოსა და აზერბაიჯანის უშიშროების თანამშრომელთა ერთობლივი ჯგუფის მიერ, შემდეგ გადაყვანილ იქნენ საქართველოში.

ყველა ეს საქმე საბოლოოდ გაერთიანდა და ეწოდა საქმე №7493810. თავდაპირველად, ეს საქმე ასევე ითავსებდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შექმნილ მთელ

რიგ ბრალდებებსაც, რომელიც ხმათა უმრავლესობით იქნა არჩეული პრეზიდენტად 1991 წ. მაისში, მაგრამ დაამხეს 1992 წ. იანვარში. ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა მეტად საექვო ვითარებაში, 1993 წლის დამლევს. ამ საქმეს შეუერთეს, აგრეთვე, 1992 წ. 24 ივნისის შეიარაღებული თავდასხმის მცდელობა რადიოსა და ტელევიზიის შენობაზე, თბილისში, მაგრამ ოფიციალური წყაროების თანახმად, სამი ბრალდებული ამნისტიის გამო გაუნთავისუფლებიათ 1992 წ. 3 აგვისტოს.

## **განცხადებები წამებისა და აუბად მოპყრობის ფაქტების შესახებ...**

7493810 საქმის თითქმის ყველა განსასჯელი აცხადებდა, რომ მათ დაპატიმრების შემდეგაც სცემდნენ და დაკითხვების დროსაც. რამდენიმე ბრალდებული აღწერდა ასეთ მაგალითებს, რომელთაგან ტიპურია: მათ აპატიმრებდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შეიარაღებული პირები, რომელთაც არ ჰქონდათ დაპატიმრების ორდერი; დაპატიმრებულებს სცემდნენ ადგილზეც, გზაშიც და მილიციაშიც. ცემა-წამება გრძელდებოდა მთელი დაკითხვის მანძილზე. კითხვები ძირითადად ეხებოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან მათ ურთიერთობას. ასეთი მოპყრობა და ცემა გრძელდებოდა მანამ, სანამ ხელს არ მოაწერდნენ აღიარებას, მაგრამ ბრალდებულთა განცხადებები სასამართლო პროცესზე არც წარმოუდგენიათ, თუმცა ეს აღიარებები ზენოლის შედეგად იყო გამოძალული.

განსასჯელთა მიერ აღწერილი წამების ფორმები შემდეგნაირი იყო:

თავდაყირა დაკიდება, მდულარე წყლით დაფუფქვა, სისტემატური ცემა, რასაც ხშირად შედეგად მოჰყვებოდა ძვლების გადამტვრევა და კბილების ჩამტვრევა, მუქარა და დაშინება, რომ აწამებდნენ და მოკლავდნენ მათი ოჯახის

წევრებს. ასეთ ხერხებს მიმართავდნენ განსასჯელთა წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ციხის ზოგიერთ პატიმარს აქეზებდა, რომ ეწამებინათ განსასჯელები. 1994 წლის ოქტომბერში „ემნესთი ინთერნეშნლისადმი“ გაგზავნილ განცხადებაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ადასტურებდნენ, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა მართლაც აწამა გედევან გელბახიანი, ოღონდ მიზეზი იყო ვითომ ის, რომ გედევან გელბახიანი არ დაეხმარა ერთ-ერთ პატიმარს აპელაციის შედგენაში; ვითომ ამ პატიმარმა უკვე მიიღო ამისთვის სასჯელი, მაგრამ არაოფიციალური წყაროები ამის თაობაზე ეჭვს გამოთქვამენ. ზაზა ნიკლაურმაც იგივე პატიმარი დაასახელა, რომელიც მის წამებაში მონაწილეობდა.

ერთადერთი განცხადება, რომელიც ეკუთვნოდა 7493810 საქმის განსასჯელს და ეხება მისი წამების ფაქტს, ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. ზაზა ნიკლაური დაპატიმრების შემდეგ სულ მალე მოათავსეს საავადმყოფოში ხელ-ფეხის მოტეხილობისა და მძიმე დამწვრობისაგან სამკურნალოდ. ამის შემდეგ უშიშროების სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი, ირაკლი ბათიაშვილი, გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა, რომ ზაზა ნიკლაური თურმე უწამებიათ და დარწმუნებული იყო, უშიშროების სამსახურის ოფიცრები იყვნენ ამის ჩამდენნი. როგორც ცნობილია, ედუარდ შევარდნაძეც გამოსულა საჯაროდ და დაუდასტურებია ზაზა ნიკლაურის წამების ფაქტი.

თვით ზაზა ნიკლაურმა ასეთი ჩვენება მისცა თბილისში გაგზავნილ ბრიტანეთის ჰელსინკის ადამიანის უფლებების ორგანიზაციის წარმომადგენლებს 1995 წ. თებერვალში:

„სუკის შენობაში მიყვანისთანავე დამიწყეს წამება. მიმართავდნენ წამების რამდენიმე საშუალებას. ერთ-ერთი მეთოდი იყო მდულარე წყლით დაფუფქვა. ასე აწამებდნენ პატიმრების 90%-ს. პატიმარს ზურგს უკან შეუკრავენ ხელებს, მკლავებს შორის გაუყრიან ჯოხს და ასე თავდაყირა დაკიდებულს



ურტყამენ ჯოხს ფეხისგულებზე, მაგრამ ისეთი გრძობაა, თითქოს თავში გცემენ. ერთი რომ იღლება, მეორე ენაცვლება.

როცა გონებას ვკარგავდი, წყალს გადამასხამდნენ და ისევ განაგრძობდნენ ცემას. ტკივილი აუტანელია და, რა თქმა უნდა, ხშირად ისიც ჰგონიათ, თითქოს პატიმრები გონების დაკარგვას იგონებენ იმ იმედით, რომ მათი წამება დასრულდება. თავდაპირველად ცდილობდნენ, რომ სახე არ დაეზიანებინათ ჩემთვის, მაგრამ, სამაგიეროდ, გადამიმტვრიეს ხელ-ფეხი და ნეკნები...

ახლა, როდესაც ამაზე ვფიქრობ, ასე მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ წიგნში თუ წამიკითხავს, მაგრამ მაშინ კი ღმერთს ვევედრებოდი, ნეტავი, მოვეკალი“.

უშიშროების სამსახურის ყოფილმა მეთაურმა, ირაკლი ბათიაშვილმა, ბრიტანეთის ადამიანის უფლებების ჰელსინკის ჯგუფის დელეგაციას აღუწერა, რა ვითარებაში ნახა ზაზა ნიკლაური ციხეში მას შემდეგ, რაც აცნობეს, რომ „მას რაღაც დაემართა...“

„რაც მე ვნახე, არაადამიანური იყო. მას ლაპარაკიც კი აღარ შეეძლო. ეს იყო მასა დამტვრეული ძვლებითა და ერთიანად დაფუფქული სხეულით. იგი სხვადასხვა საშუალებებით იყო ნანამები“.

ექიმმა, რომელიც დელეგაციაში იყო, გასინჯა ზაზა ნიკლაური და დაადასტურა, რომ მას კისერზე აჩნდა დიდი ნაწიბური დამწვრობის შედეგად და უამრავი პატარ-პატარა ნაწიბური მკლავებზე, ხოლო მკლავის ზედა ნაწილი მოტეხილობის შემდეგ ცუდად იყო შეხორცებული.

ზაზა ნიკლაურის საწინააღმდეგოდ ერთადერთი ბრალდება იყო წაყენებული მისი წამების განცხადების თაობაზე. გამოძიება არ ჩაუტარებიათ, რადგან თვითონ ზაზა ნიკლაურმა თქვა უარი ჩვენებაზე საკუთარი ოჯახის საფრთხეში ჩადების შიშით. ხოლო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ემნესტი ინთერნეშნლს“ 1994 წ. ოქტომბერში აცნობეს, რომ გამოძიება არ დაუწყიათ, რადგან სასამართ-

ლოს პროკურორმა, კახა კობერიძემ, ბრიტანეთის ჰელსინკის „ჰიუმან რაითის“ ჯგუფს უთხრა, ვითომ ზაზა ნიკლაური დაპატიმრების მომენტში მანქანიდან გადმოხტა და მაშინ დაშავდა.

ამის მიუხედავად, სხვა განსასჯელებმაც და მათმა დამცველებმაც ასეთივე განცხადებები გააკეთეს წამების ფაქტების შესახებ. სასამართლო განხილვის დროს „ემნესტი ინთერნეშნალმა“ აღნიშნა სხვა პატიმრების წამების ფაქტებიც. ასე მაგალითად, ვიქტორ დომუხოვსკი საკანში სცემეს საგანგებო პოლიციის ოფიცრებმა 1994 წლის 13 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა მათთვის გადაეცა სასამართლოზე გაკეთებული ჩანაწერები. პოლიციის ოფიცრებმა ჯერ რეზინის ხელკეტებით ურტყეს, შემდეგ იატაკზე დააგდეს და ნიხლებით სცემეს. 15 აგვისტოს იგი სასამართლო პროცესზე ვერ გამოცხადდა, რადგან ცემის შემდეგ ფეხზე ველარ იდგა. ამას გარდა, 1994 წ. 11 დეკემბერს ვიქტორ დომუხოვსკი ცემეს მთვრალმა პატიმრებმა, რომელთაც ვილაცამ გადასცა მისი საკნის გასაღები. „ემნესტი ინთერნეშნალისთვის“ არ არის ცნობილი ამ ინციდენტების გამოძიების შესახებ.

საქართველო ოფიციალურად შეუერთდა (1994 წლის ოქტომბერში) გაერთიანებული ერების კონვენციას, რომელიც იბრძვის წამებისა და სხვა სისასტიკეების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა, თუ დასჯის წინააღმდეგ და ვალდებულია შეისწავლოს და განიხილოს ყველა განცხადება თუ საჩივარი, რაც ეხება წამებისა და ცუდად მოპყრობის ფაქტებს, გაასამართლოს ყველა პირი, ვინც ასეთ ქმედებას სჩადის, ხოლო ნაწამებს უნდა აუნაზღაუროს და მოახდინოს მისი რეაბილიტაცია. ასევე შეუძლია, ყველა ზომა მიიღოს, რათა არ განმეორდეს წამების შემთხვევები.

*Amnesty International Report 1995 year  
„სამრეკლო“, 1995, 3-9 აგვისტო*

**„სიკვდილით დასჯის, წამებისა და  
სასამართლოს „ოზიქტურობის“ გამო“. საქმე  
№7493810 (გაგრძელება)**

**წინაპატიმრობის პირობები**

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს განსასჯელებს ამყოფებდნენ ორთაჭალის ციხეში (საგამომძიებლო იზოლატორი №1), თბილისში. ცნობილია, რომ ციხეში შემადრწუნებელი პირობებია. თითოეულ საკანში 45-50 კაცია, თითოეულზე მოდის 2 კვ. მ ფართობი. მათი საკვებია ძირითადად პური და წყალი, ხან ცოტა მეტი. ზამთარში გათბობა მოუწესრიგებელია, ასევეა ელექტრომომარაგება, იქაურობა სავსეა სხვადასხვა პარაზიტებით, ვირთხებით, ტილებით.

ციხეში ძალზე გავრცელებულია ტუბერკულოზი, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებენ ამ გადაამდები დაავადების წინააღმდეგ, არ ტარდება მკურნალობა, არა აქვთ წამლები, რომლითაც ავადმყოფებს სახლიდან ამარაგებენ. ხშირ შემთხვევაში მათი სამედიცინო დახმარების საკითხებს უფრო სამართალდამცავი პირები წყვეტენ, ვიდრე ექიმები, თუმცა არც საავადმყოფოა გამოსავალი, პატიმარი კვლავ მოსამართლეზეა დამოკიდებული. ზაზა წიკლაური, რომელიც წამების, ტუბერკულოზის და შიმშილობის გამოცხადების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოათავსეს საავადმყოფოში, მოსამართლის ბრძანებით უკანვე დააბრუნეს 1994 წლის ივნისში, შეუწყვიტეს მკურნალობაც და 9 სექტემბერს კვლავ იძულებული გახდნენ, გადაეყვანათ საავადმყოფოში.

**დაავადების შემთხვევები**

განსასჯელთა საკმაოდ დიდი რიცხვი უჩივის ჯანმრთელობის გაუარესებას პატიმრობის პირობების გამო, ზოგჯერ შიმშილობის გამოცხადების მიზეზითაც, რითაც ისინი პროტესტს გამოხატავენ, იმიტომ, რომ აუტანლად ეპყრობიან.

ორ განსასჯელს, ვიქტორ დომუხოვსკისა და მამუკა დანელიას განუვითარდათ ტუბერკულოზის ნიშნები, ამას გარდა, მამუკა დანელიას თავის არეში მიღებული ჰქონდა ტრავმები, რაც უფრო გაუარესდა წინა საგამოძიებო პატიმრობის დროს. ზაზა ნიკლაურს აქვს ტუბერკულოზის დიაგნოზი და კუჭის წყლული, ხოლო ზურაბ ბარძიმაშვილი ჩამოყალიბებული ინვალიდია – აქვს ეპილეფსია, საავტომობილო კატასტროფის შედეგად კი მკლავსა და ბარძაყში აქვს მეტალის სამაგრები, იგი გულითაცაა დაავადებული და საჭიროებს მუდმივ მკურნალობას, წამლებით კი მხოლოდ ოჯახიდან ამარაგებენ. ისიც ითქვა, რომ მას გაუუარესდა ფსიქიკური მდგომარეობა, დაპატიმრების დროსაც და შემდეგაც ორჯერ ჰქონია თვითმკვლელობის მცდელობა. 51 წლის ომარ კოჭლამაზაშვილს გულის მწვავე შეტევა დაემართა სასამართლო დარბაზში, 1994 წლის 13 სექტემბერს, მაგრამ, არც მანამდე და არც მერე, ექიმს არ გაუხინჯავს.

### **დარღვევები მიმდინარე პროცესში**

გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა ბრალდებულს ცუდად ეპყრობოდნენ, თვითონ სასამართლო პროცესიც მეტად მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობდა, დაპატიმრების მომენტიდან თვით განაჩენამდე. პატიმართა უმეტესობა ჩიოდა, რომ მათთვის არ წარუდგენიათ დაპატიმრების მიზეზი და არ იცნობდნენ წაყენებულ ბრალდებებს, დამცველთან ურთიერთობა თითქმის უგულვებლყოფილი იყო, დაკითხვებიც მეტწილად დამცველის გარეშე მიმდინარეობდა, ხშირად პროცესიდან აძევებდნენ, როგორც დამცველს, ასევე ბრალდებულს, მოსამართლე უარს ეუბნებოდა განსასჯელს, გასცნობოდა საქმეს, იყო შემთხვევები, როცა არც დამცველს გააცნეს საქმესთან დაკავშირებული მასალები; განსასჯელებს არ აძლევდნენ საშუალებას, თავისი სურვილის მიხედვით აერჩიათ დამცველი და აიძულებდნენ, სასამართლოს მიერ თავს მოხვეული ადვოკატი ჰყოლოდათ.

თუ ზემოაღნიშნული ფაქტია, და ნამდვილად ასე ხდებოდა, მაშინ ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წლის მაისში.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსასჯელები ზოგიერთ შემთხვევაში უპატივცემულოდ იქცეოდნენ სასამართლოს მიმართ, რის გამოც მათ აძევებდნენ დარბაზიდან. მაგ., პროტესტის ნიშნად განსასჯელებმა ზურგი შეაქციეს მოსამართლე მირზა დოლიძეს, პროკურორს, აბოლებდნენ სიგარეტს და სხვ., რასაც იტყობინებიან ოფიციალური და დამოუკიდებელი დამკვირვებლები.

### განაჩენი

31 იანვარს პროკურორმა წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა და მოითხოვა უმეტესი განსასჯელის სასჯელის მაქსიმუმი, ხოლო ორისთვის – ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანისთვის სიკვდილით დასჯა.

განაჩენი გამოიტანეს 6 მარტს. როგორც მოითხოვა პროკურორმა, ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს დაუტოვეს სასჯელი, ხოლო დანარჩენებს, 15 განსასჯელს, უმნიშვნელოდ შეუმცირეს პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ვადა.

რაკი №7493810 საქმე განხილულ იქნა უზენაესი სასამართლოს მიერ, ე. ი. პირველი ინსტანციის მიერ, ბრალდებულებს უფლება არ დაუტოვეს განაჩენის გასაჩივრებისა. მაგრამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, ყველა ბრალდებულს უფლება აქვს, მიმართოს უფრო მაღალ სასამართლო ინსტანციებს. ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს კი ჩამოერთვათ ეს უფლება, ასევე უარი ეთქვათ საჩივარზე სხვა ბრალდებულებსაც. ასე რომ, ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს ერთადერთი იმედი რჩებათ – გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება ედუარდ შევარდნაძემ და უბოძოს მათ შეწყალება, შეუცვალოს განაჩენი.

სასამართლოს დასკვნის შემდეგ, სულ მალე, ედუარდ შევარდნაძეს რადიოგამოსვლაში უთქვამს, თითქოს პირადად იგი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია, მაგრამ რაკი არსებობს კანონი, კიდევ უნდა იმოქმედოსო. „ემნესტი ინთერნეშლი“ მიმართავს მას, იმოქმედოს საკუთარი რწმენის თანახმად და შეცვალოს განაჩენი, რომელიც გამოუტანეს ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს.

### **„ინთერნეშლის“ მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი 7493810 საქმესთან დაკავშირებით**

სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ „ემნესტი ინთერნეშლმა“ მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პასუხისმგებელ პირებს, რომ იმოქმედონ ამგვარად:

1. სიკვდილის განაჩენი შეუცვალონ ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს;
2. სასწრაფოდ, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად, გამოიკვლიონ პატიმრების ცუდად მოპყრობის შემთხვევები, საჯაროდ ამხილონ ისინი და შესაბამისად დასაჯონ დამნაშავენი;
3. გადაისინჯოს ხელახლა ყველა 17 ბრალდებულის საქმე, ე. ი. მათი, ვინც დამნაშავედ სცნეს და განაჩენი გამოუტანეს 1995 წლის 6 მარტს.

### **საქართველო ხსნის მორატორიუმს სიკვდილით დასჯაზე**

1994 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლება „ემნესტი ინთერნეშლის“ 1994 წლის იანვარში მოხსენებას – საქართველოში სიკვდილით დასჯის შესახებ – იმით ხსნის, რომ გაუგზავნა დაწვრილებითი სტატისტიკა დანართით 1991 წლიდან 1994 წლამდე სიკვდილით დასჯის შემთხვევებისა. ყველას, ვისაც კი მისჯილი ჰქონდა სიკვდილი 1992 წლის თებერვალში, როდესაც „ემნესტი ინთერნეშლი“ ეწვია ორთაჭალის ციხეს თბილისში, და მოხსენიებული იყვნენ 1994

წლის მოხსენებაში – უბოძეს შეწყალება და სიკვდილის განაჩენი შეუცვალეს 20 წლის პატიმრობით. საპარლამენტო შეწყალების კომისიამ 1994 წლის აგვისტოში მათი პეტიციის სასარგებლოდ გადანყვეტილება მიიღო.

1991 წელს ხუთ კაცს მიუსაჯეს სიკვდილი, ყველა მათგანს შეუცვალეს განაჩენი 20 წლის პატიმრობით 1994 წლის 23 აგვისტოს. ერთ პირს, თამაზ ცაბავას სიკვდილი მიუსაჯა აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ. 1992 წელს იგი ჯერ კიდევ ელოდებოდა შეწყალების პეტიციის შედეგს იმ დროს, როცა ადგენდნენ სტატისტიკას, მაგრამ მისი ბედი უცნობია „ემნესტი ინთერნეშნლისთვის“.

1993 წელს 13 კაცს მიუსაჯეს სიკვდილი, რომელთაგან სამი კვლავ ელოდებოდა პეტიციის შედეგებს შეწყალებისთვის, მაშინაც ადგენდნენ სტატისტიკურ ინფორმაციას, მაგრამ მათი ბედი ჯერჯერობით უცნობია. ოთხს სიკვდილის განაჩენი შეეცვალა 20 წლის პატიმრობით 1994 წლის აგვისტოში, ხოლო 6 დაისაჯა 1994 წლის მაისში, რომელთაგან ერთი – სერგო ტიდილოვი უკვე ცნობილი იყო „ემნესტი ინთერნეშნლისთვის“, მაგრამ ვერ მოესწრო, რადგან საქართველოს პარლამენტმა მორატორიუმი მოხსნა სიკვდილით დასჯის კანონს.

1994 წელს პირველი 7 თვის მანძილზე 11 კაცს მიუსაჯეს სიკვდილი. ერთი მათგანი – სულიკო ჩიხლაძე – დაისაჯა 1994 წლის 15 აგვისტოს, განაჩენის 6 თვის შედეგ; ერთს შეუცვალეს 20 წლის პატიმრობით 1994 წლის 5 აგვისტოს.

ყველა ეს აღნიშნული სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი იყო წინასწარ განზრახული, დამამძიმებელი გარემოებებით მკვლელობისთვის, მუხლი 104, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, გარდა ერთი ბრალდებისა, მცირეწლოვანი ბავშვის გაუპატიურებისთვის, მუხლი 17-4 და ერთიც – პოლიციის ოფიცრის მკვლელობის მცდელობისათვის, მუხლი 209.

ამ სტატისტიკის მიღების შემდეგ „ემნესტი ინთერნეშნლმა“ შეიტყო მხოლოდ ერთი სიკვდილის განაჩენის შემთხვევა,

რომელიც გამოტანილ იქნა 1995 წელს, იმის გარდა, რაც გამოუტანეს ირაკლი დოკვაძესა და პეტრე გელბახიანს. არაოფიციალური წყაროებიდან „ემნესთი ინტერნეშნლმა“ მიიღო ცნობა, რომ 1995 წელს სულ მცირე 7 სიკვდილის სასჯელი აღასრულეს.

### **აპელაციის უფლების უქონლობა**

ყველა ის 11 კაცი, რომელთაც 1994 წლის პირველ 6 თვეში გამოუტანეს სიკვდილის განაჩენი, გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელიც მიჩნეულია უმაღლეს ინსტანციად. მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდა, განსასჯელებს შეეძლოთ საჩივრით მიემართად სსრკ-ს უმაღლესი სასამართლოსთვის, მაგრამ, როგორც ცნობილია, ემნესტი ინტერნეშნლისთვის, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, აღარ არსებობს სხვა უმაღლესი ორგანო, სადაც შეიძლება პატიმარმა გაასაჩივროს. უზენაესი სასამართლოს ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ამით კი ირღვევა საერთაშორისო კანონის სტანდარტები.

მაგრამ მაინც რჩება განაჩენის შეცვლის ორი გზა. აუცილებლობის შემთხვევაში სამართლიან ხელისუფლებას შეუძლია, შეიტანოს პროტესტი სასამართლოზე განსახილველად, მაგრამ ეს პროცედურა არ არის ავტომატური. ყველა სასიკვდილო განაჩენი განიხილება შეწყალების კომისიის მიერ, მაგრამ აქაც გათვალისწინებულია შემამსუბუქებელი ფაქტორები და სასამართლო განხილვას არ გულისხმობს.

### **სიკვდილის განაჩენის მასშტაბების გაფართოების გამო**

რუსული გაზეთი „იზვესტია“- 1995 წლის თებერვალში გვაუწყებდა, რომ საპარლამენტო კომისიამ საქართველოს პარლამენტს გადასცა განსახილველად კანონპროექტი, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკების გავრცელება-მოხმარების



პრობლემებს და ითვალისწინებდა სასიკვდილო განაჩენს. ამ დოკუმენტის შესახებ მეტი ცნობები აღარ მიგვიღია.

სიკვდილის დასჯის მასშტაბების გაფართოება შეუსაბამისობაშია საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების (ICCPR) წინაშე. გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების კომიტეტი, ექსპერტთა საბჭო, რომელიც მეთვალყურეობას უწევს შეთახმებას, ზოგადად შენიშვნაში (6), აცხადებდა, რომ მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან, შეზღუდონ სიკვდილით დასჯის მასშტაბები და ურჩევდა, რომ აუცილებელი იქნება ამ კონტექსტში სისხლის სამართლის კანონების გადასინჯვა. კომიტეტი ასევე განმარტავდა, რომ მუხლინგანიხილავს სიკვდილით დასჯის საერთოდ გაუქმებას იმ პირობების დაცვით, რასაც მკაცრად შეგვახსენებს (პარ. 2/2 და 6), რომ გაუქმება სასურველია. დასკვნის სახით კი ნათქვამია, რომ „სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის მიღებული ყველა ზომა პროგრესულ ნაბიჯად მიიჩნევა, რაკი გულისხმობს სიცოცხლის უფლებით სარგებლობას“.

### **„ემნესტი ინთერნეშნლის“ რეკომენდაციები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისთვის სიკვდილით დასჯის გამო**

ემნესტი ინთერნეშნლი დიდ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოში შეიცვალა ვითარება სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებასთან დაკავშირებით და განახლდა ადამიანების დაზარალება. კვლავაც გრძელდება ასეთი მიმართვების გაგზავნა საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი პირებისადმი, რათა:

- შეცვალონ ყველა განსახილველი სასიკვდილო განაჩენი;
- დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რომ ყველა სიკვდილმისჯილს მიეცეს საშუალება, მიმართოს უმაღლეს სასამართლო ინსტანციებს, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით;
- შეიქმნას ოფიციალური კომისია სიკვდილით დასჯის საკითხებთან დაკავშირებით. სხვა ქვეყნების გამოცდილე-

ბამ გვაჩვენა, რომ, სადაც კი ბრკოლდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება, შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს ფაქტების მოძიების მიზნით საგამოძიებო კომისიების შექმნა, რაც გადაწყვეტილებას დაედება საფუძვლად. ოფიციალური კომისია იზრუნებს, რომ სასიკვდილო განაჩენს შემოაცილოს პოლიტიკური და ემოციური სარჩული, რაც ხშირად ახლავს ხოლმე ამას. კომისიის მიგნებები დაეხმარება ოფიციალურ პირებს, კანონმდებლებსა და საზოგადოებას ობიექტური ინფორმაციის თუ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

თავი შეიკავეთ სიკვდილით დასჯის მასშტაბების შემდგომი ზრდისგან!

*Amnesty International Report 1995 year*  
*„სამრეკლო“, 1995, 9-16 აგვისტო.*

## **„აშენსთი ინთერნეშლის“ რაპორტი, 1995 წელი საქართველო**

შემონმდა პოლიტპატიმართა 19-კაციანი ჯგუფი; სამართლიანი ძიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გამოძიება არასრულყოფილი აღმოჩნდა. ერთი პოლიტპატიმარი დაუნდობლად იყო ნაცემი. მეორე დაკავებული „დამუშავების“ შედეგად დასნეულებული გარდაიცვალა. მას მერე, რაც პარლამენტმა დახვრეტის შესახებ აღძრა მორატორიუმის საკითხი, სულ ცოტა 11 ადამიანს მიუსაჯეს სიკვდილი, ხოლო 13 სივდილმისჯილს სასჯელი შეუმსუბუქდა. აფხაზეთის სადავო რაიონში უშუალოდ ეთნიკური უთანხმოების ნიადაგზე დააკავეს ერთი პიროვნება, ხოლო წინა წლებში „გამქრალი“ ადამიანების ბედი გაურკვეველი რჩება. ფიქრობენ, რომ წლის ბოლოს აფხაზეთში დახვრიტეს სულ ცოტა 6 კაცი. არეულობის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ (1994) წლის და-

საწყისში, დადასტურდა ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, სიკვდილი. თებერვლის თვეში ქვეყნის უმეტეს ნაწილში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. სექტემბერში სახელმწიფო მეთაური, ედუარდ შევარდნაძე, გადაურჩა პარლამენტის მიერ წამოჭრილ უნდობლობის ვოტუმს.

მდგომარეობა აფხაზეთის სადავო ტერიტორიაზე ბოლო წლის განმავლობაში უფრო სტაბილური გახდა. მაისის თვეში ქართული და აფხაზური მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის, ძალების დაშორიშორების შესახებ. მომდევნო თვეს კი რუსეთის სამხედრო ნაწილები, როგორც მშვიდობის დამცველები, განლაგდნენ ამ ტერიტორიაზე. ოქტომბერში ადრინდელი შეთანხმების თანახმად, იძულებით დევნილი 250000 კაციდან სულ რამდენიმემ შეძლო დაბრუნება.

მაისში საქართველო შეუერთდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო შეთანხმებას, მსგავსად იმისა, როცა პირველად ოპტაციური (ოპტაცია – მოქალაქეობის არჩევის უფლება, რომელიც ეძლევა მოსახლეობას, როცა ერთი სახელმწიფოს ტერიტორია გადადის მეორე სახელმწიფოს ხელში) ოქმით შეუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის საერთაშორისო შეთანხმებას. ოქტომბრის თვეში ქვეყანა შეუერთდა ბაპრო-ს კონვენციას წამების წინააღმდეგ.

ცხრამეტი კაცი – მათგან უმრავლესობა ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მომხრე – გადაეცა გამოძიებას მთელი რიგი დანაშაულის გამო, როგორცაა: იარაღის უკანონო ტარება, მკვლელობა და ტერორიზმი. სამართლიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ძიება აღმოჩნდა არასრულყოფილი. ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ 1992 წელს, დაპატიმრების მომენტში, ისინი არ იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მათ წინააღმდეგ აღძრულია საქმე და, რომ საკუთარი ნებით არჩეულ ადვოკატებს ხშირად უკრძალავენ მათთან შეხვედრას. როგორც გაირკვა, გამოძიების პროკურორმა უარი უთხრა მათ, გაცნობოდნენ

საბრალდებო საქმის მასალებს და სულ ცოტა ერთ ინსტანცი-  
აში მათ ადვოკატებსაც ასევე ეთქვათ უარი. პატიმრების აღ-  
წერით, თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან დაიწყო მათი  
წამება საშინელი ფორმებით, მათ შორის თავდაყირა ჩამო-  
კიდება, მდულარე წყლით დათუთქვა და გამუდმებული ცემა,  
რისი შედეგიცაა დამტვრეული ძვლები.

აუგი მოპყრობის შესახებ მიღებული მრავალი განცხადების  
უმეტესობაში აღნიშნულია, რომ დაკავებულებს აწამებდნენ  
ძიების დაწყებამდე, 1993 წლის ოქტომბრამდე. განსაკუთრებით  
ერთი პატიმარი – ვიქტორ დომუხოვსკი აცხადებს, რომ ის 13  
აგვისტოს ცემეს განსაკუთრებული პოლიციის ოფიცრებმა,  
რომლებიც შევიდნენ მის საკანში და მოსთხოვეს, დათანხმებო-  
და გამოძიების მითითებებს. ბევრი პატიმარი იტანჯებოდა და-  
ავადებებით, რომლებიც საპატიმროში არსებული პირობებით  
იყო გამოწვეული. ისინი ჰყავდათ ხალხით გადატვირთულ,  
მკბენარებით სავსე და ანტისანიტარულ საკნებში. სამედიცინო  
დახმარება სპონტანური და არაადეკვატური იყო.

ერთი მამაკაცი, პოლიციელების მიერ ნაცემი, გარდა-  
იცვალა. ივლისში როინ ქოჩიშვილი სოფელ ქურთადან (ცხინ-  
ვალის რაიონი), ცემით გარდაიცვალა მას მერე, რაც პოლიცი-  
ის ოფიცრებმა ის და მისი რამდენიმე ამხანაგი დააპატიმრეს,  
როგორც მანქანის ქურდობაში ეჭვმიტანილი.

მარტში პარლამენტმა წამოჭრა სიკვდილის დასჯაზე  
ორწლიანი მორატორიუმის საკითხი და აგვისტოსთვის ცხრა  
კაცი დახვრიტეს. მათ შორის იყო სულიკო ჩიხლაძე, რომელ-  
საც მკვლელობის გამო დახვრეტა მიუსაჯეს თებერვალში. ეს  
ადამიანი და კიდევ ხუთი კაცი ცხრა სიკვდილმისჯილიდან  
უმადლესმა სასამართლომ გაასამართლა და მათ გასაჩივრე-  
ბის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ. გასული წლის  
პირველ ნახევარში სულ ცოტა 11 ადამიანს მიესაჯა სიკვდი-  
ლი. აგვისტოში 13 სიკვდილმისჯილს სასჯელი შეუმსუბუქეს.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის სადავო ტერიტორიაზე  
ეთნიკური უთანხმოების გამო დაიჭირეს სულ ცოტა 1 ადამი-

ანი – მადლენა ჯაფარიძე, 67 წლის, ეროვნებით ქართველი. მან განაცხადა, რომ 8 ივლისს ეწვია აფხაზი ჯარისკაცი და იგი დაადანაშაულა სხვა ქართველებთან კავშირში. მეორე დღეს ის აფხაზი სხვა ოთხ ჯარისკაცთან ერთად მობრუნდა და ქალბატონი წაიყვანა. იმავე საღამოს მის ბინაში სხვა ოჯახი შესახლდა. აი, უკვე წლის ბოლოა და მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის დროს სხვა დანარჩენ „გამქრალთა“ ბედი აგრეთვე გაურკვეველია. როგორც ითქვა, ისინი და კიდევ სულ ცოტა შვიდი არაქართველი, 1992 წლის მინურულს ქართველმა სამხედრო პირებმა დააპატიმრეს სოხუმში, ხოლო 1993 წლის სექტემბერში, როცა აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს სოხუმი, დააპატიმრეს უამრავი ქართველი.

იანვარში აფხაზეთის პროკურორმა განაცხადა, რომ აფხაზეთის სადავო ტერიტორიაზე ხუთი, თუ ექვსი კაცი დახვრიტეს, ყველა გასამართლდა მკვლელობისთვის და, რომ იქ იმ დროისათვის არ არსებობდა სათანადო რგოლი, რომელიც განიხილავდა პეტიციას შეწყალების შესახებ.

„ემნესტი ინტერნეშნლი“ ცდილობდა, მოეპოვებინა სათანადო ინფორმაცია იმ დაკავებულთა შესახებ, რომლებიც აფხაზური კონფლიქტის დროს ეთნიკური მიზეზით დაიჭირეს და ორივე მხარეს მოსთხოვა, დაადგინონ მათი ადგილსამყოფელი, ვინც უკვალოდ „გაქრნენ“.

„ემნესტი ინტერნეშნლი“ მოსთხოვა ხელისუფალთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყონ ვიქტორ დომუხოვსკისა და მის თანაბრადღებულთა ჭეშმარიტად ობიექტური გამოძიება. ორგანიზაციამ, აგრეთვე, მოითხოვა, ჩატარდეს ამომწურავი, სწრაფი და მიუკერძოებელი ძიება წამების შესახებ არსებული ყველა განცხადებისა, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი დარღვევა, რომელიც იწვევდა უსამართლობას.

„ემნესტი ინტერნეშნლი“ გამოთქვა მწუხარება სიკვდილით დასჯის აღდგენის გამო და მოითხოვა ყველა მოსალოდ-

ნელი სასიკვდილო განაჩენის შემსუბუქება. ორგანიზაციამ ასევე მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა ყველა სიკვდილმისჯილს გარანტირებული ჰქონდეს უფლება, მიმართოს უმაღლესი იურისდიქციის მქონე სასამართლოს და მიაღწიოს სრულ შეწყალებას ან სასჯელის შემსუბუქებას.

*Amnesty International Report 1995 year, Georgia*

*„სამრეკლო“, 1995, 23-30 აგვისტო*

## **შეპარდნაქა პასუხობს: „...საქართველოში ყველაფერი განადგურებულია“**

### **საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის შესახებ:**

მრავალმა ადამიანმა არ იცის რუსეთი ჩემზე უკეთ. ფიქრობენ, რომ რუსეთი საქართველოს თავისი გავლენის ქვეშ სრულად მოაქცევს და კოლონიად გაიხდის. რას მოიგებს ამით რუსეთი? არაფერს. სინამდვილეში კი, როგორც სახელმწიფო, დაკარგავს უამრავს, კერძოდ, ნდობას და აგრეთვე, ისეთი ქვეყნის სახელს, რომელიც არ იპყრობს სხვა ქვეყნებს. ახალ რუსეთს ახალი მისია აკისრია: გაუადვილოს ჩამოყალიბება ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს, ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მათ დამოუკიდებლობას. რუსეთს არ შეიძლება ვუყურებდეთ, როგორც საფრთხობელას, როგორც მუქარას სხვა ქვეყნებისთვის. სხვაგვარად, რუსეთი მიდის დეზინტეგრაციისკენ.

### **საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ:**

შეთანხმება სხვა ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგების შესახებ სუვერენიტეტს გარკვეულად ზღუდავს, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა და არ ნიშნავს დამოუკიდებლობის დაკარგვას. თურქეთში განლაგებულია უცხო ბაზები, მაგრამ მას თავისი დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს. არც ფილიპინებს, არც სამხრეთ კორეას ან იაპონიას... ბაზების სანაცვლოდ ჩვენ

მოგვეცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია. მეორე გარანტია, რომელიც ჩვენ მივიღეთ, არის ის, რომ რუსეთი ყველანაირად შეგვიწყობს ხელს, რათა ჩვენი ეროვნული არმია შევექმნათ. შეუძლია ვინმეს, წარმოიდგინოს სუვერენული სახელმწიფო საკუთარი არმიის და პოლიციის გარეშე?

### **საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივების შესახებ:**

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ 1988-89 წლიდან საქართველოში ყველაფერი განადგურებულია – ქარხნები, რკინიგზები, ელექტროსადგურები... როცა მე პირველად ჩამოვედი აქ, მეგონა, რომ მოვხვდი ჯოჯოხეთში. ახლა პირველი წელია, როცა ხალხმა დაიწყო ფიქრი რაიმეს წარმოებაზე, რაიმეს აშენებაზე. შემდგომი ორი წელი ძალიან მძიმე იქნება, მაგრამ სიტუაცია სტაბილურია; ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვეთ. თოფიანი ხალხი აღარსად ამყარებს წესრიგს. სტაბილურობასთან ერთად ინვესტორებიც ნამდვილად ჩამოვლენ. თუ ჩვენ კონსტიტუციის მიღებას მოვახერხებთ და ჩავატარებთ არჩევნებს, ეს შემდგომში გაამყარებს დემოკრატიის საფუძვლებს.

### **შევარდნაძის როლი საბჭოთა იმპერიის დაშლისას:**

არავითარი ნოსტალგია. შეგეძლოთ თქვენ 10 წლის წინ, წარმოგედგინათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო არ აფეთქდებოდა და ბირთვული ომი არ დაიწყებოდა? და რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი იქნებოდა მხოლოდ გეოგრაფიული აღნიშვნა, რომ ევროპა გათავისუფლდებოდა, ბერლინის კედელი დაეცემოდა და რომ 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნებოდა? შეგიძლიათ, დამისახელოთ იმაზე დიდი რევოლუცია, ვიდრე ის, რაც მოხდა წინა საუკუნეებში?

*„Georgia has been destroying everything“  
„ნიუსვიქ“, 1995 წ. 26 ივნისი, ა. ნაგორსკი  
„სამრეკლო“, 1995, აგვისტო*

**დემოკრატი, თუ დიქტატორი?  
საქართველო: შვედრენაძე იყენებს  
უფრო უხეშ ტაქტიკას**

*შვედრენაძემ, თითქმის როგორც მონამ, ილაპარაკა რუსეთზე. როგორც „სუვერენული ქვეყნის დამოუკიდებლობის“ გარანტზე. იგი ამტკიცებს, რომ სამხედრო ბაზების შესახებ 25-წლიანი შეთანხმება რუსებს ავალებს, დაეხმაროს მას, რათა კვლავ გააკონტროლოს დაუმორჩილებელი რაიონები.*

*„ნიუსვიქ“*

*დაუფერებელია რუსეთის არმიის სამშვიდობო მისია. მას სულ სხვა მიზნები და ამოცანები აქვს: ნებისმიერ ფასად, მკვიდრი მოსახლეობის სიცოცხლის ხელყოფის ფასადაც კი, გაანადგუროს მონინაალმდევე. რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ომმა ჩეჩნეთში. აბა, სხვა რისთვისაა არმია საჭირო?*

*„კომსომოლსკაია პრავდა“*

ვინ არის ედუარდ შვედრენაძე? დასავლეთისთვის უსაყვარლესი, საბჭოთა პერესტროიკის ხანის საგარეო საქმეთა მინისტრი. იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შიულცმა ის მოიწვია საიახტო კრუიზში მდინარე პოტომაკის დაყოლებით, სადაც ბანჯოს ჟღარუნის თანხლებით, გაისმა „საქართველო ჩემს ფიქრებში“. და ეს ყოველივე მის საპატრივციემულოდ მოეწყო (შვედრენაძე წარმოშობით საბჭოთა საქართველოდანაა და არა დიქსილენდიდან, მაგრამ არა უშავს რა). შულცის მემკვიდრე, ჯემს ბეიკერი, მოსკოვში ყოფნისას შვედრენაძეს ბინაში ეწვია საგანგებოდ მოწყობილ ქართულ სადილზე, სადაც გაუმასპინძლდნენ სუნელებით შეკმარული და ბოსტნეულში ჩაშუშული ბატკნით. დასავლეთმა



შევარდნაძეს ხოტბა შეასხა იმის გამო, რომ მონაწილეობდა რკინის ფარდის მოხსნაში. მაგრამ მისი ბიოგრაფია ასევე შეიცავს ადრინდელი კარიერის, დაუნდობელი სადამსჯელო ინსტიტუტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოსის, ძველ პერიოდს. როცა სამი წლის წინ, ის მშობლიური ქვეყნის მეურვედ დაბრუნდა, საკუთარ თავს დაუსვა კითხვა: როგორ-მა შევარდნაძემ აიღო სადავეები – ძველი პარტიის ბოსმა, რომელიც ბრძანებებს მოსკოვიდან იღებდა, თუ დემოკრატი-მა ლიდერმა, რომელიც მზადაა, წარუძღვეს საქართველოს უფრო დამოუკიდებელი, პროდასავლური გზით?

უკანასკნელი ფაქტები შემაშფოთებელია: მარტში შე-ვარდნაძე დათანხმდა შეთანხმებას, რომლის მიხედვით, რუსეთის სამხედრო ბაზები 25 წლით განლაგდება საქა-რთველოში... თბილისში ახალი რუსული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე მან განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დაძლეულია „არასასიამოვნო მომენტი“ და რუსეთზე, როგორც „სხვა სუვერენული ქვეყნების და-მოუკიდებლობის“ გარანტზე, ილაპარაკა თითქმის როგორც მონამ. ამ დროს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშო-რისო ორგანიზაციები მას ბრალს სდებენ, რომ იგი ხელმძ-ღვანელობს „უშიშროების ძალებს“, რომლებიც მონინააღმ-დეგების მიმართ წამებისა და დაშინების დამკვიდრებული პრაქტიკიდან სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. ტელევიზია აქამდე რჩება მთავრობის ძლიერი კონტროლის ქვეშ და, მს-გავსად ჩრდილოელი მეზობლის, ბორის ელცინისა, შევარდ-ნაძეს სურს, მიიღოს ფართო საპრეზიდენტო ძალაუფლების მქონე კონსტიტუცია.

სამი სამოქალაქო ომის შემდეგ ხალხი მიიღტვის კანონისა და წესრიგისკენ. შევარდნაძის ოპონენტები ამბობენ, რომ ის ამით სარგებლობს და ცდილობს, ანგარიში გაუსწოროს მათ. წინა თვეში პრეზიდენტმა გასცა ბრძანება დრამატურგ-სარდ-ლის ჯაბა იოსელიანის 2000 კაციანი „კერძო“ არმიის განი-არალების შესახებ, რომელიც ქვეყნის სამოქალაქო ომებში

მის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. „ის ტიპური მაკიაველია, რომელიც იშორებს ყველას, ვინც ოდესმე დახმარებია მას ძალაუფლების მოპოვებაში“, – თქვა იოსელიანმა, რომელიც აქამდე გარემოცულია შეიარაღებული პირადი დაცვით. ეს ინვესტს გამწარებული ხალხის აღშფოთებას. „დიქტატურა დაგვლუპავს ჩვენ“, – წინა კვირას გაგვაფრთხილა იოსელიანმა. შევარდნაძემ უპასუხა: „შენ ისე შორს ხარ დემოკრატიისაგან, როგორც მე – დიქტატურისგან“.

რუსეთის ზემოქმედება: ქართველები სულ უფრო და უფრო უპირისპირდებიან ერთმანეთს შევარდნაძის პოლიტიკის შედეგად. როცა მან 1992 წელს დაიკავა თანამდებობა, მისი მიზანი იყო, შეენყვიტა სამოქალაქო ბრძოლა და ქვეყანა უფრო დაეახლოვებინა დასავლეთისთვის. მაგრამ რუსებმა უცებ გამოთქვეს უკმაყოფილება, რაც გამოიხატა შავი ზღვის რეგიონის, კერძოდ, აფხაზეთის, სეპარატისტული მოძრაობისადმი მხარდაჭერით. შევარდნაძეზე მოახდინეს ზენოლა, რათა ის შეერთებოდა კრემლის გავლენის ქვეშ მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობას და დათანხმებოდა რუსეთის არმიის მუდმივ ყოფნას.

ასეთმა ცვლილებამ სწრაფი შედეგი გამოიღო. მოსკოვი დაეხმარა შევარდნაძეს, ჩაეხშო წინააღმდეგობა, გამოწვეული მისი წინამორბედის ზვიად გამსახურდიას მიერ და გაუნია შუამავლობა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის გამო. საქართველოს ლიდერი ამტკიცებს, რომ სამხედრო ბაზების შესახებ ახალი შეთანხმება რუსებს ავალებს, დაეხმარონ მას, კვლავ გააკონტროლოს თუმც მცირე, მაგრამ დაუმორჩილებელი რაიონები, და, რომ ის არ წარადგენს შეთანხმებას რატიფიკაციისთვის, სანამ ისინი ამას არ შეასრულებენ. მაგრამ მისი კრიტიკოსები მას ქვეყნის გაყიდვაში სდებენ ბრალს: „ჩვენ რუსეთის სამხედრო სატელიტი გავხდებით“, – ამბობს საპარლამენტო ოპოზიციის წევრი ივლიანე ხაინდრავა.

შევარდნაძის ასეთ საქციელს მისთვის საზღვარგარეთ აქამდე ზიანი არ მოუტანია. დასავლეთის დახმარება დღემ-

დე ნახევრად ავსებს საქართველოს ბიუჯეტს. ზამთარში გათბობის გარეშე და სპორადული ელექტრობის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა – ეკონომიკის საფუძველი – განადგურებულია. თბილისის სურსათის ღია ბაზრების მენვრილმანე გამყიდველებს საკუთარ ვალუტას რუსული რუბლი ურჩევნიათ. მაგრამ დონორები, რომლებმაც ბოლო დროს შეაჩერეს ჰიპერინფლაცია, ფერმერებს ახალისებენ, რათა მათ მოინიონ მეტი მოსავალი. “მათ ბევრს მიაღწიეს ძალიან მძიმე პირობებში”, – თქვა ჯიან-ე-ვანმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა. „მაგრამ ბევრად მეტის გაკეთებაა საჭირო“.

ალტერნატივა არ არის: ქართველთა უმრავლესობა იმდენად სკეპტიკურადაა განწყობილი, რომ მათი შეფასება არაფრის მთქმელ თავშეკავებამდეა მისული; ისინი ისე არიან დაღლილი მოქიშპე პოლიტიკოსების გამო, რომ მზად არიან ყველა უარყონ. „შევარდნაძე არაფრის გამკეთებელია“ – გამოთქვამს უკმაყოფილებას ნინო ზედელაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ჟურნალისტი. „მე არ მივცემ მას ხმას, მაგრამ ვერც სხვა ალტერნატივას ვხედავ“. ეტყობა, შევარდნაძეც ვერ ხედავს სხვა ალტერნატივას.

*„A democrat or a dictator“*

*„ნიუსვიქ“, 1995 წ. 26 ივნისი, ა. ნაგორსკი*

*„სამრეკლო“, 1995, აგვისტო*

## რუსულიდან

### ჩეჩნური კრიზისი

„კომსომოლსკაია პრავდა“ 5 (21015)

13-16 იანვარი 1995 წელი

რა დაკვარგეთ	რა შევიძინეთ
მოკლულია ასობით მშვიდობიანი მოსახლე და რუსეთის სამხედრო მოსამსახურე.	ჯარმა მიიღო რადიკალური რეფორმების ჩასატარებელი იმპულსი.
სხვადასხვა მონაცემების თანახმად, რუსეთის არმიიდან აყვანილია 100-დან 500-მდე სამხედრო მოსამსახურე.	გენერლების და ოფიცრების გარკვეული ნაწილი მიიღებს მაღალ წოდებებს, ორდენებსა და მედლებს.
ჯავშანტექნიკის ასობით ერთეული და რამდენიმე ვერტმფრენი.	მედიკოსებს აღმოაჩნდათ შესაძლებლობა, ექსტრემალურ პირობებში შეამონმონ და დახვეწონ თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები და პროფესიული ჩვევები.
ლტოლვილთა რაოდენობამ მიაღწია 100-150 ათას კაცს.	სატანკო ქარხნები მიიღებენ ახალი ტექნიკის მომზადების დაკვეთებს.
დანგრეულია ქალაქი გროზნო და არლუნი	პრესამ შეძლო, საქმით წარმოეჩინა თავისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და უნარი – წარმართოს საზოგადოებრივი აზრი.
სამომავლოდ წლების მანძილზე გასტანს პარტიზანული ომი ჩეჩნეთში.	საზოგადოებაში გაძლიერდა პაციფისტური განწყობილება.

<p>ჩებოქსარის შეხვედრაზე ავტონომიებმა ცენტრს განუცხადეს, რომ მათთვის რუსეთის პოლიტიკა მკვეთრად მიუღებელია.</p>	<p>შერყეულია ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის კრიმინალური საფუძვლები.</p>
<p>ევროპასა და მუსლიმურ სამყაროში გაძლიერდა ანტირუსული განწყობა.</p>	<p>რუსეთის ხალხებმა მიიღეს გაკვეთილი იმისა, თუ რა სისხლის ფასად დაუჯდა ქვეყანას ჟირინოვსკის რეცეპტით რუსეთის სახელმწიფოებრიობის გამაგრება.</p>
<p>გაურკვეველი ვადით გადაიდო ევროპის საბჭოში რუსეთის მიღების საკითხი.</p>	<p>დემოკრატიულმა და კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ათწლიანი დაპირისპირების შემდეგ მიაგნეს პოლიტიკური შეხების ნერტილებს.</p>
<p>შერყეულია რწმენა იმისა, რომ დემოკრატია არის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის ხერხი.</p>	<p>გახსნილია (დუდაევის რეჟიმისგან) გათავისუფლებული ჩეჩნეთის ტერიტორიის ათვისების პერსპექტივა; ნავთობსადენის გაყვანის მსხვილი კომერციული პროექტი, რომელიც მრავალმილიარდიან შემოსავალს უქადის ხაზინას.</p>
<p>გადადგმულია მკვეთრი ნაბიჯი, რათა საზოგადოება ჩაფლონ უძრაობის ქაობში.</p>	<p>პოლიტიკოსების ახალ თაობას ჩაუტარდა გაკვეთილი, თუ რა ფასი უნდა გადაიხადონ ხალხებმა პოპულისტური ლიდერების მხარდაჭერისათვის.</p>

<p>შარშანდელთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ისედაც გამეოთხებული სოციალური პროგრამები.</p>	<p>ყველას, ვინც დააპირებს რუსეთის შემადგენლობიდან გასვლას, ჩაუტარდა თვალ-საჩინო გაკვეთილი.</p>
<p>დანგრეული ჩეჩნეთის აღსადგენად რუსეთის გადამხდელების ჯიბიდან დაიხარჯება მილიარდობით მანეთი.</p>	
<p>შეჩერებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დაპირებული კრედიტები.</p>	
<p>რუსეთის რეიტინგი, როგორც ხელსაყრელი ზონისა კერძო ინვესტიციებისათვის, 160 პუნქტიან სკალაზე 125-ე ადგილიდან გადავიდა 147-ზე.</p>	
<p>დადგენილ კონსტიტუციურ ვადებში პრეზიდენტის არჩევის ალბათობა შემცირდა და ამასთან სახელმწიფოში გაიზარდა საშიშროება, რომ კვლავ დაიძაბოს პოლიტიკური ცხოვრება და დამყარდეს მკაცრი ავტორიტარული რეჟიმი.</p>	
<p>აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიიღეს დამატებითი პოლიტიკური კოზირები ნატოში შესასვლელად.</p>	

<p>დასავლეთს თვალსაჩინოდ წარუდგა რუსეთის შეიარაღებული ძალების ჭეშმარიტი საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა.</p>	
<p>შემცირდა რუსეთის შეიარაღების შესყიდვები საზღვარგარეთ; რომელი მყიდველის ყურადღებას მიიპყრობს საბრძოლო ტექნიკა, ასანთივით, რომ იწვის.</p>	
<p>დაიწყო ინიციატივა ახალი დაძაბულობის ზოლი შეიქმნას რუსეთის გარშემო.</p>	
<p>გაჩნდა პრეცედენტი სხვა ყოფილი საბჭოთა რეს- პუბლიკებისათვის – საქართველოს, უკრაინასა და მოლდავეთისთვის – თუ რო- გორ შეიძლება გადაწყდეს სა- ხელმწიფოს მთლიანობის და დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემები.</p>	
<p>პრესა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს მკვეთრ ოპოზიციაში ჩაუდგა.</p>	

„სამრეკლო“, 1995, თებერვალი

## თითქმის განაცხადი რუსეთის ახალი ამბავი

„კომსომოლსკაია პრავდა“

### სიახლენი ალკოჰოლიზმის სფეროდან

ბ-მა ელცინმა განაცხადა, რომ ირლანდიაში, იმ ავადსახსენებელ თვითმფრინავში ის მთვრალი არ ყოფილა: „მე რომ მთვრალი ვყოფილიყავი, აუცილებლად გადმოვიდოდი თვითმფრინავიდან და წაფუდირიჟორობდი ორკესტრს! ვერანაირი ირლანდიის პრემიერ-მინისტრი მე ამაში ხელს ვერ შემიშლიდა!“ – განაცხადა პრეზიდენტმა თავის ინტერვიუში. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ოპოზიციამ მოითხოვა, დაეხურათ ელცინის სადარბაზოსთან მდგარი სადღეღამისო კომერციული ჯიხური.

შემამფოთებელი ცნობები მოდის ეკატერინობურგიდან. ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელმა შეატყობინა თანამემამულეებს, რომ ქალაქში ორი დღის სამყოფი არაყია, მერე პერმში მოგვინევს წასვლაო. ქალაქის ადმინისტრაციაში შეიქმნა კომისია, რომელსაც მოუწევს „გაქცევა“. მაგრამ მუნიციპალური ხაზინა ცარიელია, მიღებს კი ცეცხლი უკიდია! ფულის დადება მოგინევთ, ეკატერინობურგელებო!

### ხალხთან ერთად

ვ. ჩერნომირდინი, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდიდან დაბრუნდა, ხანმოკლე სამუშაო ვიზიტით მიემგზავრება ნოვგოროდში. საქმიანი გამგზავრების ძირითადი მიზანია, მოიძებნოს ქუდი, რომელიც პრემიერ-მინისტრს დაავიწყდა ამ უძველეს რუსულ ქალაქში. მთავრობის ხელმძღვანელი შეხვდება საქმიან წრეებს, სამეურნეო აქტივს, რიგით მოქალაქეებს, რომლებმაც შესაძლოა, უკარნახონ, თუ როგორ წარიმართოს ძიება.

### ეკონომიკის ახალი ამბები

წელს დოლარის არნახული კურსი გამოზარდეს მთავრობის, პარლამენტის და რუსეთის ცენტრობანკის მშრომელებ-



მა. თუმცა, სპეციალისტების თვალსაზრისით, 1995 წელს მოსალოდნელია, რომ „აო-მმმ-ის“ აქციების მსგავსად ამერიკული დოლარის კურსიც დაემხოება და „აო-აშშ-ს“ პრეზიდენტს ბ. ქლინტონს ციხეში ჩასვამენ.

### **ახალი ამბები პოლიტიკიდან**

წითელ მოედანზე, მთავრობის სახლის სადარბაზოს შესასვლელთან, რკპრ-ს წევრებმა ჩაატარეს ხუთწუთიანი გამაფრთხილებელი შიმშილობა. ვიცე-პრემიერი შოხინი კეთილმონწყობილი და თბილი კაბინეტიდან გულგრილად ადევნებდა თვალს უბრალო ხალხის შიმშილობას.

### **რუსეთის მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა**

*„მოსკოვსკაია პრავდა“*

ქალაქთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მე-14 სესიაზე, რომელიც სამშაბათს გაიხსნა გაეროში, გაკეთდა მოხსენება რუსეთის მოსახლეობის კლებადობის შესახებ. სპეციალისტების აზრით, „რთული დემოგრაფიული მდგომარეობა“ ყველაზე ვრცელ ქვეყანაში გამოწვეულია სოციალური ძვრებით. გაეროს კრიტერიუმის თანახმად, რუსეთის მოსახლეობა მოხუცია: მის სტრუქტურაში პირთა წილმა 65 წლის ზევით მიაღწია თითქმის 12 პროცენტს. ამავე დროს ქალების რაოდენობა 20-დან 29 წლამდე (შობადობისთვის ხელსარელი ასაკი) 1988 წელთან შედარებით შემცირდა თითქმის ორი მილიონით ანუ 16 პროცენტით.

*„სამრეკლო“, 1995, თებერვალი*

## ბენერლები გეგმავდნენ დარბევას, ბენერლები ომს არ გეგმავდნენ

*ალექსანდრე მინკინი, „მოსკოვსკი კომსომოლუც“*

ყველასათვის მიუწვდომელი საიდუმლოა – ასე იოლად რატომ განირჩეს ჩვენი არმია სასიკვდილოდ? რატომ იწვოდა ათობით ჯავშნიანი მანქანა? რატომ იღუპებოდა ასობით ჯარისკაცი? კვლავ და კვლავ რატომ ხორციელდებოდა თვითმკვლელობა იერიშები?!

მოსკოვშიც და გროზნოშიც ყოფნისას ყველგან მესმოდა: „ეს ბოღვაა, ეს უაზრო ბოღვაა!“

ვწერდი ამ ომის გამომწვევ მიზეზებზე (ქურდობის კვალის დაფარვა და ა. შ.), მაგრამ არა გამეგებოდა რა.

ვთქვათ, უნდა დავმალოთ ქურდობა და სხვა დანაშაულობანი. ვთქვათ, ამისთვის გადაწყდა, განადგურდეს მთელი ჩეჩნეთი. მაგრამ, რატომ წირავენ ასე უაზროდ არმიას?

გადაწყვიტეთ განადგურება? – გაანადგურეთ. გასრისეთ, როგორც გასრისა ამერიკამ ერაყი: მოკლა ასი ათასობით და თვითონ დაკარგა ასი კაცი.

რატომ ამბობდა „საუკეთესო მინისტრი“, რომ ტანკების შეყვანა ქალაქში – იდიოტიზმია და მერე თვითონვე შეჰყავს ისინი? რატომ გვპირდება, რომ ერთი საჰაერო სადესანტო პოლკით ორ საათში დაამთავრებს საქმეს, მაგრამ იბრძვის მთელი არმიით (თავს უყრის საზღვაო ქვეით ჯარს, შინაგან ჯარს და მისტ...)... და აი, აგერ უკვე ორი თვეა, ამ ბრძოლას არც თავი უჩანს და არც ბოლო...

პასუხი კი ასეთია – ომი კი არ იგეგმებოდა, იგეგმებოდა დარბევა.

აქედან ამოტივტივდა ეს „ორ საათში“, ამის გამოა ეს უტვინო იერიშები. ტანკების კოლონები ქალაქში საომრად კი არ შედიოდნენ, არამედ დასარბევად. ასე ქუჩაში იჭრება დამრბევთა ბრბო. ისინი სრულებით არ ფიქრობენ, რომ მათ გზას

გადაუჭრიან, ზურგში დაარტყამენ, ცეცხლს გაუხსნიან ფანჯრებიდან.

დამბრვევები ისწრაფვიან არა იმისთვის, რომ იბრძოლონ, არამედ იღვნიან, რომ მოკლან, გააუპატიურონ, დაამსხვრიონ, გაქურდონ, დაარბიონ.

დამბრვევის ფსიქოლოგია ცნობილია. ის დარწმუნებულია, რომ აბუჩად აგდება და მკვლელობა დაუსჯელად შერჩება. ის დარწმუნებულია, რომ წინააღმდეგობას არ წააწყდება.

დამბრვეს საქმე აქვს არა მტერთან, არამედ მსხვერპლთან. მსხვერპლი უნდა ეგდოს, თავდაღმა ლაფში, გეხვეოდეს ჩექმაზე და გვეედრებოდეს: დამინდე, თეთრო მისტერო.

ამიტომ შეეძლო ას ვაჟკაცს, დაერბია ასიათასიანი ოდესა. ამიტომ შეეძლო ორ პოლკს, გადაესახლებინა მთელი მოსახლეობა (ოღონდ ვაგონების საკმარისი რაოდენობა ყოფილიყო).

ჩვენს გენერლებს არა მარტო ისტორიული, არამედ პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნდათ – თბილისში, ბაქოში, ხალხი თავზარდაცემული გაურბოდა არმიას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. პრიგოროდნი რაიონიდანაც არმიას გაექცა ინგუში ხალხი.

დამბრვევის ფსიქოლოგია უბიძგებდა გრაჩოვს თავხედური ქცევისთვის: „ორ საათშიო“, უბიძგებდა ოფიციალურ პირებს განეცხადებინათ, ერთი შეტაკების დროს დაილუპა ათი ბოევიკი, ჩვენი კი – არცერთიო.

როცა რუსეთის უმაღლესი პირები ამტკიცებენ, რომ ჩვენებმა თვითონ მოიწყვეს გენოციდი, თვითონ უკიდებდნენ ცეცხლს თავის ნავთობს, თვითონ აუპატიურებდნენ თავიანთ ქალებს – მაშინ ჩვენს უმაღლეს პირებს, ეტყობა, ფიქრადაც არ მოსდით, რომ სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ფაშისტურ პროპაგანდას. ამ დღეებში პროგრამა „ვრემიამ“, ჩანს, გაუგებრობით, აჩვენა გრაჩოვი, ერინი, სტეპაშინი – ჩვენი სამეუღლი, რომლებიც მიაქანებენ რუსეთს უფსკრულისკენ და არცერთ კითხვაზე არ გვცემენ პასუხს.

გვერდით – ნაფიცი მსაჯულები: ერინი, სტეპაშინი, შუაში კი – ყოჩი. გრაჩოვი ისეთი ისტერიული, მთვრალი თავხედობით გამოთქვამდა აზრს, რომ ტექსტი იმის მეთაბეჭდილებადაც კი ვერ გადმოსცემს. მაგრამ მაინც ნაიკითხეთ:

– „რუსეთისთვის კვდებოდნენ ღიმილით (ჩეჩნეთში დაღუპული ჯარისკაცები). მათ ძეგლს უნდა ვუდგამდეთ, მათ კი სახელს უტეხენ. აი, ეს, რა ჰქვია მას, მშვიდობის მაძიებელი, დეპუტატი, რა ქვია მას, კოვალიოვი. მას დასაშინთი ადგილი აღარ აქვს. ეს – რუსეთის მტერია! ეს – რუსეთის მოღალატეა! მას კი იქ, ყველგან, ხვდებიან... ეს იუშჩენკოვი, ეს გველგესლა, მასზე სხვანაირად არ შეიძლება თქმა – აძაგებს იმ არმიას, რომელმაც მას განათლება მისცა, წოდება მისცა, ვნანობ, დადგენილების თანახმად, ის კიდევ რუსეთის არმიის პოლკოვნიკია. და ის, ეგ გველგესლა, იცავს იმ არამზადებს, რომლებსაც სურთ, დაანგრიონ ქვეყანა. მე პირადად, აი, ეს არ მესმის, გესმით, მე არ მესმის. მე არ მინდა, ვთქვა, რომ, აი, მე ასეთი ერთადერთი პატრონი ვარ რუსეთის, მაგრამ თქვენ ნახეთ დღეს სანგრებში: იქ ყველა პატრიოტია – 18 წლის, 19 წლის, 50 წლის – და კვდება ყველა, რიგითიდან გენერლამდე, მაგრამ არავინ მიდის პოზიციებიდან“.

ბოლო დროს მრავალგზის ვნახეთ, რომ უმაღლეს პირებს არ ესმით საკუთარი სიტყვების შინაარსი. „კვდებოდნენ ღიმილით?“ – სად ნახა გრაჩოვმა ეს ღიმილი? იყო განა წინა ხაზზე? თუ ისინი მას ჩამოუტანეს დასატკობად? თუ მისთვის გათხარეს ორმოები? რომელ ღიმილზეა ლაპარაკი, როცა მეომრებს სახე ძალღმა შემოუღრღნა?

ჯარისკაცებს არავინ არ ულახავს სახელს, ჩვენ ძალიან მორიდებით ვაკრიტიკებთ დამრბევ გენერლებს, რომლებიც, როგორც სამხედრო დამნაშავენი, უნდა ისხდნენ საბრალდებო სკამზე.

ვინც ნახა, როგორ ამბობდა ამას გრაჩოვი, მას ახსოვს, რომ კოვალიოვის ხსენებაზე მინისტრმა წამოიჭყვივლა კიდევ უმინია, იმიტომაც ჭყვივის.

სტეპაშინმაც პირი დაალო იმის სათქმელად, რომ გროზ-  
ნო აღებულა, ჯარები “ნაიმუშავებენ პარტიზანების ბაზებზე  
(სოფლებზე?) სრული პროგრამით” და „მოსკოვის მშვიდო-  
ბის მაძიებლები ვერ შეუშლიან ხელს თავდაცვის მინისტრსო”.

ვინ არიან მშვიდობის მაძიებლები? დედები? ჟურნალის-  
ტები? მიტინგები? ისინი რუსეთის ყველა ქალაქშია. და ყოვე-  
ლივე ეს – დედები, პრესა, მიტინგები – სტეპაშინს ფეხებზე  
ჰკიდია!

მოსკოვის მშვიდობის მაძიებლები – ეს ჩერნომირდინია.  
დაუყოვნებელი მშვიდობის მოთხოვნით ჩერნომირდინმა ომი  
გამოუცხადა გრაჩოვს, სტეპაშინს, ერინს, ეგოროვს და ყველა  
მათნაირს.

მათ მხარეზეა ჟირინოვსკი, ნევზოროვი და დალუპვის  
გზაზე დამდგარი, ალყაში მოქცეული რუსეთის პრეზიდენ-  
ტი. ჩერნომირდინის მხარეზეა – ამ ისტორიულ მომენტში –  
რუსეთი და ცივილიზებული სამყარო.

გრაჩოვი და მისი რაზმი თვითონ არასოდეს შეწყვეტენ ამ  
ომს. გრაჩოვს სჭირდება გამარჯვება. მხოლოდ გამარჯვება  
მისცემს მას შანსს, აიცდინოს სისხლის სამართლის სამსჯავ-  
რო. ესე იგი, წინააღმდეგობა უნდა შეწყვიტონ ჩეჩნებმა. რა,  
კაპიტულაცია გამოაცხადონ? ისინი ამისთვის მზად არ არიან.

აი, ჩვენ წინ გვაქვს ცნობები ჯილდოების შესახებ. უკვე  
დააჯილდოვეს ოთხი ათასი ხუთასი კაცი (უხარიათ დაჯილ-  
დოვებულებს?).

მაშ, ასე, ჩვენ გველის კიდევ ახალი ტყუილი დანაკარგების  
შესახებ. ოფიციალურად გამოცხადებულია: რუსეთის არმიამ  
დაკარგა 513 კაცი, შინაგანმა ჯარებმა – 40, უგზოუკვლოდ  
დაკარგულია 279. დუდაეველთა დანაკარგი დაახლოებით  
ოთხი ათასი კაცია.

სკოლის მოსწავლემაც კი იცის, რომ თავდამსხმელი კარ-  
გავს ორ-სამჯერ მეტს, ვიდრე ის, ვისაც თავს ესხმიან. „ქა-  
რიშხალი უდაბნოში“ გამონაკლისია. სადამის არმია გაანად-  
გურეს ისე, რომ მას არც კი შეხებია.

უკვე ყველას დაავიწყდა, რისთვის დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. სურდათ „კონსტიტუციური ნესრიგის დამყარება“ – მოაწყვეს ტერორი. სურდათ „არაკანონიერი ბანდფორმირებების განიარაღება“ – გაანადგურეს ქალაქი. აღმართეს დროშა – ესე იგი, დაიპყრეს სხვისი ქვეყანა. სურდათ ძალის ჩვენება – დაასახიჩრეს და მოკლეს ათასობით თავისი ჭაბუკი. ასე რომ, ქვეყანა ვერ მოითვლის ათასობით ბავშს, რომლებიც გაუჩნდებოდათ ამ ბიჭებს.

როგორც „ქარიშხალი უდაბნოში“ არ გაკარებია სადამს, ასე ჩვენი სარაკეტო ბომბადმშენის სამშვიდობო აქციის შედეგად ერთი ნაკანრიც არ დარჩა დუდაევს.

ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია: ვინ არიან დუდაეველები? გრაჩოვის მეტყველების სტილი დაცულია.

*„სამრეკლო“, 1995, თებერვალი-მარტი*

## ჟირინოვსკიდან – შავარდნაძემდე

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“

**რედაქციისგან:**

*ჩეჩნეთისა და, საერთოდ, რუსეთის იმპერიის გადარჩენის საკითხში საოცრად ემთხვევა ჟირინოვსკისა და შავარდნაძის შეხედულებები...*

*გთავაზობთ ჟირინოვსკის შეხედულებებს ფრიად და ფრიად ინტიმურ პრობლემებზე – ამ საკითხებზე მის ქართველ თანამოაზრეს ჯერჯერობით არაფერი დაუწერია. ერთობ საინტერესოა, რას ფიქრობს იგი ამ საკითხებზე?*

### რუსეთის ფლებიბოი №1

ჟურნალ „ფლებიბოის“ ბოლო ნომრის ნამდვილ მშვენიებად იქცა ინტერვიუ ვლადიმერ ჟირინოვსკისთან.

27 წლის კანადელმა ჟურნალისტმა, ჯენიფერ გულდმა, მკითხველს ასე აუხსნა თავისი გრძნობები რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთან ინტერვიუს შემდეგ: „ჟირინოვსკისთან შეხვედრამდე მე არასდროს არ ვყოფილვარ ესოდენ უხეში სექსუალური შეურაცხყოფის ობიექტი... მაგრამ ეს კაცი, ვახსენებდი ჩემს თავს, შესაძლოა, გახდეს რუსეთის შემდეგი პრეზიდენტი...“

სწორედ ამ მიზეზით ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს მცირედი შემოკლებით.

### მეუღლეების ერთგულებაზე

**„ფლებიბოი“:** თქვენს გამოსვლებაში თქვენ ხაზს უსვამთ ოჯახის მნიშვნელობას... მიგაჩნიათ თქვენ, რომ აუცილებელია იყო ცოლის ერთგული?

**ჟირინოვსკი:** ეს დამოკიდებულია ოჯახზე. მე ვფიქრობ, რომ ადამიანების უმრავლესობას აქვს ქორწინების გარეშე კავშირები. საზოგადოება ამის წინააღმდეგია, მაგრამ, როცა სიყვარულმა ამოწურა თავი და ოჯახიც მხოლოდ ბავშვის გა-

მოა შენარჩუნებული, ცხოვრება ღარიბდება. ზოგიერთი კავ-  
შირი ქალსა და მამაკაცს შორის – ფიზიკური აუცილებლობაა,  
მაგრამ ზოგჯერ ეს მხოლოდ და მხოლოდ სპორტია...

### **აბორტების შესახებ**

**ჟირინოვსკი:** აბორტები უნდა იყოს ლეგალური. მათი აკ-  
რძალვა უსარგებლოა. ჩვენ მხარს ვუჭერთ თავისუფლებას  
ყველა სფეროში. აი, რატომ ვინოდებით ჩვენ ლიბერალურ-  
დემოკრატიულ პარტიად.

### **ინტერვიუერ ქალებისადმი დამოკიდებულების შესახებ**

**ჟირინოვსკი:** (მიმართავს 21 წლის შვილს იგორს და  
მცველს) მე ვუთხარი მათ (ჟურნალისტ ქალს და მის თარჯი-  
მანს მაშა პავლენკოს, 20 წლისას) მოსულიყვნენ წელამდე გა-  
შიშვლებული... თქვენ მეტისმეტად თვინიერად ეპყრობით მათ  
(ჟურნალისტს მიმართავს): თქვენ მაუპატიურებთ მე, ყველა ამ  
კაცებს ჩვენ გარშემო, და მათი რეაქციაც ბუნებრივია...

### **კონტაქტების შესახებ**

**ჟირინოვსკი:** მე ყოველთვის მომწონს კონტაქტში შესვ-  
ლა, არა აქვს მნიშვნელობა, ვისთან. მაგალითად, თუ თქვენ  
გსურთ, მე დამნებდეთ, მე შევძლებდი თქვენთან ინტიმური  
ურთიერთობის დამყარებას. თუკი თქვენ არ გსურთ, მაშინ არც  
კი გავიფიქრებ ამას. მე მხოლოდ და მხოლოდ ინტიმურ ურთ-  
იერთობას დავამყარებ თქვენს თარჯიმანთან. და თუ, არც ის  
მოისურვებს, მაშინ მე საერთოდ არაფერს მოვიმოქმედებ.  
წავალ და პიანინოს დავუკრავ, ანდა სუფთა ჰაერზე გავივლი.

### **ამინდისა და ჯგუფური სექსის შესახებ**

**ჟირინოვსკი:** როცა ასე წვიმს, კარგია, ამ დროს ეძლეოდე  
სიყვარულს. წყნარად, თბილად, არაფერზე არ ფიქრობდე. შენ  
კი, ჯენიფერ, აი, უკვე ამდენი ხანია თავს მაბეზრებ... არ გსურს



მიეცე სიყვარულს ამ ამინდში? ახლავე, ოთხივესთან? (ინტერ-ვიუს დროს ჟირინოვსკის ახლავს ორი მცველი – რედ.)...

**„ფლეიბოი“:** თქვენ ოდესმე ამ ოთხს ჩაგიდენიათ?!

**ჟირინოვსკი:** უკეთესია, როცა ეს ჯგუფურია...

**„ფლეიბოი“:** თქვენ უკვე გაგისინჯავთ?

**ჟირინოვსკი:** რა თქმა უნდა, მაგრამ მე თვალყურის დევნებას ვამჯობინებ.

**„ფლეიბოი“:** რატომ მოგწონთ თვალყურის დევნება?

**ჟირინოვსკი:** რათა შევიცნო, როგორ სჩადიან ამას სხვე-ბი. რათა ვხედავდე მათ შეცდომებს. ამასთან ერთად მე ზარ-მაციც ვარ. ეს შთამაგონებს, ვუმზირო ახალგაზრდების ვნე-ბას...

(მოგვიანებით მიგვითითებს სერგეიზე, 20 წლის მცველ-ზე, რომელიც ჩუმად ზის კართან): აი, კიდევ ერთი მომლო-დინე, მასაც სურს, მიიღოს მონაწილეობა. ისინი უკვე მზად არიან, მეც. (მიმართავს სერგეის): ჯენიფერი უკვე მზად არის თქვენთვის, ორივესთვის – შენთვისაც და ვიტალისთვისაც. მარტო ვიტალი ეცოტავება.

**სერგეი:** (მიმართავს ვიტალის, მეორე მცველს): მე ყოველთვის მოვალ შენს დასახმარებლად.

**ჟირინოვსკი:** ჯენიფერ, როდის დავინწყებთ?

**„ფლეიბოი“:** ინტერვიუს შემდეგ...

**ჟირინოვსკი:** თვალი ადევნო, თუ როგორ სვამენ, ეწვეიან – ეს არ არის საინტერესო. მაგრამ ხედავდე თქვენ შერწყმას, გადახლართული ახალგაზრდების სხეულებს, ქალს, რომელიც იწყებს ყვირილს...

### **ჩეჩნეთში ომის მიზეზების შესახებ**

**ჟირინოვსკი:** თქვენ ორივე ჯანმრთელი ქალი ხართ და არ გინდათ ორ ჯანმრთელ მამაკაცთან დაამყაროთ ჯანსაღი ურთიერთობა. თქვენ უბიძგებთ მათ ომისკენ, იმიტომ, რომ არ თანხმდებით ინტიმურ ურთიერთობებზე. დღეს მთელი ჩეჩნეთი აჯანყებამ მოიცვა. ყოველ ჩეჩენს, რომ ჰყოლოდა

ქალი, არ იქნებოდა არანაირი ომი. აი, რატომ ხართ თქვენ ომის მიზეზი პლანეტაზე.

### **ისევ ამინდის და მუსიკის შესახებ**

**„ფლეიბოი“:** პოლიტიკის გარდა, რა გგვრით სიამოვნებას? როგორი მუსიკა გიყვართ?

**ჟირინოვსკი:** მე მომწონს ზოგიერთი მუსიკალური ნაწილები. მე დავიმახსოვრე მელოდია ოგინსკის პოლონეზიდან. შემდეგ – ჩაიკოვსკის პირველი სიმფონია. მე ვუსმენდი მას, როცა წვიმდა.

ბუდაპეშტში მე ვცაადე, შემეცდინა ერთი ახალგაზრდა უნგრელი გოგონა. ის 20 წლის იყო. მეც იმავე ასაკის. როცა საზღვარგარეთ ხარ, ყოველთვის გინდა, დაამყარო ინტიმური ურთიერთობა იმ მხარის ქალთან. ასე უკეთ ეცნობი ქვეყანას. ადრე მე ეს შემეძლო, ახლა აღარ მჭირდება...

### **საკუთარი პოტენციალის შესახებ**

**„ფლეიბოი“:** რამდენჯერ გადაგხდათ სექსუალური ალტყინება?

**ჟირინოვსკი:** შესაძლოა 500-ჯერ ან მეტჯერ. მე მყავდა 200-ზე მეტი ქალი და ყოველ მათგანთან რამდენიმეგზის... თუ ამას დაუმატებთ მასტურბაციასაც, მაშინ ათიათასჯერ მაინც. მე დავინყე, როცა 15 წლის ვიყავი, ახლა 48 წლისა ვარ. რამდენი წელი გამოდის? დაახლოებით 35 წელი. წელიწადში 100-ჯერ მაინც. გაამრავლეთ და მიიღებთ 3560-ს.

### **როგორც სექს-სიმბოლო**

**მაშა:** თქვენ გინდათ, გახდეთ რუსული სექს-სიმბოლო?

**ჟირინოვსკი:** რა თქმა უნდა, რატომაც არა? მაგრამ მე ძალიან თავშეკავებული ვარ, ძალიან თავშეკავებული.

*„სამრეკლო“, 1995, მარტი*

## აღამიანი მაიონეზი

ნატალია ბარაბაშ,  
„კომსომილსკაია პრავდა“, 48(21-58)

ამ ამბის მონაწილენი ხორცს მხოლოდ იმიტომ ჭამდნენ, რომ დასაყოლებელი არ ჰქონდათ...

საქმის ვითარება კი ასეთია. ზღვისპირა ქალაქ არტიომის ცენტრში იდგა კერძო სახლი, რომელსაც მეზობლებმა იმთავითვე „ცუდი“ შეარქვეს. შეარქვეს იმიტომ, რომ მისი ბინადრები გამუდმებით ლოთობდნენ, ხშირად ჩხუბობდნენ, დედას აგინებდნენ ერთმანეთს... თუმცა რამდენია ახლა რუსეთში, აი, ასეთი ცუდი სახლი...

სახლის ოფიციალურ მფლობელად ვიქტორ ბერეზოვსკი ითვლებოდა (მონქეების სახელები შეცვლილია) – ოდესღაც ნორმალური, არამსმელი, ნებისყოფიანი კაცი. 12 წლის წინ ეშმაკი შეუჩნდა და უბედური დედაკაცი – ოლგა დემიდოვა – შეუყვარდა. ოლგა სვამდა და სეირნობდა, ფულს ყალბი საბუთების შეთითხვნით შოულობდა... მაგრამ ამ უხემ, უხამს ქალში იყო რაღაცა, რაც თავლივით იზიდავდა მამაკაცებს.

ოჯახი კი ვერ შექმნეს. დიასახლისს ოჯახის მოვლას ლოთობა და დროსტარება ერჩია. მასთან უმუშევარი თანამეინახეები მოდიოდნენ და ვიქტორის ხელფასს თავხედურად ლოთობაში ანიავებდნენ. ბოლო დროს ვიქტორიც იძულებულია, შეუერთდეს ღრეობებს...

ამ დროისათვის ოლგა საბუთების მოპარვისათვის ჩავარდა, მიიღო პირობითი სასჯელი, მაგრამ მთვრალმა თხა მოიპარა. ისევ გაასამარლლეს და, როგორც არასრულწლოვანი შვილების დედა, ისევ პირობითი სასჯელით დაიძვრინა თავი.

1994 წლის გაზაფხულზე ბერეზოვსკისთან ურთიერთობა თითქოს ლოგიკურად დასრულდა – მას ოლგას თანამეინახემ უბრალოდ ყბა ჩაუნგრია და სახლიდან გაავდო. ვიქტორი საცხოვრებლად ნაცნობებთან გადავიდა. საკუთარ სახლში დასაბანად და დასაუთავებლად თუ მოვიდოდა... ოჯახში კი...

ჯერ იყო და ოლგას ახალი „საყვარელი“ დასახლდა, 24 წლის პაველ კოტუნოვი, რომელიც თავისი ლოთობით იყო განთქმული. მერე იყო და აქ 17 წლის მაქსიმ მახიბოროდა დაძვრებოდა ხშირად. თვითონაც „ცუდ“ ოჯახში იყო გაზრდილი. ის ჯერ 16 წლის ალბინას დაუმეგობრდა, მერე კი, ვინაიდან წასასვლელი მაინც არ ჰქონდა, აქვე დაიდო ბინა.

...ყველაფერი მთვრალთა ჩხუბით დაიწყო, რაც ამ სახლის ბინადრებისთვის უჩვეულო არ იყო.

ალექსანდრ სოროკაპუდმა, ისევე, როგორც სხვა თანამეინახეებმა, ოლგა დემიდოვასთან სიარულს მოუხშირა, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ აქ ყოველთვის შეიძლებოდა „გადაკვრა“. ერთხელ შეზარხოშებულმა ოცი წლის ვაჟმა არშიყი დაუწყო დიასახლისს. დემიდოვამ კოტუნოვს შესჩვილა ერთხელ, მეორედ...

„გ-გავარკვევთ“ – მთვრალი მუქარით შეპირდა პაველი. მისვლისთანავე საშას უთხრა: „მოდი, დავლიოთ!“ როცა, როგორც ყოველთვის, დააკლდათ, ბიჭებმა ჯიხურს მიაშურეს. პაველმა გადანყვიტა, მაინც ეძია შური საყვარელი ქალის გამო.

...კოტუნოვი გაშმაგდა, ურტყა და ურტყა უაზროდ მყოფ მსხვერპლს, სანამ არ დაასკვნა: „მზადაა!“

სახლში დაბრუნებულმა პაველმა და მაქსიმმა მშვიდად მოახსენეს: „ჩვენ საშა მოვკალით“ და ნახეს, რომ მათ სიტყვებს დიასახლისი დიდად არ შეუშფოთებია. „გარეცხე!“ – გადაუგდო პაველმა გასისხლიანებული ქურთუკი და შარვალი. ორმოციოდე წუთის შემდეგ პაველმა გადანყვიტა, შეემონმებინა მართლაც და „მზადაა“ მეტოქე თუ არა? შიში გამართლდა: ნაცემ საშას, რომელიც მეგობრებმა იმავე ადგილზე იპოვეს, ...მშვიდად ეძინა. ამან განსაკუთრებით გააზრაზა პაველი. დასტაცა ქვას ხელი და თანამეინახეს თავში ჩაარტყა.

ოლგა ასევე საქმიანად დახვდა მობრუნებულებს: ღუმელში დანვა კოტუნოვის დაბამბული ქურთუკი და ამჯერად, თხოვნის გარეშე გარეცხა სისხლით დასვრილი მეორე შარვალი.

ზუსტად ერთი კვირის თავზე, სალამო ხანს, ოლგა და პაველი, როგორც ყოველთვის, სვამდნენ. ამ დროს ოლგას მამაკაცი, 26 წლის ხელადებული ლოთი სერგეი ო. სპირტის ბოთლის „როიალის“ ვალის დასაბრუნებლად მოვიდა. ბუნებრივია, „ვალი“ აქვე გაიხმარეს. მაგრამ, საუბედუროდ, მთვრალმა სერგეიმ საბედისწერო ქალის საკოცნელად გაიწია. პაველმა პატიოსნად გააფრთხილა: „ჩემს დედაკაცს ხელს ნუ ახლებ“.

კოცნა უკანასკნელი აღმოჩნდა... კოტუნოვმა სტაცა მაგიდის დანას ხელი სამზარეულოში და რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მეტოქეს, რის შემდეგ დასაძინებლად მიაშურა სახლის იმ ნაწილს, სადაც იმყოფებოდნენ ალბინა თავის დაქალთან ერთად, მაქსიმი, ვიკენტი და ბაბკა ტამარა.

მეორე დილით ქალი, რომელშიც დუღდა ასეთი საბედისწერო ვენებები, გამოცხადდა სამზარეულოში „პახმელიაზე“ გამოსასვლელად. რამდენიმე წუთის შემდეგ მაქსიმთან ერთად წყვილი საქმიანად მსჯელობდა, სად წაელოთ ცხე-დარი. გადანყვიტეს, ღუმელში დაენვათ. პაველმა პატარა ნაჯახი მოიმარჯვა და სულ მალე მაქსიმმა ამ სანახაობას ვერ გაუძლო და „დაითესა“. თვით ოლგა ყველაზე გულცივი გამოდგა. ის დაეხმარა ტანსაცმლის გახდაში, მორეცხა სისხლიანი იატაკი. მერე კი მოულოდნელად აიღო დანა და შეუდგა გვამიდან... ხორცის ჩამოჭრას. „ამისთანა დოვლათს დაკარგავს კაცი?!“ – განმარტა მან. – „ე მანდ კატისა და ძაღლისთვის ვერ მიჭმევია. ბავშვებსაც ბაბკა ტამარასთან ერთად რახანია ხორცი არ უჭამიათ!“

ხორცი ამ სახლში მართლაც და დიდი იშვიათობა იყო. ამიტომ, როცა სალამოს მოსულმა მაქსიმმა მაცივარში ტაშტებით „ახალი“ ხორცი დაინახა, გაოცება ვერ დაფარა: „საიდან?“. „ეს სერიოგაა“, – სხვათა შორის აუხსნა კოტუნოვმა.

შემწვარი ხორცი არაყს შესანიშნავად უხდებოდა. მაშინ ოლგამ კოტლეტების ფარში გააკეთა, მოხარშა ბულიონი. ერთი კვირა ცუდ სახლში ბაბკა და ბავშვები მაძღრად იყვნენ, სახლიკაცებს კი შესანიშნავი დასაყოლებელი არ აკლდათ...

...კიდევ ერთი კვირის შემდეგ საკუთარ სახლში შემოეხეტა ვიქტორ ბერეზოვსკი, რათა მორიგი „აბაზანა“ მიეღო. მოვიდა, ახალი ბინადრების ჩვეული წესით, არყის ბოთლით. ჯერ ერთად დასხდნენ: პაველი, ოლგა და ბაბკა ტამარა. ვიქტორმა მწარედ მოაგონა ოლგას: მე ჩემი სახლიდან გამაგდე, აქაურობა რას დაამსგავსე, ვაჟიშვილს არანაირად არ უვლი. ამაყმა ქალმა ასეთი წყენა ვერ აიტანა, გადაინაცვლა სახლის მეორე ნაწილში „მუსიკის მოსასმენად“. მოულოდნელად მუსიკა შეწყდა: ჭკუაგადასულმა ვიქტორმა მავთულები გადაჭრა. ვაი, რომ სცოდნოდა, ეს ვის გადაეყარა!

რამდენიმე წუთის შემდეგ დემიდოვამ შეიხედა სამზარეულოში და დაინახა ნაცნობი სურათი: გასასვლელში იდო სხეული. წყვილი მაშინვე შეუდგა ჩვეულ საქმეს. ოლგა სიხარულისგან ჯერ ხტუნვას მოჰყვა, მერე გარეცხა სისხლით დასვრილი იატაკი (იატაკს სამზარეულოში, როგორც ჩანს, მხოლოდ მკვლევლობის დღეს რეცხავდა), პაველი კი მარჯვედ იქნევდა პატარა ნაჯახს, რომლითაც შეიძლება მოხერხებულად მოეცილებინა სამხილი.

საცოდავი ვიქტორის თავი რატომღაც ბოსტანში ჩამარხეს. მანამდე კი დედამ ის ალბინას უჩვენა და მტირალი შვილები დაამშვიდა სიტყვებით: „ნუ, უკან ველარ დააბრუნებ. ისე კი კარგი არც არაფერი გაუკეთებია შენთვის, რომ დაგენანოს“.

აი, აქ კი ალბინამ ველარ გაუძლო და... მისწერა წერილი თავის ბებიას, ვიქტორ ბერეზოვსკის დედას. სკოლის ცალხაზიან ფურცელზე დაწერილი წერილი იწყებოდა სიტყვებით: „გამარჯობა, ბებია, გწერს შენი შვილიშვილი ალბინა“, – პაველის მუქარით დაშინებული გოგონა იტყობინებოდა, რომ დედის მეგობარმა მოკლა მამა, დედამ ძია სეროიჟასგან კოტლეტები გააკეთა... „თუ შეგიძლია, წაიყვანე ვიკენტი, შენ თვითონ არ ჩამოხვიდე – ჩვენთან საშიშია“, – სთხოვდა ის.

თავზარდაცემული ბებია მილიციაში გაიქცა...

ყველა დააპატიმრეს...

პროკურატურის თანამშრომლებმა მალე იპოვეს „სამხილი“ ჭებში, გადათხარეს მანამდე მოუხნავი ბოსტანი...

